

საქართველოს
საინჟინერო
ცისლაცი

GEORGIAN
ENGINEERING
NEWS

No.4 (vol. 84), 2017

საქართველოს საინჟინრო სიახლეები GEORGIAN ENGINEERING NEWS, No. 4, 2017

საერთაშორისო საინჟინრო აკადემია
საქართველოს საინჟინრო აკადემია

მთავარი რედაქტორი: მინდია სალუქვაძე
მთავარი რედაქტორის მოაღგილე: ზურაბ ველიჯანაშვილი

სარედაქციო პოლებია

პ. ბიელიკი (სლოვაკეთი), ი. გორგიძე (საქართველო), ბ. გუსევი (რუსეთი), ნ. ედილბერტო (პერუ), ი. ემრი (სლოვაკეთი), ა. გასილევი (უკრაინა), ლ. ივანოვი (რუსეთი), ა. კაბულოვი (უზბეკეთი), ბ. კატალინიჩი (ავსტრია), ვ. კეკელიძე (რუსეთი), კ. კერვალიშვილი (საქართველო), კ. კონტაზელოვი (ყორგიზეთი), ს. მინასიანი (სომხეთი), ო. ნამიჩევიშვილი (საქართველო), კ. ნიკიტენკო (ბელარუსია), დ. ნოვიკოვი (რუსეთი), ა. პაშაევი (აზერბაიჯანი), რ. ჯინჯიშვილი (ლიტვა), ი. ჭორდანია (საქართველო), ბ. უშმაგულოვი (ყაზახეთი), ლ. საიდ-მუროდოვი (ტაჯიკეთი), ა. ფრანგიშვილი (საქართველო), რ. შრაფტი (გერმანია), დ. ჩომახიძე (საქართველო), გ. ჯავახაძე (საქართველო), ა. ჯანახაძე (აზერბაიჯანი)

სარედაქციო საბჭო
დ. გორგიძე, ა. დოლიძე, ქ. მახაშვილი, ლ. ქობელაშვილი

International Engineering Academy Georgian Engineering Academy

Editor-in-Chief: Mindia Salukvadze

Deputy Editor-in-Chief: Zurab Velijanashvili

EDITORIAL BOARD

N. Edilberto (Peru), D. Chomakhidze (Georgia), G. Javakhadze (Georgia), A. Janahmadov (Azerbaijan), P. Bielik (Slovakia), I. Gorgidze (Georgia), B. Gusev (Russia), I. Emri (Slovenia), L. Ivanov (Russia), A. Kabulov (Uzbekistan), K. Kozhogulov (Kyrgyz Republic), B. Katalinich (Austria), P. Kervalishvili (Georgia), V. Kekelidze (Russia), S. Minasyan (Armenia), R. Ginevičius (Lithuania), O. Namicheishvili (Georgia), P. Nikitenko (Belarus), D. Novikov (Russia), A. Prangishvili (Georgia), A. Pashayev (Azerbaijan), L. Saidmurodov (Tajikistan), R. Shrafft (Germany), A. Vasiliev (Ukraine), I. Zhordania (Georgia), B. Zhumagulov (Kazakhstan).

EDITORIAL STAFF:

D.Gorgidze, A.Dolidze, L.Kobelashvili and K.Makhashvili

Georgian Engineering News (GEN)LTD

Address: TECHINFORMI, St. Kostava 47, Tbilisi 0179

Tel.: 995 (32) 2335315, 2335122

Fax: 995 (32) 2335122

e-mail:nellym@caucasus.net

Internet: www.tech.caucasus.net

Copyright © by GEN LTD

შესაბამისი – СОДЕРЖАНИЕ

მრავალკუთხედის არეზი მთელკოროდინატურიანი ფირფილების რაოდენობის დადგნენის მრთი მეთოდის შესახებ მასპინძელაშვილი ბ.ი.	5
LabView-ს სახით თანამედროვე კომაიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება გამოსახულებათა ეფექტური კოდირებისათვის (შეაგრძნელოსათვის) ჩხეიძე ი.მ., აბზიანიძე ნ.ე., მურჯიქინელი გ.გ., გოჭოშვილი ც.გ.	8
რხევითი სისტემის რეზონაციული სიხშირის განსაზღვრის განვლადი გეორგი და მისი თავისებურებანი გვიტაშვილი ი. ზ.	12
ორთოგონალურ ფიგურებიანი, ორმხრივ სიღრუპეებიანი, მონოლიტური გადასურვის ფილების დაძაბულ-დეფორმირებული მდგრადარეობის მასალებით გვივრება ზამბახიძე ლ.ი., ნინიძე თ.დ.	15
ტრანსიციული და სემიოტიკური ორნამენტის პროექტები XX საუკუნის არქიტექტურაში ჩუბინიძე თ.გ.	18
ВОЛНОВЫЕ ЗУБЧАТЫЕ ПЕРЕДАЧИ <i>Кахиани М.Р.</i>	21
მაგისტრალური მილსაზენებით მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე კეისის მულტიპლიკატორის ეფექტის მიხედვით ცისკარიძე დ.გ., გვევშიძე ე.ბ.	25
სამთო საწარმოების სამრეწველო ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემა მახაშვილი ქ.ა., გოდერძიშვილი გ.ი., იაშვილი ნ.გ., დოლიძე ა.გ., ხართიშვილი გ.პ.	32
ИССЛЕДОВАНИЕ СТРУКТУРНЫХ ПРЕВРАЩЕНИЙ В НЕКОТОРЫХ УГЛЕРОДНЫХ МАТЕРИАЛАХ ПРИ ВЫСОКИХ ТЕМПЕРАТУРАХ <i>Лоладзе Н.Т., Церодзе М.П., Габуния В.М., Пхаладзе Т.Б., Авалишвили З.А.</i>	31
ბორჯომის მინერალური ფყლის საბადოს ვაჭლოვანი-ყვიბისის უბნის მარაბების შეზასხა კოროშინაძე თ.ო.	34
აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სტიქიური ნაბაშასაყრელების ბავლენის შევასება ეკოსისტემებზე ბუაჩიძე ნ.ს., ჩიკვილაძე ხ.ხ., გურგულიანი ი.ნ., შუბლაძე ე.შ., კუჭავა გ.პ.	43
ნავთობისაბან დაბინძურებული ფყლის ზედაპირის გასუვთავების მეთოდი და ტექნოლოგია რაზმაძე მ.თ., კიქნაძე გ.გ., იმნაძე პ.პ., გეწაძე თ.ს., კვირიკაშვილი ც.ი., როსტომაშვილი ზ.ი., ამბარდანიშვილი თ. პ.	53

ნაცოვერცხლის შემცველი ანტიბაქტერიული კომპოზიტები გიორგი გრიგორიაშვილი აღმართის და კოლი-N-3060-კიროლიდონის ნარევის საფუძველზე ცხადაძე შ.ა., კუპატაძე ნ.ო., ტურუში დ.ს., ქაცარავა რ.დ.	59
ამიღური მოცოვების კოლიბონდენსაცია ალდეპიდოზი; ყყალბი ძელად ხსნადი აზოტოგანი სასუმანის სინოეზი გუგაგა ე.დ., გელა შვილი ნ.ს., მაისურაძე ნ.ა., პაპაგა გ.შ., გაგა შელიძე ე.შ., ლიპარტელიანი რ.გ., ხოტენა შვილი ნ.ზ.	66
ხორბლის მარცვლის ფენის ზოანომის დინამიდის კვლევა დალბობის პროცესში ხუციძე ც.ზ., ფრუიძე ე.გ., ხვადაგიანი ხ.ბ., ქუთათელაძე ა.დ.	69
ზოტოპორმონების და პიროლებელი ტეტრაციკლური ნაერთების გავლენა პარტოზილის და ჰარხლის ზრდა-განვითარებაზე წეროძე ხ.ო., კუხალევი შვილი მ.ი., მაისურაძე მ.გ., ბულაური ე.ე.	73
თავშაგას <i>Origanum vulgare</i> ბიოლოგიური თავისებურებანი კაჭარავა თ.ო., ლობჯანიძე გ.ბ., ტელეშვილი ზ.რ.	77
საქართველოში შემოტანილი საქართველოს ანალიზი შილდელა შვილი ი.ი. მათია შვილი შ.ი. ბუშვილი გ.ო.	80
DYNAMICS OF CHANGES IN THE COMPOSITION OF MINERAL SUBSTANCES IN THE MUST AND WINE <i>Gamtkitsulashvili Gia V., Gamtkitsulashvili Gela V., Khositashvili M.L. and Mikiashvili M.A.</i>	83
ვენოლური ნაერთების დაბროვების დინამიკა საქართველოში ინტროდუცირებულ წილებში გურმენში ხოხიტა შვილი მ.ლ., ხოხიტა შვილი თ.გ., ბუშვილი გ.ო., ჩალათა შვილი ს.ე., კაციტაძე გ.გ.	86
РАЗРАБОТКА СТРУКТУРНОЙ СХЕМЫ МЕХАНИЗМА ДЛЯ ИМИТАЦИИ ОПЫТНОЙ НОСКИ ОБУВИ <i>Закарая М.М., Маглакелидзе Т.А.</i>	90
ВЛИЯНИЕ АНТИСЕПТИКОВ И ХЛОРИДА НАТРИЯ НА МИКРОФЛОРУ КОЖЕВЕННОГО СЫРЬЯ <i>Ломтадзе Н.З., Шаламберидзе М.М., Татвидзе М.И.</i>	94
К ВОПРОСУ ИСПОЛЬЗОВАНИЯ И РЕЦИКЛИРОВАНИЯ ТЕКСТИЛЬНЫХ ОТХОДОВ <i>Мосесвили Т.М., Цхакая К.Р.</i>	97
03262 გმილი - 130	101

მრავალგუთხედის არეზი მთელკორრდინატებიანი წერტილების
რაოდენობის დადგენის მრთი მთერდის შესახებ


მასპინძელაშვილი ბ.ი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზოგადი ამოცანა. ამოზნექილი მრავალგუთხედის გვერდები მდებარეობენ წრფეებზე: $A_1x + B_1y + D_1 = 0, A_2x + B_2y + D_2 = 0, \dots, A_nx + B_ny + D_n = 0$, რომლის წვეროები ამ წრფეთა გადაკვეთის წერტილებია.

დავადგინოთ მთელკორრდინატებიანი წერტილების რაოდენობა, რომლებიც მათგანიან მრავალგუთხედის არეს.

ამოცანა. საკოროდინატო სიბრტყეზე ავაგოთ წრფეები და ვიპოვოთ მათი გადაკვეთის წერტილები. ვთქვათ, მრავალგუთხედს აქვს სახე $ABCD$, რომლის წვეროებსაც წრფეების გადაკვეთის წერტილები წარმოადგენენ.




განვიხილოთ Ox ღერძის უდიდესი სიგრძის მონაკვეთი, რომლის ბოლოებსაც წარმოადგენენ რომელიმე ორი წრფის გადაკვეთის წერტილის აბსცისები, ე.ი. $[x_1; x_{n+1}]$ მონაკვეთი. ამ მონაკვეთზე მოვნიშნოთ მთელი რიცხვები. ვთქვათ, $x_2, x_3, x_4, \dots, x_n$ (შეიძლება x_1 და x_{n+1} რიცხვებიც იყოს მთელი) და მათზე გავავლოთ Oy ღერძის პარალელური წრფეები. ვიპოვოთ ამ წრფეების $ABCD$ მრავალგუთხედის გვერდებთან გადაკვეთის წერტილები და დავადგინოთ თითოეულ მონაკვეთზე: $M_1N_1, M_2N_2, \dots, M_nN_n$ მთელკორრდინატებიანი წერტილების რაოდენობა მონაკვეთის ბოლოების ჩათვლით, თუ ბოლოები მთელი რიცხვებია. ბოლოს კი გამოვთვლით მოცემულ არეში მთელკორრდინატებიანი წერტილთა რაოდენობას.

შენიშვნა. შეიძლებოდა გაგვეხილა Oy ღერძის უდიდესი სიგრძის მონაკვეთი, რომლის ბოლოებიც რომელიმე ორი წრფის გადაკვეთის წერტილების ორდინატებია.

ამოცანა. მრავალგუთხედის გვერდები მდებარეობენ წრფეებზე: $x - y - 6 = 0$, $5x + 4y + 20 = 0$, $x + 2y - 8 = 0$, $x = -3$, წვეროები კი ამ წრფეთა გადაკვეთის წერტილებია.

დავადგინოთ მთელკორრდინატებიანი წერტილების რაოდენობა, რომლებიც მათგანიან მრავალგუთხედის არეს.

ამოცანა. საკოროდინატო სიბრტყეზე ავაგოთ წრფეები და ვიპოვოთ მათი გადაკვეთის წერტილები (მრავალგუთხედის წვეროები).



$$\begin{cases} x = -3, \\ x + 2y - 8 = 0; \end{cases} \quad -3 + 2y - 8 = 0, \quad y = 5\frac{1}{2}, \quad A\left(-3; 5\frac{1}{2}\right);$$

$$\begin{cases} x + 2y - 8 = 0, \\ x - y - 6 = 0; \\ 3y - 2 = 0 \end{cases} \quad y = \frac{2}{3}, \quad x = 6\frac{2}{3}, \quad B\left(6\frac{2}{3}; \frac{2}{3}\right);$$

$$\begin{cases} 5x + 4y + 20 = 0, \\ x - y - 6 = 0; \\ 9x - 4 = 0, \end{cases} \quad x = \frac{4}{9}, \quad y = -5\frac{5}{9}, \quad C\left(\frac{4}{9}; -5\frac{5}{9}\right);$$

$$\begin{cases} x = -3, \\ 5x + 4y + 20 = 0; \end{cases} \quad -15 + 4y + 20 = 0, \quad y = -1\frac{1}{4}, \quad D\left(-3; -1\frac{1}{4}\right);$$

$$Ox \text{ ღერძის } \text{უდიდესი } \text{სიგრძის } \text{მონაკვეთია } \left[-3; 6\frac{2}{3}\right]. \text{ ამ } \text{მონაკვეთზე } \text{მოვნიშ-$$

ნოთ Ox მთელი რიცხვები: $-3, -2, -1, 1, 2, 3, 4, 5, 6$ და 0 მათზე გავავლოთ Oy ღერძის პარალელური წრფეები. ვიპოვოთ ამ წრფეების $ABCD$ მრავალკუთხედის გვერდებთან გადაკვეთის წერტილები და დავადგინოთ თითოეულ მონაკვეთზე (Oy ღერძზე მდებარე) მთელკოორდინატებიანი წერტილების რაოდენობა მონაკვეთის ბოლოების ჩათვლით, თუ ბოლოები მთელი რიცხვებია.

$$x = -3 \quad \text{წრფეზე } \text{მდებარე } \text{მონაკვეთის } \text{ბოლოებია } \text{წერტილები } A\left(-3; 5\frac{1}{2}\right),$$

$D\left(-3; -1\frac{1}{4}\right)$. AD მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(-3; 5), (-3; 4), (-3; 3), (-3; 2), (-3; 1), (-3; 0), (-3; -1)$; რაოდენობაა 7.

$$\text{თუ } x = -2, \quad -2 + 2y - 8 = 0, \quad y = 5, \quad N_1(-2;5); \quad 5(-2) + 4y + 20 = 0, \quad y = -2\frac{1}{2},$$

$M_1\left(-2;-2\frac{1}{2}\right)$. M_1N_1 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(-2;5)$, $(-2;4)$, $(-2;3)$, $(-2;2)$, $(-2;1)$, $(-2;0)$, $(-2;-1)$, $(-2;-2)$; რაოდენობაა 8.

$$\text{თუ } x = -1, \quad -1 + 2y - 8 = 0, \quad y = 4\frac{1}{2}, \quad N_2\left(-1;4\frac{1}{2}\right); \quad 5(-1) + 4y + 20 = 0, \quad y = -3\frac{3}{4},$$

$M_2\left(-1;-3\frac{3}{4}\right)$. M_2N_2 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(-1;4)$, $(-1;3)$, $(-1;2)$, $(-1;1)$, $(-1;0)$, $(-1;-1)$, $(-1;-2)$, $(-1;-3)$; რაოდენობაა 8.

Oy დერძზე მდებარე მონაკვეთის ბოლოებია წერტილები $N_3(0;4)$, $M_3(0;-5)$.

M_3N_3 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(0;4)$, $(0;3)$, $(0;2)$, $(0;1)$, $(0;0)$, $(0;-1)$, $(0;-2)$, $(0;-3)$, $(0;-4)$, $(0;-5)$; რაოდენობაა 10.

$$\text{თუ } x = 1, \quad 1 + 2y - 8 = 0, \quad y = 3\frac{1}{2}, \quad N_4\left(1;3\frac{1}{2}\right); \quad 1 - y - 6 = 0, \quad y = -5, \quad M_4(1;-5).$$

M_4N_4 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(1;3)$, $(1;2)$, $(1;1)$, $(1;0)$, $(1;-1)$, $(1;-2)$, $(1;-3)$, $(1;-4)$, $(1;-5)$; რაოდენობაა 9.

$$\text{თუ } x = 2, \quad 2 + 2y - 8 = 0, \quad y = 3, \quad N_5(2;3); \quad 2 - y - 6 = 0, \quad y = -4, \quad M_5(2;-4).$$

M_5N_5 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(2;3)$, $(2;2)$, $(2;1)$, $(2;0)$, $(2;-1)$, $(2;-2)$, $(2;-3)$, $(2;-4)$. რაოდენობაა 8.

$$\text{თუ } x = 3, \quad 3 + 2y - 8 = 0, \quad y = 2\frac{1}{2}, \quad N_6\left(3;2\frac{1}{2}\right); \quad 3 - y - 6 = 0, \quad y = -3, \quad M_6(3;-3).$$

M_6N_6 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(3;2)$, $(3;1)$, $(3;0)$, $(3;-1)$, $(3;-2)$, $(3;-3)$; რაოდენობაა 6.

$$\text{თუ } x = 4, \quad 4 + 2y - 8 = 0, \quad y = 2, \quad N_7(4;2); \quad 4 - y - 6 = 0, \quad y = -2, \quad M_7(4;-2).$$

M_7N_7 მონაკვეთზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(4;2)$, $(4;1)$, $(4;0)$, $(4;-1)$, $(4;-2)$; რაოდენობაა 5.

$$\text{თუ } x = 5, \quad 5 + 2y - 8 = 0, \quad y = 1\frac{1}{2}, \quad N_8\left(5;1\frac{1}{2}\right); \quad 5 - y - 6 = 0, \quad y = -1, \quad M_8(5;-1).$$

M_8N_8 მონაკვეთებზე მთელკოორდინატებიანი წერტილებია: $(5;1)$, $(5;0)$, $(5;-1)$; რაოდებაა 3.

$$\text{თუ } x = 6, \quad 6 + 2y - 8 = 0, \quad y = 1, \quad N_9(6;1), \quad M_9(6;0); \quad \text{რაოდენობაა 2.}$$

$ABCD$ გრაფალკუთხების არეში მთელკოორდინატებიანი წერტილების რაოდენობაა $7+8+8+10+9+8+6+5+3+2=66$.

ლიტერატურა

1. Ефимов Е.В., Розендорн Э.Р. Линейная алгебра и многомерная геометрия. - М., Наука, 1970, 528 с.
2. Дадаян А.А., Дударенко В.А. Алгебра и геометрия. - Минск, Вышэйшая школа, 1989, 288с.

SUMMARY

ON ONE METHOD FOR DETERMINATION OF THE NUMBER OF POINTS IN THE POLYGON DOMAIN WITH INTEGER COORDINATES

Maspindzelashvili B.I.

Georgian Technical University

The article deals with the method of determination of the number of points in the polygon domain with integer coordinates when the polygon sides are located on straight lines and their vertices are presented by intersection points of straight lines.

Keywords: convex polygon, coordinate plane, segment, straight line, coordinate, point.

**LabView-ს სახით თანამედროვე კომპიუტერული ფაქტოლოგიების ბაზოენება
ბამოსახულებათა უზეზტური კოდირებისათვის (შემუშავისათვის)**

ჩხეიძე ი.მ., აბზიანიძე ნ.ე., მურჯიკნელი გ.გ., გოჭოშვილი ც.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შესავალი

როგორც ცნობილია ინფორმაციის ეფექტური კოდირება (შეკუმშვა) ის პრობლემა, რომელმაც არ დაკარგა აქტუალობა მრავალი ათწლეულის გავლის შემდეგაც და რომელიც მოითხოვს სრულყოფას და განვითარებას კომპიუტერული ტექნოლოგიების საინჟინრო საქმიანობაში ფართო შემოღების პირობებში. ეფექტური კოდირების ცნება ინფორმაციის თეორიაში შემოიღო ინფორმაციის თეორიის ფუძემდებელმა კ. შენონმა, მე-20 საუკუნის 50-60 წლებში [1].

ჩვენი მიზანია LabView-ს პროგრამულ გარემოში განვახორციელოთ გამოსახულებათა ეფექტური კოდირება შეკუმშვის ერთ-ერთი მეთოდის FFT (ფურიეს სწრაფი გარდასახვა) მაგალითზე. შევადაროთ შეკუმშვის შემდეგ მიღებული აღდგენილი გამოსახულების ხარისხი საწყისს და რიცხობრივად შევაფასოთ აღდგენილი გამოსახულების ხარისხის დამოკიდებულება შეკუმშვის კოეფიციენტზე MSE სახით.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის და კერძოდ, გამოსახულებათა შეკუმშვის პრობლემის მნიშვნელობა და აქტუალობა ეჭვს არ იწვევს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში. არსებობს მრავალი მეთოდი გამოსახულებათა შეკუმშვის დარგში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეპუთვნის შეკუმშვას გარდაქმნით [1-3]. გარდაქმნის ყველაზე მარტივ მაგალითს წარმოადგენს ფურიეს გარდაქმნა და მისი რეალიზება ფურიეს სწრაფი გარდაქმნით (FFT). ფურიეს გარდაქმნაში მოიაზრება ინფორმაციის (სიგნალის) სპექტრული წარმოდგენა. იგივე მეთოდი გავრცელებულია გამოსახულებაზე, რომელიც წარმოადგენს ორგანზომილებიანი სიგნალის მაგალითს. სპექტრული წარმოდგენის უპირატესობა და მიზანშეწონილობა ძლიერდებოს იმაში, რომ გარდაქმნის შედეგად მიღებულ სპექტრულ არეში მაღალი ინტენსივობის მქონე კოეფიციენტები თავმოყრილი (შეკურსული) ხდებიან კოორდინატთა სისტემის სათავესთან, მცირე ამპლიტუდის მქონე კი – გაცილებით შორს. ამის გამო შესაძლებელი ხდება მცირე ამპლიტუდის მქონე კოეფიციენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირება. ამის შედეგად არსში გადასაცემად განკუთვნილი სიგნალის მოცულობა ბევრად მცირდება და ამით მიიღება ე.წ. ინფორმაციის „შეკუმშვა“ რაც იწვევს ეფექტური კოდირების შესაძლებლობას.

ცხადია, რომ ნებისმიერი შეკუმშვა მიმღებში (სიგნალის აღდგენის დროს) იწვევს გამოსახულებებში გარკვეულ დამახინჯებას, გარკვეულ ცდომილებას, დეტალების დაკარგვას. ადამიანის მხედველობის თვისებაა სუბიექტურად, მცირედ აღიქვას მიღებული ცდომილება. ინფორმაციის თეორიაში ამ პროცესს უწოდებენ „შეკუმშვას აღდგენის დაშვებული სისტორის პირობებში“. სისტორის მაჩვენებლად იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმს [2,3]. ჩვენ ავირჩიეთ MSE-ს კრიტერიუმი (საშუალო კვადრატული ცდომილება). თუ შეკუმშვის კოეფიციენტს აღვნიშნავთ K ასოთ:


$$K = V_0 / V_K, \quad MSE = \sigma_K \quad (1)$$

სადაც V_0 არის საწყისი ინფორმაციის მოცულობა; V_K – მოცულობა გარდაქმნის შემდეგ. შეკუმშვისათვის აუცილებელია, რომ $V_K < V_0$. σ_K – საშუალო კვადრატული გადახრაა, რომელიც მიღებულია K შეკუმშვის შედეგად. გამოსახულებათა შემთხვევაში:

$$K = (M * N * B) / (M_1 * N_1 * B), \quad MSE = \sigma_K \quad (2)$$


სადაც – M – პიქსელების რაოდენობაა გამოსახულების შესაბამისი მატრიცის სვეტში; N – პიქსელების რაოდენობა მატრიცის სტრიქნში; B – ბიტების რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია პიქსელის ამპლიტუდების გადასაცემად. როგორც წესი $B=8$ ბიტს; M_1 არის მატრიცის იმ ელემენტების რაოდენობა რომელიც შევინარჩუნეთ სვეტში; N_1 - იგივე, მხოლოდ მატრიცის სტრიქონში.

ქვემოთ მოვიყვანილია მაგალითი, რომელიც მივიღეთ FFT გარდაქმნის გამოყენებისას (კოსინუს გარდაქმნა). ამ მეთოდის რეალზება განხორციელდა LabVIEW-პროგრამულ გარემოში.



ნახ. 1. გამოსახულების FFT-ს გარდაქმნა და აღდგენილი გამოსახულება

ნახ. 1-ზე მოცემულია LabVIEW-ში ასახული Front Panel-ის (წინა პანელი) სახე, მიღებული „Camera“ გამოსახულებისათვის, ხოლო ნახ.2-ზე კი შესაბამისი Block Diagram (პროგრამა, რომელიც შეესაბამება ამოცანის ამოხსნას).




ნახ. 2. გამოსახულების FFT-ს გარდაქმნისა და აღდგენის შესაბამისი ბლოკ-დიაგრამა LabVIEW-ში

Front Panel-ზე ასახულია მხოლოდ ერთ გამოსახულებაზე ჩატარებული კოსუნუს გარდაქმნის შედეგი. მარცხენა მხარეს ზედა ნახაზი ეხება საწყისი გამოსახულების ასახვას, რომელიც შეუვანილია მატრიცის სახით Block Diagram-ზე, მარჯვენა ზედა სურათი ეკუთვნის კოეფიციენტების წარმოსადგენ არქს.

გამოსახულების მარცხენა მხარეს ქვედა სურათი ასახავს ბლოკში არსებულ ელემენტებს. აქ მოცემულია ბლოკი, რომელიც 8×8 კლემენტებს. ჩვენ შეგვიძლია უბრალოდ შევცვალოთ ბლოკში შენარჩუნებული კოეფიციენტების რაოდენობა. ეს გამოიწვევს (MSE) ცდომილების შეცვლას. თუ ბლოკში შენარჩუნებულია $1/2$ კოეფიციენტების (ანუ ელემენტების) რაოდენობა მაშინ: თუ საწყისი გამოსახულება შეიცავს 256×256 პიქსელს და მას დავფარავთ ბლოკებით, რომელთა ზომაა 8×8 , მაშინ ასეთი ბლოკების რაოდენობა იქნება 32 (მატრიცის სვეტში და მატრიცის სტრიქონში შესაბამისად) $K_d = (2^8 * 2^8 * B) / (2^7 * 2^8 * B) = 2$

Block Diagram-ზე მოცემულია გრაფიკები, რომლებიც ასახავენ საშუალო კვადრატული ცდომილების დამოკიდებულებას "K" შეკუმშვის კოეფიციენტის მნიშვნელობაზე ოთხი სხვადასხვა გამოსახულებისათვის

ნახ.3-ზე წარმოდგენილია გრაფიკები რომლებიც ასახავენ საშუალო კვადრატული ცდომილების დამოკიდებულება შეკუმშვის კოეფიციენტზე.



ნახ. 3. საშუალო კვადრატული ცდომილების დამოკიდებულება შეკუმშვის კოეფიციენტზე

დასკვნა

მიღებული შედეგებისა და აღდგენილი გამოსახულების სუბიექტური შეფასების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნა:

ჩვენ ვაჩვენეთ ინფორმაციის შეკუმშვის ერთ-ერთი მეთოდის (ფურიეს სწრაფი გარდაქმნის FFT) გამოყენების მაგალითზე LabVIEW-ს პროგრამულ გარემოში რეალიზაციით, როგორ მატრიცად და თვალსაჩინოდ ხდება გამოსახულების შეკუმშვა და მაშასადამე გამოსახულების ეფექტური კოდირება. შევადარეთ შეკუმშვის შედეგად მიღებილი აღდგენილი გამოსახულების ხარისხი საწყისს სხვადასხვა გამო-

სახელმწიფოს და ავაგეთ გრაფიკები. საშუალო-კვადრატული ცდომილების შეკუმშვის კოეფიციენტის მნიშვნელობაზე დამოკიდებულების გრაფიკები. აგებული გრაფიკების მეშვეობით შეიძლება თეორიულად შევაფასოთ ის შეკუმშვის კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა, რომელიც შექსაბამება გარკვეულ დასაშვებ საშუალო პარამეტრების და მიღებული გამოსახულების ხარისხის სუბიექტურ შევასებას.

ლიტერატურა

1. К. Шенон. Работы по теории информации и кибернетике. - М. Изд-во иностранной литературы, 1963, 255 с.
2. Н.Г.Харatiшвили, И.М.Чхеидзе, Д.Ронсен. Пирамидальное кодирование изображений. = М., Радио и связь, 1996, 190 с.
3. Д.Ватолин, А.Ратушняк, М.Смирнов. Методы сжатия данных, сжатие изображений. – М., Диалог МИФИ, 2002, 384 с. ISBN 5-86404-170
4. А.Ю. Грищенцев. Эффективное сжатие изображений. //Журнал Радиоэлектроники, 2012, №11, сс.10-15.

SUMMARY

LABVIEW COMPUTER TECHNOLOGIES FOR EFFECTIVE IMAGE CODING (COMPRESSION)

Chkheidze I.M., Abzianidze N.E., Murjikneli G.G. and Gochoshvili T.G.

Georgian Technical University

The article discusses the expedience of using computer technologies for effective image coding. It shows how simple and clear it is to compress images in LabVIEW software environment using Fast Fourier Transformation. By the graphs, it is possible to evaluate theoretically the maximum value of the compression coefficient that corresponds to a certain permissible mean square error and subjective assessment of the quality of the obtained image.

Keywords: computer technologies, image coding, compression, fast Fourier transformation, LabVIEW.

**რევიუი სისტემის რჩეონას შდი სისტემის განსაზღვრის
განვითარების მიზანი და მისი თავისმაშრმბანი**

ეპიტაზები ი. ხ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მართვის მოწყობილობების პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების სფეროს გაფართოებით გაუარესდა მათი საექსპლუატაციო პირობები, რის გამოც საჭირო გახდა მართვის მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლების ხარისხის გაუმჯობესება. პირველ რიგში, ეს ეხება პირველადი გარდამსახის მუშაობას ისეთ პირობებში, როგორიცაა ამაღლებული ან დაბალი ტემპერატურა, აგრესიული გარემოს მოქმედება, ამაღლებული ვიბრაციის ინტენსივობა და სხვა ფაქტორები. ყოველივე ეს განაპირობებს პირველადი გარდამსახიდან მიღებული ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების ძიებას, რომლებიც მაღალი სიზუსტით განსაზღვრავენ მთავარი ინფორმატიული პარამეტრის სიდიდეს და უზრუნველყოფების სხვა დამატებითი, ხელისშემსლელი ფაქტორებით გამოწვეული ცდომილების შემცირებას, ან საერთოდ მათ გამორიცხვას.

არსებობს მრავალი სახის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრას და დაფუძნებულია სხვადასხვა სახის ფიზიკური თვისებების გამოყენებაზე. მათ შორის აღსანიშნავია ფართო ფუნქციონალური შესაძლებლობების მქონე მოწყობილობები და საშუალებები, რომელიც ემყარება არაელექტრული სიდიდის გარდასახვის მაღალსიხშირულ მეთოდებს [1-3].

ამ მეთოდებზე დაფუძნებული მოწყობილობების პირველადი გარდამსახის მგრძნობიარე ელემენტებს წარმოადგენს რხევითი სისტემა (რს).


რხევით სისტემას გააჩნია მრავალი მახასიათებელი პარამეტრი, მაგრამ აქედან პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება რხევითი სისტემის საკუთარი სისტემები და ვარგისიანობა. მათ შორის პირველადს წარმოადგენს რეზონანსული (საკუთარი) სისტემები და მეორადს – ვარგისიანობა.

ეს დაკავშირებულია რხევითი სისტემის საკმაოდ დიდ ინფორმაციულობასთან, რომელიც იძლევა არაელექტრული სიდიდეების განსაზღვრისა და კონტროლის მრავალი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას, კერძოდ, ისეთ ამოცანებში, როდესაც აუცილებელია უკონტაქტოდ კონტროლირებადი პარამეტრების განსაზღვრა.

ცნობილია რხევითი სისტემის ძირითადი პარამეტრის - რეზონანსული სისტემის განსაზღვრის საბაზო მეთოდები, რომლებიც კლასიფიცირდებიან შემდეგნაირად: 1. ავტოგენერატორული მეთოდი; 2. დარტექნიკის მეთოდი; 3. განშლადი მეთოდი; 4. მიმყოლი მეთოდი.

დასახელებული მეთოდებიდან და საშუალებებიდან პრაქტიკაში ყველაზე მეტად მისაღებია განშლადი მეთოდი და ამ მეთოდზე დაფუძნებული საშუალებები, რადგან სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, გაზომვის ცდომილება დაბალი ვარგისიანობის მქონე რს-სთვის შედარებით მცირება.

განშლადი მეთოდის დირსებაა მისი დიაპაზონის ქვეშ, სისტემების გადაფარვის ფართო დიაპაზონის მიღება მისი ქვედიაპაზონებად დაშლის გარეშე. ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა გავზარდოთ მანძილი გამოსაკვლევ ობიექტებისა და მართვის მოწყობილობას შორის. პრაქტიკაში ეს მანძილი შეადგენს 100-300 მ. მეთოდის ეს თვისება აფართოებს მის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს ტექნიკურ სისტემებში, სადაც პირველად გარდამსახად გამოიყენება რხევითი სისტემა, რომლის მთავარი ინფორმატიული პარამეტრიც მისი რეზონანსული სისტემების (ნახაზი).



განშლადი მეთოდით გაზომვის ამსახველი დროითი დიაგრამა

არსებობს განშლადი მეთოდის ორი სახესხვაობა: а) გადაცემის კოეფიციენტის მოდულის სიხშირეზე დამოკიდებულების მოხსნა წერტილების მიხედვით, რხევითი სისტემის ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის (ასმ) შემდგომი ინტერპოლაციით; ბ) ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის პანორამული გამოსახულების მიღება რხევითი სიხშირის გენერატორული მოწყობილობის დახმარებით.

პირველი ითვალისწინებს ვოლტმეტრის სინუსოიდალური სიგნალების გენერატორის ან სიმძლავრის მზომის გამოყენებას. ფიქსირებული სიხშირის სიგნალი გენერატორიდან მიეწოდება საკვლევ რხევით სისტემას, რომლის შესახვლელზე და გამოსახვლელზე იზომება სიგნალის დონეები. გადაცემის კოეფიციენტის მოდული გამოითვლება ფორმულით:

$$A = U_2 / U_1$$

სადაც A გადაცემის კოეფიციენტის მოდულია; U_2 / U_1 - ძაბვის დონე რხევითი სისტემის გამოსახვლელსა და შემოსახვლელზე.

როცა $U_2 < U_1$ ხდება სიგნალის შესუსტება და A კოეფიციენტს ეწოდება შესუსტების კოეფიციენტი, თუ $U_2 > U_1$ ხდება სიგნალის გაძლიერება და კოეფიციენტს გაძლიერების კოეფიციენტი ეწოდება.

პირველ სახესხვაობას გააჩნია რიგი უარყოფითი თვისება: ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის გრეხილის მოხსნა წერტილების მიხედვით, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია გაზომვის სიზუსტეზე და მოითხოვს ხანგრძლივ დროს, ამასთან, ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის წარმოსახვის დისკრეტულობის გამო შესაძლებელია გრეხილის მკვეთრი ცვლილებების უგულებელყოფა წერტილებს შორის შუალედებში.

ხანგრძლივი გაზომვებისას, გარემო ტემპერატურული ცვლილება აისახება ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის რეზონანსული მრუდის ხასიათზე და ამასინჯებს ჭეშმარიტ მრუდს.

ეს უარყოფითი თვისებები არ გააჩნია მეთოდის მეორე სახესხვაობას, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში და ენიჭება უფრო დიდი უპირატესობა. რხევითი სისტემის ასმ-ს პარამეტრების განსასაზღვრად გათვალისწინებულია გენე-

რატორის არსებობა, რომლის სიხშირე იცვლება განსაზღვრული კანონზომიერებით სიხშირის საჭირო ზოლში. გათვალისწინებულია აგრეთვე ინდიკატორის როლი, რომელიც ასახავს ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის გრეხილს. ასეთ ინდიკატორად შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ოსცილოგრაფიული დანადგარი, ისე ორკოორდინატორიანი თვითმწერი მოწყობილობა. პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული რხევითი სისტემის პარამეტრების განსაზღვრის ტიპიური სტრუქტურული სქემა შეიცავს შემდგა ძირითად ბლოკებს: სიხშირის გენერატორი, საკვლევი რხევითი სისტემა, ინდიკატორული მოწყობილობა, სამოდულაციო ძაბვის ბლოკი. სიგნალი რხევითი სისტემის გენერატორის საშუალებით მიეწოდება გამოსაკვლევი რხევითი სისტემის შესასვლელს. ამ რხევით სისტემასთან გადაცემის კოეფიციენტის მოდულის სიგნალის სიხშირეზე დამოკიდებულების არსებობის გამო, მის გამოსასვლელზე სიგნალი მოდულირებულია ამპლიტუდის მიხედვით. ამ სიგნალის მომვლები გამომუშავდება ამპლიტუდური დეტექტორის გამოსასვლელზე და მიეწოდება ინდიკატორული მოწყობილობის შემადგენლობაში, მართავს ინდიკატორის სხივს ვერტიკალზე საკვლევი რხევითი სისტემის ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის მრუდის გამოხატვით.

ასმის განმსაზღვრელ მოწყობილობაში, რომელიც შეესაბამება მოცემულ სტრუქტურულ სქემას, სხივის პორიზონტალურ მდგომარეობას ინდიკატორის ეკრანზე ასახავს რხევითი სისტემის შესასვლელზე ფორმირებული სიხშირული სიგნალი, ხოლო ვერტიკალურს - გადაცემის კოეფიციენტის მოდული ამავე სიხშირეზე. ამგვარად, ეკრანზე ავტომატურად ჩნდება ასმ-ს რეზონანსული მრუდი.

სიხშირის მნიშვნელობის განსასაზღვრად საჭიროა სიხშირული დანაყოფების სისტემის ფორმირება, რომელსაც ვიღებთ რეზონანსულ ვოლტმეტრში გამავალი სიგნალის დეტექტირებით.

დადგბითი თვისებების მიუხედავად, განშლადი მეთოდის ამ სახესხვაობას ახასიათებს თავისი უარყოფითი მხარეც - სიზუსტის შემცირება, რომელიც განპირობებულია ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლის მრუდის ყოველი წერტილის გაზომვის აუცილებლობით მოკლე დროში და სიზუსტის დამოკიდებულება გენერატორის ძაბვის არაწრფივ მოდულაციურ მახასიათებლებზე. ასეთი მეთოდის სიზუსტის გაუარესება დაკავშირებულია აგრეთვე ადამიანის მიერ შეტანილ ინდივიდუალურ ცდომილებაზეც (ხარვეზთან).

ლიტერატურა

1. ა. ფრანგიშვილი, ზ. აზმაიფარაშვილი, 6. ოთხოზორია, მ. ნარჩემაშვილი რხევითი სისტემების ინფორმაციული პარამეტრების განსაზღვრის მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება, კვლევა და ანალიზი. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017, 132 გვ.
2. ზ. აზმაიფარაშვილი, ო. ტომარაძე. სენსორები და ინტელექტუალური საზომი საშუალებები. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017, 498 გვ.
3. ზ. აზმაიფარაშვილი, გ. მურჯიკელი. მეტროლოგია და ელექტრული გაზომვები. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013, 408 გვ.

SUMMARY

DEPLOYABLE METHOD OF DETERMINATION OF THE RESONANCE FREQUENCY OF AN OSCILLATORY SYSTEM AND ITS SPECIFIC FEATURES

Epitashvili I.Z.

Georgian Technical University

The article deals with the deployable method of determination of the resonance frequency of an oscillating system. Two variations of the method are considered: a) determination of the dependence of the transmission coefficient modulus on the frequency by points with subsequent interpolation of the amplitude-frequency response (AFR) of the oscillating system; b) obtaining of the panoramic image of the amplitude-frequency response by using an oscillator and an indicator device. The first variation has a number of drawbacks, while the second one is free of them. The second variation is characterized by good properties, though it also has its negative points, which is expressed in the decrease in accuracy under the effect of various factors.

Keywords: oscillating system, resonance frequency, deployable method.

ორთოგონალურ ზიბოვბიანი, ორმხრივ სიღრუპებიანი, მონოლიტური
ბაზაზრვის ზოლების დაძაბულ-დეფორმირებული მდგრადარეობის
ეშპარიმენტული კვლევა

ზამბახიძე ლ.ი., ნინიძე თ.დ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. შესავალი

რკინა-ბეტონის გადახურვები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ელემენტებია სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში.

აღსანიშნავია, რომ კარგასულ ნაგებობებში ბეტონის საერთო ხარჯის 65 % გადახურვებზე მოდის, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია რკინაბეტონის გადახურვების რაციონალური ვარიანტის შერჩევა, მისი დამზადების ტექნოლოგიის, სიმტკიცის მახასითებლებისა და მასალების ეკონომიკურობის თვალსაზრისით.

წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში გამოიყენებოდა ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, კერძოდ სხვადასხვა ტიპის და მზიდუნარიანობის მქონე ანაკრები რკინა-ბეტონის ღრუბანიანი ფილები [1]. ღროთა განმავლობაში ის ჩაანაცვლა ე.წ. კლასიკური (რიგელებიანი) ტიპის, რკინაბეტონის გადახურვის ფილებმა, ხოლო ბოლო ხანებში ხშირი გამოყენება პოვა ურიგელო და ფარულ რიგელებიანი გადახურვის ფილებმა.

სიღრუპეებიანი ურიგელო მონოლითური გადახურვის ფილების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ბეტონისა და არმატურის ხარჯს, შესაბამისად მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგგა საშუალებას მოგვცემს მიღწეული იქნას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი.

ეკონომიკური ეფექტი იზრდება თუმცა ფილებში სიღრუპეები იქნება ორივე მიმართულებით.

მიუხედავად დიდი დაინტერესებისა ასეთი ტიპის გადახურვები ნაკლებადაა შესწავლილი, ხოლო არასაკმარისი ექსპერიმენტალური და თეორიული გამოკვლევები აფერხევენ ასეთი ტიპის გადახურვების გამოყენებას მშენებლობაში. ამიტომ ურიგელო ორმხრივ სიცარიელეებიანი გადახურვის ფილების დაბაზულ-დეფორმირებული მდგრამარეობის კვლევის საკითხები აქტუალურია თანამედროვე მშენებლობაში.

ექსპერიმენტალური კვლევების მიზანს წარმოადგენს ურიგელო სიღრუპეებიანი ფილის დაბაზულ-დეფორმირებული მდგრამარეობის კვლევა, რომლის შედეგებიც შემდგომში გამოყენებული იქნება ასეთი გადახურვების საანგარიშო სქემის დასაზუსტებლად.


2. პირითაღი ნაწილი

გამოკვლევებისათვის შერჩეული იქნა ორთოგონალურ წიბოებიანი ორმხრივ სიღრუპეებიანი მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილი (ნახ.1). ფილი დაყრდნობილია ოთხ წერტილში მონოლითური რკინა-ბეტონის 1,8 მ სიმაღლის სვეტებზე. სვეტების განივი კვეთია 30×30 სმ. გადახურვის ფილის განივი კვეთი ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.

გეომეტრიული პარამეტრების შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა ნატურული ექსპერიმენტის შესრულებისათვის ტექნიკური სირთულეების მინიმუმამდე დაყვანა. შემუშავებული და გადაწყვეტილი იქნა, როგორც სტენდის ზომები და კონსტრუქციის რეალიზაციის თავისებურებები, ასევე საექსპერიმენტო სტენდისათვის საგამოცდო დატვირთვების მოდება და საჭირო ანათვლების აღება [2].



ნახ.1. საცდელი ფილის საერთო ხედი



ნახ. 2. საზომი ხელსაწყოების განთავსების
სქემა და ფილის განივი კვეთი

სიღრუვეების წარმოსაქმნელად გამოყენებული იქნა ოთხეუთხა ფორმის პენოპლასტის 14 სმ-იანი ფილები (ნახ.2) ფილის მზიდ ელემენტებად მიღებული იქნა 5 სმ-იანი წიბოები, რომელთა ბიჯი 100 სმ-ია. წიბოები დაარმატურებულია Φ12 III კლასის არმატურის დეროვებით, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით.

ფილის ზედა და ქვედა შრეებში განთავსებული იქნა 6ΦAI კლასის არმატურა, ბიჯით 20 სმ.



ნახ. 2. ფილაში პენოპლასტის და არმირების
ზედა შრის მოწყობის პროცესი




ნახ. 3. ინდიკატორის ხედი ჩაღუნვების
გასაზომად

ექსპერიმენტის პროცესში განხორციელდა ფილის ჩაღუნვების გაზომვა სხვადასხვა დატვირთვებისა და სქემების შემთხვევაში (ცხრილი). ამ მიზნით წინასწარ შერჩეულ წერტილებში განთავსებული იქნა ინდიკატორები ჩაღუნვების გასაზომად (ნახ. 3).

ჩაღუნვებთან ერთად მიმდინარეობდა ბზარების ფიქსირება (ნახ.4). ბზარების წარმოქმნა დაიწყო, როცა დატვირთვა კვადრატულ მეტრზე შეადგენდა 350 კგ-ს. ბზარის მაქსიმალური გახსნის სიდიდე დაფიქსირდა 1,0 მმ. რის შემდეგაც მოხდა ფილის განტვირთვა.

ფილის ჩაღუნების გაზომვა სხვადასხვა დატვირთვებისა და სქემების შემთხვევაში

დატვირთვა ჩაღუნება	საკუთარი წონა დგარების მოხსნის მომენტი	საკუთარი წონა დგარების მოხსნიდან 24 სთ-ის შემდეგ	თანაბრად განაწილებული დატვირთვა 300 კგ/მ ² მოდების მომენტი	თანაბრად განაწილებული დატვირთვა 300 კგ/მ ² დგარების მოხსნიდან 24 სთ-ის შემდეგ
ანალიზის ვერტუალური ანალიზი	1	2,27	2,49	6,44
	2	3,32	3,72	12,5
	3	3,71	4,3	15,02
	4	0,87	0,76	1,19
	5	2,1	2,27	6,84
	6	0,62	0,58	0,76
	7	4,2	4,91	16,11
	8	4,48	5,1	16,03
	9	3,61	4,23	12,43



ნახ.4. ბზარების წარმოქმნის სქემა ფილის ქვედა ზედაპირზე

განტვირთვის შემდეგ დაფიქსირებული იქნა ნარჩენი დეფორმაციები.

ჩაღუნებისა და ბზარების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ორთოგონალურ წიბოებიანი ორმხრივ სიღრუვეებიანი მონოლითური რკინა-ბეტონის გადახურვის ფილა გამოირჩევა საკმარისი სიმტკიცით, მასზე მოდებული დატვირთვების მიმართ.

დასკვნა

ორთოგონალურ წიბოებიანი, ორმხრივ სიღრუვეებიანი მონოლითური რკინა-ბეტონის ფილების გამოყენებისას ბეტონის მოცულობის შემცირების ხარჯზე მცირდება შენობის მასა, შესაბამისად მცირდება ძალვები მზიდ კონსტრუქციებში, რაც ამ ელემენტებში იძლევა ბეტონის ხარჯისა და არმირების ეკონომიას.

ლიტერატურა

1. Руководство по проектированию железобетонных конструкций с безбалочными перекрытиями, – М.: Стройиздат 1979, 54с.
2. В.С Маркушева Планирование и организация эксперимента в строительстве: учебное пособие. ПГУПС, 2012, с. 64.

SUMMARY

EXPERIMENTAL STUDY ON THE STRESS-STRAIN STATE OF A SOLID REINFORCED CONCRETE SLAB WITH ORTHOGONAL RIBS AND DOUBLE-SIDED VOIDS

Zambakhidze L.I. and Ninidze T.D.

Georgian Technical University

An experimental study of the stress-strain of a solid reinforced concrete slab with orthogonal ribs and double-sided voids was carried out. It was revealed that the floors of this kind are characterized by a small amount of concrete in comparison with traditional ones. Hence the weight of the building is reduced, which results in saving concrete and fittings.

Keywords: reinforced concrete, floor, solid structure, voided slab, structural floor chart, orthogonal ribs, stress-strain state.

**ტრადიციული და სემიოფიკური ორნამენტის პროგლემა
XX საუკუნის არქიტექტურაში**

ჩუბინიძე თ.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოდერნისტული მინიმალიზმის შემდგომ დიზაინის და მშენებლობის ახალი საშუალებები ცვლიან ურთიერთობას დიზაინს, მშენებლობასა და მათ პროდუქტებს შორის. ინდუსტრიალიზაციამ პროდუქტის ზუსტი რეპლიკების საშუალება შექმნა. დღეს ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც კომპიუტერს ეფუძნებიან, ქმნიან ინდივიდუალურად ადაპტირებული და ელეგანტური, მეტწილად განუმეორებელი ობიექტების საშუალებას - მართალია, იმავე მანქანისა და მასობრივი წარმოების გამოყენებით. ამდენად, პირობები ფუნდამენტურად შეიცვალა: უკვე შეიძლება შეინიშნოს, რომ ხევბა გადაადგილება ორნამენტის, როგორც დეკორაციის გაგებიდან - ორნამენტის, როგორც პროცესის, ანუ ნარატივის, თხრობისაკენ.

ფუნქციის გარდა, შენობა დღეს საკუთარ კონტექსტს „იუენებს როგორც თემას. პარკი დედაქალაქში შეიძლება მნიშვნელოვანი ქალაქგარე ლანდშაფტის მოსაგონებლად გამოიყენო. კლდის წერზე აღმართული ბიბლიოთეკა უზარმაზარი ლოდის კონტურს გაგონებს. სახელმწიფო, რომელიც პირდაპირ წყალში დგას, ქარით დაბერილი აფრებით ნაოსნობის ისტორიას გვიყვება“ (van Raaij, 2014:7).

დღეს არქიტექტორი ცდილობს საკუთარი სათქმელი უნიკალური, ერთეული, ხატოვანი შენობებით მოგვახსენოს.


მოდერნისტულ მინიმალიზმს, მისი საყოველთაო გაბატონების დროშიც კი, გარკეეული წინააღმდეგობა ყოველთვის ახლდა. მაგრამ ადსანიშნავია, რომ მოდერნიზმისადმი წინააღმდეგობებს განსაკუთრებულად სპეციფიური სახე უახლეს პერიოდში მიეცა. უკანასკნელი 2 ათეულ წელიწადში მთელი რიგი არქიტექტურული ჯგუფებისა საკუთარი შემოქმედებით წინ აღუდგნენ არქიტექტურის განვითარების ძირითად ხაზს, აუჯანყდენ პოსტმოდერნისტულ ისტებლიშმენტს და შეცადნენ კრიტიკოსების და სხვა შემფასებლების მხიარული და საყურადღებო განწყობა გამოეწვიათ. მათ შორის წამყვანია ბრიტანული ჯგუფი FAT (რაც არ ითარგმნება „მსუქანი“ - სინამდვილეში ეს სახელწოდება სამი სიტყვის აბრევიატურა: Fashion Architecture Taste – „მოდა არქიტექტურა გემოვნება“).



ჯგუფი FAT

მისმა ლიდერმა ჩარლზ პოლანდმა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შეგვახსნა, რომ სინამდვილეში ორნამენტი ყოველთვის რჩებოდა არქიტექტურის თანდაყოლილ და მუდმივ ატრიბუტად. ლოოსის პოზიციას მან ასეთი კომენტარით გამოეხმაურა: „ლოოსის არგუმენტი ძალიან საინტერესოა, მე იგი ასე მესმის, რომ თითქოს იგი ბრძანებდა, რომ ორნამენტაცია მუშახელის, ძალისხმევის და ხელობის ფუჭი ხარჯვაა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა და წარმოებამ კი მოგვცა საშუალება, რომ მიგვედწია გართულების და თუნდაც დაბნეულობის ისეთ დონეზედ ისეთი მცირე საშუალებების გამოყენებით, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი არგუმენტი საპირისპირო მოვაბრუნოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორნამენტი სულაც არაა კრიმინალური სიამოვნება, არამედ იგი უფრო კომუნიკაციის იარაღია. მგონი, დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება უფრო კრიტიკულად გადავხედოთ მოდერნიზმს, რომელმაც არქიტექტურას სამრეწველო

მოტივები მიაბა, რათა იგი უფრო თანამედროვედ გამოჩენილიყო - რაც თავისთავად ორნამენტის ახალ სახედ იქცა“ (Heathcote, 2008).



ურენკ ლოიდ რაიტი – ორნამენტი გეგმის ჩანაფიქრში

მეოცე საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთი ბურჯი (როგორც მას მოიხსენიებენ) ურენკ ლოიდ რაიტი საკუთარ შემოქმედებაში, რომელიც 70 წელზე მეტი გაგრძელდა, ტრადიციული ორნამენტის სახეცვლილებას გვთავაზობს. თავის ნაშრომში „ქაბათა ქება არქიტექტურას“, რაიტი მიუთითებს: „ძირითადათ, ორნამენტი სტრუქტურის ფუძესა და კარკასთან გადაბმულია. საუკეთესო გაგებით, [ორნამენტი სტრუქტურის] კონსტიტუციური ნაწილია და შენობის გეგმის ჩანაფიქრში ვლინდება“ (Wright, 1986:22).

რაიტის პოზიცია „ინტეგრალური“ ორნამენტის იმგვარი მასშტაბით განხილვა, როცა შენობის მთლიანი ფორმა ორნამენტალური კომპოზიციის სახეს იღებს, პირველი განაცხადია. თუ კი რაიტი მეტწილად ფორმითად დაინტერესებული, ფრანგი ოგიუსტ პერე უბრადდებას რკინა-ბეტონის კარკასის ტექტონიკურ გამოხატულებას აქცევს.

პერე უბრალოდ ახერხებს კარკასი კონსტრუქციის კატეგორიიდან ხელოვნების ნიმუშის სტატუსში გადაიყვანოს. ექსპოზიციის ოეატრში პერე მზიდ კოლონებს ფასადის ორთავე - გარე და შიგა მხარეებზე ათავსებს და კლასიკური ტრადიციის სახეცვლილებას აღწევს: მნახველზე ფიქტოლოგიური უფექტის გასაძლიერებლად, კოლონები ორნამენტად იქცევა. ცხადია, რომ ეს „ორნამენტალიზებული“ სტრუქტურის ცხადი გამოვლინებაა, რაც თავად პერეს მიერვე გამოთქმულ პოზიციას დიამეტრალურად უპირისპირდება: „ვინც კოლონას მაღავს, ცდება, ხოლო ვინც ყალბ კოლონას დგამს - კრიმინალია“ [Hitchcock and Johnson, 1932, 1997:31].



ლუდვიგ მის ვან-დერ როე - „სიგრემ ბილდინგი“

უნდა ითქვას, რომ პერე არაა ერთადერთი, ვინც ნაგებობის ზეგავლენის გაძლიერების მიზნით საკუთარ პრინციპებს დალატობს. თვით ლუდვიგ მის ვან-დერ როემ თავის დღეს უკვე საკულტოდ ქცეულ სიგრემ-ბილდინგში - შესაძლოა, ყველაზე ელეგანტურ, რაფინირებულ და დახვეწილს ნიუ-იორკის ყველა ცათამბრჯენს შორის - სტრუქტურული ნორმების სრული უგულებელყოფით, კონსტრუქციის დატვირთვის საჭიროების გარეშე, ფასადის „ფარდა-კედელზე“ ლითონის მზიდი თრტესებრი

კოჭებით შექმნილ თითოეულ მაღლი იგივე პერიოდის კიდევ ორი კოჭი განათავსა - არსებითად, ისინი კონსტრუქციაზე ზედმეტად „ჩამოკიდა“, რითაც კოჭების რიგი დრამატულად გაახსმირა, სამჯერ დააწვრილა ფენესტრაციის მასშტაბი და შედეგად, ავტორისთვის ასე სასურველ, თითქმის გოთურ ვერტიკალურ რითმს მიაღწია.

იყო თუ არა ამ სხვა, უფრო ორთოდოქსალურ მოდერნისტთა შორის სემიოტიკური ორნამენტის გამოყენება, რაც 1956 წ. მის-ის სიგრემის შენობაში მოხდა, უბრალო გადახვევად თუ ეს ინტერნაციონალური სტილის დასასრულს მოასწავებდა? უნდა ითქვას, რომ გადახვევები ხშირი იყო. მაგ., ლე კორბუზიე, მისივე მანიფესტის საპირისპიროდ, რომელიც მან გამოაქვეყნა 1925 წ. პამფლეტში „დეკორატიული ხელოვნება დღეს“, ხშირად მიმართავს სემიოტიკურ ორნამენტს. მართალია, კორბუზიე არასოდეს იყენებს პერესეულ ტექტონიკურ ორნამენტს, მაგრამ არა ერთხელ ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ნაწილებს (მაგ., კარების ჩარჩოებს), შენობებში ჩნდება საკუთარი ან მეგობრის - ფერნან ლეეს ფრესკები, ხოლო 1945-52 წწ. მარსელის საცხოვრებელ ერთეულს უხვად ამშვენებს რელიეფები, პლასტიკური მცირე ფორმები და ქანდაკებებიც კი - რომ ადარაფერი ვთქვათ 1955 წ. რონშანის კაპელაზე, რომლის მთლიანობაში წარმოდგენა, როგორც ერთგვარი წარმართული ქანდაკებისა, რიტუალური სემიოტიკური ორნამენტისა, ძალზედ ადვილია.



ლე კორბუზიე - მარსელის საცხოვრებელი ერთეული

**ლე კორბუზიე -
რონშანის კაპელა**

თუ კი რაიტის, პერეს და კორბუზიეს ამ მაგალითებს დავუყრდნობით, გამოვა, რომ ორნამენტი არა უბრალოდ „დაბრუნდა, თუმცა ამჯერად მთლიანი შენობის მასშტაბში“ (van Raaij, 2014:14), არამედ რომ იგი არც არასოდეს გამქრალა. მის ვას დერ როემ და კორბუზიემ შეძლეს არა ორნამენტის ინკორპორირება, არამედ მისი სახეცვლილებულად წარმოჩენა - შენობისა თუ ქალაქის მასშტაბამდე მისი აღზევებით, წვრილად დატანილი, დეტალიზებული დეკორის ნაცვლად - ორნამენტის სემანტიზაციით და მისი ჩანერგვით შენობის სტრუქტურულ, ფუნქციონალურ და სოციალურ ქსოვილ ში.

ლიტერატურა:

1. Michiel van Raaij. Building as Ornament. -Rotterdam, Netherlands,:nai010 publishers, 2014, 240 p.
2. Edwin Heathcote. The Argument of Ornament//Financial Times, Feb 23, 2008
3. Frank Lloyd Wright. Studies and Executed Buildings by Frank Lloyd Wright. - New York, London, Rizzoli, 1986.
4. Henry Russell Hitchcock, Philip Johnson. The International Style. - W.W. Norton & Company; 1997, 272 p.

SUMMARY

ON THE PROBLEM OF TRADITIONAL AND SEMIOTIC ORNAMENTS IN THE 20TH CENTURY ARCHITECTURE

Chubinidze T.G.

Georgian Technical University

The article discusses the return of the ornament in architecture, after the minimalist era of early modernism, follows its transformation, the use of semiotic tools of expression to replace the traditional applied décor with the notion of the entire building as an ornament, and provides both historical and recent examples of building structures becoming the ornamental compositions.

Keywords: architecture, semiotic ornament, ornamental composition.

ВОЛНОВЫЕ ЗУБЧАТЫЕ ПЕРЕДАЧИ

Кахиани М.Р.

Инженерная академия Грузии

В большинстве машин-автоматов, технологических машин, автоматически действующих систем, транспортных машин и др. для передачи передаточного отношения могут быть использованы волновые передачи с некруглыми зубчатыми колесами.

Рассмотрим схему волнового зубчатого дифференциала (рис. 1). Коэффициент деформирования центроид 1, 2, примем $k = 4$, получим четырехволновую передачу. После этого с ведущим валом I—I соединим колеса 1, 2 с некруглыми цилиндрическими колесами 11, 12, а водило 4 соединим с валом I—I круглыми цилиндрическими колесами 13, 14 (рис. 1).

Валу I—I сообщим вращательное движение с постоянной угловой скоростью. От вала I—I через колеса 13, 14 водилу 4 передается вращательное движение с постоянной угловой скоростью, а колесам 1, 2 через колеса 11, 12 – с переменной угловой скоростью. Суммарное движение снимается с вала 10 гибкого колеса 3.




Рис. 1. Волновой дифференциал

Согласно формуле Виллиса, передаточное отношение дифференциала

$$u_{31}^4 = \frac{\varphi_3 - \varphi_4}{\varphi_1 - \varphi_4}, \quad (1)$$

а функция положения ведомого вала

$$\phi_3 = u_{31}^4 \phi_1 + (1 - u_{31}^4) \phi_4. \quad (2)$$

Функция положения жесткого колеса 1 определяется зависимостью

$$\varphi_1 = \varphi_{12} = -f(\varphi_{11})\varphi_1 = -f(\varphi_1)\varphi_1, \quad (3)$$

а функция положения водила 4 –

$$\varphi_4 = \varphi_{14} = -u_{13.14}\varphi_{13} = -u_{13.14}\varphi_1. \quad (4)$$

Тогда для функции положения и передаточного отношения дифференциала получим выражения:

$$\varphi_3 = \frac{r_1 - r_3}{r_3} u_{13.14} \varphi_1 - \frac{r_1}{r_3} f(\varphi_1) \varphi_1; \quad (5)$$

$$u_{31} = \frac{r_1 - r_3}{r_3} u_{13.14} - \frac{r_1}{r_3} f'(\varphi_1), \quad (6)$$

где $f(\varphi_1)$, $f'(\varphi_1)$ – функции положения колеса 12 и передаточного отношения колес 11, 12; r_1 – радиус-вектор колеса 1; r_3 – радиус делительной окружности колеса 3.

При вращении вала I–I с постоянной скоростью вал 10 совершают следующие движения: при $[(r_1 - r_3)/r_3] u_{13.14} > (r_1/r_3)f'(\varphi_1)$ – вращается с переменной скоростью в направлении вращения вала I–I; при $[(r_1 - r_3)/r_3] u_{13.14} < (r_1/r_3)f'(\varphi_1)$ – вращается с переменной скоростью против направления вращения вала I–I; при $[(r_1 - r_3)/r_3] u_{13.14} = (r_1/r_3)f'(\varphi_1)$ имеет выстой; при $[(r_1 - r_3)/r_3] u_{13.14} \geq (r_1/r_2)f'(\varphi_1)$ – совершает качательное движение с переменной скоростью; при $[(r_1 - r_3)/r_3] \times u_{13.14} \geq (r_1/r_3)f'(\varphi_1)$ и $[(r_1 - r_3)/r_3] u_{13.14} \leq (r_1/r_3)f'(\varphi_1)$ – совершает качательное движение с переменной скоростью с остановками.

При износе поверхностей качения некруглых роликов и гибких колес жесткие генераторы волн не смогут обеспечить нормальное зацепление зубьев гибких и жестких колес на полную рабочую высоту, что отрицательно повлияет на работоспособность передач. Поэтому возникает необходимость использования гибких генераторов волн. При использовании гибких генераторов волн отпадает необходимость использования дополнительных некруглых центральных сателлитных колес и роликов, что намного упрощает конструкции волновых передач. Кроме этого, при износе поверхностей качения круглых роликов, шариков и гибких колес гибкие генераторы волн автоматически обеспечивают зацепление зубьев гибких и жестких колес на полную рабочую высоту зубьев.

Рассмотрим некоторые вышеупомянутые схемы волновых передач с гибкими генераторами волн.




Рис. 2. Одноступенчатая передача

Волновая зубчатая передача (рис. 2) состоит из: жесткого некруглого цилиндрического колеса 1 с зубьями внутреннего зацепления, закрепленного неподвижно; гибкого колеса 3 с зубьями внешнего зацепления и водила 2, в цилиндрических отверстиях которого (рис. 3), с возможностью осевого перемещения, вставлены цилиндры 4, 5, в которых размещены пружины

6. На неподвижных осиках 7 цилиндров 4, с возможностью вращательного движения, установлены шарикоподшипники или шарики 8 (рис. 3, Б) (в случае использования шариков отсутствует необходимость использования осиков 7). В цилиндрах 4 завинчены винты 9 с возможностью перемещения в продольных призматических пазах водила. С целью регулирования силы сжатия пружин 6 в водиле завинчены винты 10.




Рис. 3. Гибкий генератор волн

При вращении водила ролики (шарики) обкатываются по внутренней поверхности гибкого колеса. По мере увеличения – уменьшения радиус – векторов жесткого колеса, пружины, растягивая – сжимая деформируют гибкое колесо и обеспечивают зацепление зубьев гибкого и жесткого колес. При переносном движении водила деформация гибкого колеса перемещается в качестве бегущей волны. Передаточное отношение определяется по формуле

$$u_{34}^1 = 1 - u_{31}^4 = 1 - \frac{r_1}{r_3} = - \frac{r_1 - r_3}{r_3}.$$

Одноступенчатая двухволновая торцевая зубчатая передача (рис. 4) состоит из: неподвижно закрепленного жесткого конического колеса 1 с наружными зубьями, у которого угол делительного конуса переменный; гибкого колеса 2, изготовленного в виде тонкостенного плоского зубчатого колеса с торцевыми зубьями, и водила 3 с гибкими генераторами волн.




Рис. 4. Одноступенчатая торцевая передача

В процессе работы, совершая вращательное движение с постоянной скоростью, водило 3, шарики 8 (рис. 3, Б) обкатываются по наружной поверхности гибкого колеса. По мере уменьшения-увеличения угла делительного конуса колеса 1 пружины 6, сжимая-растягивая вызывают деформирование гибкого колеса и зацепление зубьев колес 2, 1. При переносном движении водила деформация гибкого колеса перемещается в качестве бегущей волны. Передаточное отношение определяется формулой

$$u_{32}^1 = \frac{1}{1 - u_{21}^3} = -\frac{r_2}{r_1 - r_2}.$$

Двухволновая зубчатая передача (рис. 5) состоит из: неподвижно закрепленного гибкого колеса 1 с зубьями внутреннего зацепления; жесткого некруглого колеса 2 с зубьями внешнего зацепления и водила 3 с гибкими генераторами волн. Принцип работы передачи аналогичен принципу работы волновой передачи (рис. 2). Передаточное отношение определяется по формуле $u_{89}^1 = -\frac{r_1 - r_2}{r_2}$.




Рис. 5. Одноступенчатая передача

Использование гибких генераторов волн упрощает конструкцию волновой передачи, в тоже время осуществляется зацепление между колесами передачи по полной рабочей высоте зубьев, что увеличивает работоспособность передачи.

ЛИТЕРАТУРА

1. Варсимишвили Р.Ш., Варсимишвили З.Р. Волновые передачи. Патент. Грузия, GE 4531B. Б.И. 2008, № 21.

SUMMARY

WAVE GEARWHEELS

Kakhiani M.R.

Georgian Engineering Academy

The article deals with a new design of a wave-toothed differential with a four-way gear using non-circular wheels. The equations for calculations of the functions of the differential position and ratio are given. The movements of the driven differential shaft with obtained different movements of the driven link are analyzed. There is presented the construction solution of wave gear using flexible generators due to which the wave gear design becomes simpler and the technical conditions of engaging of the teeth of flexible and rigid wheels.

Keywords: wave gear, wave-toothed differential, flexible wave generators, gears with non-circular wheels.

მაგისტრალური მილსაჭრებით ენერგეტიკური განვითარების საქართველოს
ეკონომიკაზე პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტის უფლების მიხედვით

ცისკარიძე დ.გ., გეგეშიძე ე.ბ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს უნივერსიტეტი

ეკონომიკაში ამათუ იმ პოლიტიკის გავლენის შესასწავლად ძირითადად აკვირდებიან ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას, შესაბამისად მასზე ეკონომიკური გავლენის კვლევისათვის სტატიური გამოყენება ერთობლივი მოთხოვნის მულტიპლიკატორი. ეს მოდელი გამოიყენა პირველად ბ. არჩერმა 1976 წელს, ხოლო შემდეგში ი. ზორინმა, ვ. ნორბერტმა, მისი მოდიფიცირებული ვერსიები შემოგვთავაზეს, თუმცა უნდა აღინიშნოს ეს დაფუძნებულია კეისის ერთობლივი მოთხოვნის მოდელზე.

თავდაპირველად განვიხილოთ ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურა და როგორ არის შესაძლებელი მისგან მულტიპლიკატორის გამოყოფა როდესაც ეკონომიკა დახურულია

$$E = C + I + G \quad (1)$$

სადაც E – ეკონომიკაში მთლიანი ხარჯებია; C – მოხმარება; I – ინვესტიციები; G – სამთავრობო ხარჯები [1].

ასევე ხარჯები დამოკიდებულია განკარგვად შემოსავალზე და მოხმარებას აქვს შემდეგი დამოკიდებულება

$$C=c(Y-T) \quad (2)$$

სადაც Y – არის გამოშვება ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი; T – გადასახადებია; c – ხარჯებისადმი ზღვრული მიდრეკილება.

თუ (1) განტოლებაში შევიტანო (2)-ს მონაცემებს მივიღებთ

$$E=c(Y-T) + I + G \quad (3)$$

თუ ეკონომიკა წონასწორობაშია მაშინ გამოშვება დანახარჯების ტოლია ანუ $Y=E$ და თუ ინვესტიციები იზრდება ΔI ხარჯები იზრდება ΔY ხოლო დამოკიდებულების კოეფიციენტი ტოლია $\frac{\Delta I}{\Delta Y}$ -ის, ანუ ეს არის მულტიპლიკატორი ქეისის ჯვარის მიხედვით (ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გადაკვეთა). მულტიპლიკატორი არის ყოველთვის 1-ზე მეტი. რადგან მაღალი შემოსავალი იწვევს უფრო მაღალ მოხმარებას, რადგან გაზრდილი ინვესტიციები ან სამთავრობო ხარჯების ზრდა ასევე ზრდის შემოსავლებს.

მაგრამ რამდენად მაღალია მულტიპლიკატორი ზემოთ მოცემული განტოლებების (1-3) საფუძველზე შეგვიძლია მოვახდინოთ შემდეგი გარდაქმნები

$$Y=c(Y-T)+I+G$$

$$Y-cY=I+G-cT$$

$$(1-c)Y=I+G-cT$$

$$Y=(I+G-cT)/(1-c)$$

ხოლო ეკონომიკაში დამატებითი დანახარჯი ინვესტიციების სახით შემდეგ-ნაირად იმოქმედებს გამოშვებაზე

$$\Delta Y = \Delta I / (1 - c)$$

$$\Delta Y / \Delta I = 1 / (1 - c)$$

ანუ მულტიპლიკატორი უდრის $k = 1 / (1 - c)$ სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არის მოხმარებისადმი ზღვრული მიღრეკილება $(1 - c)$

ახლა განვიხილოთ დია ეკონომიკა, ანუ შემოვიჩანოთ ექსპორტი X და იმპორტი M , მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) დანახარჯების მიხედვით იქნება

$$Y = C - T + I + G + X - M$$

თუმცა ვიცით, რომ

$$C = c(Y - T),$$

ასევე

$$T = tY \text{ & } M = m(Y - T)$$

სადაც t – გადასახადების საშუალო პროცენტია; ხოლო m – ყოველ ერთ ლარ დანახარჯზე იმპორტის წილი.

მაშინ განტოლება ასე ჩამოყალიბდება

$$Y = c(Y - tY) + I + G + X - m(Y - tY)$$

$$Y - cY + ctY + mY - mtY = I + G + X$$

$$(1 - c + ct + m - mt)Y = I + G + X$$

$$Y = (I + G + X) / (1 - c + ct + m - mt)$$

$$\Delta Y = \Delta I / (1 - c + ct + m - mt)$$

$$\Delta Y / \Delta I = 1 / (1 - c + ct + m - mt) = 1 / (1 - c(1 - t) + m(1 - t))$$

ანუ დია ეკონომიკაში მულტიპლიკატორს აქვს შემდეგი სახე:

$$k_0 = \frac{1}{(1 - c(1 - t) + m(1 - t))} \quad (4)$$

ნებისმიერი დამატებითი დახარჯული ლარი სწორედ აღნიშნული მულტიპლიკატორით ახდენს გავლენას ეკონომიკაზე. მულტიპლიკატორის ქვეშ იგულისხმება კოეფიციენტი, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას შემოსავლის ცვლილებასა და ინვესტიციების (ან დამატებით ხარჯების) ცვლილებას შორის.

მულტიპლიკატორის ეფექტი ასახავს იმ არაპირდაპირ ზემოქმედებას ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელიც ინდუსტრიაში დახარჯული თანხით მიიღება.

მაგალითად, კოეფიციენტი 2,5 ნიშნავს, რომ ეკონომიკაში ენერგო ტრანზიტიდან შემოსული 1 ლარიდან მომავალში ეკონომიკაში შეიქნება 2,5 ლარი ანუ დამატებით 1,5 ლარი. მულტიპლიკატორი მოქმედებს შემდეგ სფეროებში: ვაჭრობა, პროდუქციის გამოშვება, შემოსავალი, მოსახლეობის დასაქმება და სახელმწიფო შემოსავალი.

თუ შესაძლებელია სხვა მოდიფიცირებულ ვერსიის გამოყენება მაგალითად [2]:

$$k_1 = \frac{1}{1-c+m} \quad (5)$$

სადაც k – მულტიპლიკატორია; 1 – ეკონომიკაში დახარჯული ერთი ლარი; c – მოხმარებისადმი მიღრებილება; m – იმპორტისადმი მიღრებილება.

აღნიშნულ ვერსიაში იგნორირებულია გადასახადები, თუმცა წარმოჩენილია იმპორტი. როდესაც დამატებითი თანხები იდება ეკონომიკაში, იზრდება ერთობლივი მოთხოვნა საქონელზე, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე იმპორტზეც, მყისიერად განხორციელებული ინვესტიციები ადგილობრივ ბაზრებზე ახდენს ან ფასების ზრდას ან იმპორტის გაზრდას.

მომდგრად ვერსია არის ინვესტიციებით მოდიფიცირებული ვარიანტი, ეს იმ შემთხვევაში არის ეფექტური, როცა საქართველოში მოქალაქეები არიან დაზოგვისადმი მიღრებილნი [3,4].

$$k_1 = \frac{1}{1-c+m-i} \quad (6)$$

სადაც I – ინვესტიციების წილობრივი მაჩვენებელია

ასევე ნორბერტმა შემოგვთავაზა გამოვთვალოთ მულტიპლიკატორი სპეციალურად ინდუსტრიებისთვის შემუშავებული ალტერნატიული ფორმულით [5]:

$$k_1 = \frac{1}{t+s+(1-t-s)m} \quad (7)$$

სადაც s – დანაზოგებისადმი ზღვრული მიღრებილებაა

ასევე რადგან ვიცით, რომ წონასწორობისას დანაზოგები და ინვესტიციები ერთმანეთის ტოლია შესაბამისად ფორმულა (7) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$k_2 = \frac{1}{t+i+(1-t-i)m} \quad (8)$$

აღნიშნული მულტიპლიკატორი ყველაზე ზუსტად ასახავს დია ეკონომიკის მაკროეკონომიკურ სიტუაციას, რადგან მასში გათვალისწინებულია, როგორც გადასახადები, ასევე ინვესტიციები და იმპორტი.

შემდგომი კვლევისათვის შევარჩიოთ შემდეგი ოთხი მულტიპლიკატორის ფორმულა:

$$k_0 = \frac{1}{(1 - c(1-t) + m(1-t))}$$

$$k_1 = \frac{1}{1 - c + m}$$

$$k_2 = \frac{1}{1 - c + m} = i$$

$$k_3 = \frac{1}{t + i + ((1-t-i)m)}$$

წვერის მიერ გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, მთლიანი შიდაპროდუქტი დანახარჯების მიხედვით 2012-2016 წლებში და მოვახდინეთ მისი სტრუქტურული ანალიზი, რომლის საშუალებითაც გავიგეთ კვლევისთვის საჭირო ცვლადების წილობრივი მნიშვნელობები, დეტალური მონაცემები მოცემულია დანართში, ხოლო მულტიპლიკატორში არსებული ცვლადები წილების მიხედვით წარმოდგენილია ცხრ. 1-ში [6-9].

ცხრილი 1. მშპ-ს სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე გამოთვლილი ცვლადები 2012-2016 წლებისთვის

მთლიანი შიდაპროდუქტი კატეგორიები	ცვლადი	2012	2013	2014	2015	2016
მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში		0.860 055	0.869 174	0.860 901	0.864 996	0.861 746
(+) გადასახადები პროდუქტებზე	t	0.144 838	0.136 308	0.144 204	0.139 988	0.143 208
(-) სუბსიდიები პროდუქტებზე		0.004 893	0.005 482	0.005 105	0.004 984	0.004 954
(=) მთლიანი შიდაპროდუქტი საბაზრო ფასებში		1	1	1	1	1
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	c	0.906 979	0.881 716	0.877 196	0.860 281	0.829 939
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	i	0.289 499	0.247 805	0.298 069	0.315 042	0.327 272
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	x	0.381 505	0.446 892	0.429 436	0.447 38	0.436 042
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	m	0.577 983	0.576 414	0.604 701	0.622 702	0.593 254
(=) მთლიანი შიდაპროდუქტი საბაზრო ფასებში		1	1	1	1	1

წყარო: დამუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან (საქსტატი, 2018) [10].

ცხრ. 1-ში მოცემულ მონაცემებს თუ შევიყვანო მულტიპლიკატორის ფორმულებში ვიღებთ შესაბამის კოეფიციენტებს ანუ მულტიპლიკატორებს. ცხრ. 2-ში

წარმოდგენილია შედეგები 2012-2016 წლების ზემოთ შერჩეული ოთხივე კატეგორიის მულტიპლიკატორისთვის.

ცხრილი 2. საქართველოს ეპონომიკის მულტიპლიკატორები 2012-2016 წლებში

მულტიპლიკატორი	2012	2013	2014	2015	2016
k_0	1.391488	1.358119	1.304121	1.256788	1.254375
k_1	1.490304	1.439476	1.374561	1.311611	1.310076
k_2	2.621196	2.237675	2.328635	2.235238	2.293355
k_3	1.313576	1.352963	1.282822	1.258837	1.274503
k საშუალო არითმეტიკული	1.704141	1.597058	1.572535	1.515618	1.533077

თუ გავაანალიზებთ მულტიპლიკატორებს შევამჩნევთ, რომ k_2 -ს მაჩვენებელი არის ყველაზე მაღალი, ეს არის სწორედ ის სადაც გადასახადები არ არის გათვალისწინებული და იგულისხმება, რომ მოქალაქეები ძალიან დამზოგველები არიან. დანარჩენი სამი მაჩვენებელი კი ერთმანეთს ძალიან გავს შედეგებით. თუმცა რადგან მაკროეკონომიკა აგრეგირებული მაჩვენებელია და ქვეყანაში ზოგი ძალიან დამზოგველია, ზოგი ზედმეტად მხარჯველი განვაზოგადოთ აღნიშნული მონაცემები და მოვახდინოთ ამ ოთხი კოეფიციენტის საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა, რაც იქნება საქართველოს ეკონომიკის აგრეგირებული მულტიპლიკატორი, რომელიც წლების მიხედვით მოცემულია ცხრ. 2-ის ბოლო გრაფაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით მიღსაღენით ტრანსპორტირების დირებულებას მშპ-ში ვამრავლებთ საქართველოს აგრეგირებულ მულტიპლიკატორზე წლების მიხედვით, რომლის შედეგებიც მოცემულია ცხრ. 3-ში.

ცხრილი 3. მიღსაღენებით ტრანსპორტირებით მიღებული შემოსავლის გაფლენა ეკონომიკაზე

წელი	მიღსაღენით ტრანსპორტირება მიღ. ლარი	k მულტიპლიკატორი	მიღსაღენების შემოსავლების ეკონომიკური გაფლენა მიღ. ლარი	მშპ საბაზისო ფასებში	გაფლენის %
2012	296.2	1.704141246	504.766637	22,505.3	2.2%
2013	305.2	1.597058183	487.4221575	23,335.0	2.1%
2014	293.00	1.572534745	460.7526804	25,095.7	1.8%
2015	320.4	1.51561847	485.6041578	27,468.4	1.8%
2016	307.8	1.533077023	471.8811076	29,323.9	1.6%
სულ:	1522.6	----	2410.42674	---	1,9% საშუალო

გამოთვლების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიღსაღენებით ტრანსპორტირებას საქართველოსთვის მოქონდა ყოველწლიურად ნახევარი მიღიარდი ლარი საშუალოდ, ხოლო ჯამობრივი მაჩვენებლით 5 წელიწადში 2,4 მიღიარდი ლარი შეადგინა. პლანირებული კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკის 1,9%-ს საქართველოში ქმნის მიღსაღენებით ტრანსპორტირება.

დანართი . მოლინი შედარღულები და მისი გამოყენება მირითადი კატეგორიების შეცვლით

მოლინი შედარღულები და მისი გამოყენება მირითადი დანართის შედეგის მიხედვით	კეტების კატეგორია	2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016	მინიცენტის ფრაქციულობის ანური
							(მიმღინარე ყასების, მდგ. ლარი)					
მოლინი შედარღულები და მისი გამოყენება მირითადი დანართის შედეგის მიხედვით	B.1g	22,505.3	23,335.0	25,095.7	27,468.4	29,323.9	0.86	0.87	0.86	0.86	0.86	0.86
(+) გადასახვები პროცესის სასახლის ფასების D.21	D.21	3,790.0	3,659.5	4,203.6	4,445.4	4,873.2	0.14	0.14	0.14	0.14	0.14	0.14
(-) ხელისივები პროცესის სასახლის ფასების D.31	D.31	128.0	147.2	148.8	158.3	168.6	0.00	0.01	0.01	0.01	0.00	0.00
(+) მოლინი შედარღულების სასახლის ფასების B.1*g	B.1*g	26,167.3	26,847.4	29,150.5	31,755.6	34,028.5	1	1	1	1	1	1
მოლინი შედარღულების სასახლის ფასების B.1*g	B.1*g											
ხარჯები საძირკო მინიცენტები	P.3	23,733.2	23,671.8	25,570.7	27,318.7	28,241.5	0.91	0.88	0.88	0.86	0.83	c
მინიცენტების შედეგი	P.3	18,220.3	18,622.1	20,117.4	20,990.1	21,272.3	0.70	0.69	0.69	0.66	0.63	
მშენებელის მინიცენტების მიმღინარე არაკონკრეტული ორგანიზაციები	P.3	880.3	571.0	587.7	659.5	716.0	0.03	0.02	0.02	0.02	0.02	
ხასებების შედეგი მართვის ორგანიზაციის	P.3	4,632.5	4,478.7	4,865.6	5,669.2	6,253.2	0.18	0.17	0.17	0.17	0.18	
ინდივიდუალური ხელისივების მინიცენტების	P.31	1,173.6	1,306.3	1,544.1	2,272.0	2,683.6	0.04	0.05	0.05	0.05	0.07	0.08
გადასახვების მინიცენტები	P.32	3,458.9	3,172.4	3,321.5	3,397.2	3,569.6	0.13	0.12	0.12	0.11	0.11	0.10
(+) მოლინი გამატებების შედეგის მინიცენტების	P.5	7,575.4	6,652.9	8,688.9	10,004.3	11,136.6	0.29	0.25	0.30	0.32	0.33	i
მირითადი გამატებების შედეგის შედეგის მინიცენტების	P.51	6,496.8	5,892.7	7,534.7	9,032.0	10,310.3	0.25	0.22	0.26	0.28	0.30	
მართვის ცენტრების განვითარების შედეგის მინიცენტების	P.52	1,078.6	760.2	1,154.1	972.3	826.2	0.04	0.03	0.04	0.03	0.02	
(+) საქართველოს მინიცენტების მინიცენტების	P.6	9,983.0	11,997.9	12,518.3	14,206.8	14,837.8	0.38	0.45	0.43	0.45	0.44	x
საქართველოს მინიცენტების	P.61	5,782.5	7,068.5	7,192.4	7,045.8	6,938.1	0.22	0.26	0.25	0.22	0.20	
მიმღინარე მინიცენტების	P.62	4,200.4	4,929.4	5,325.8	7,161.0	7,899.7	0.16	0.18	0.18	0.23	0.23	
(-) საქართველოს და მიმღინარე მინიცენტების მინიცენტები	P.7	15,124.3	15,475.2	17,627.3	19,774.3	20,187.5	0.58	0.58	0.60	0.62	0.59	m
საქართველოს მინიცენტების P.71	P.71	12,742.4	12,881.7	14,666.9	15,983.0	16,095.5	0.49	0.48	0.50	0.50	0.47	
მიმღინარე მინიცენტების	P.72	2,381.8	2,593.5	2,958.5	3,791.2	4,092.0	0.09	0.10	0.10	0.12	0.12	
(+) მოლინი გამატებების სასახლის ფასების	B.1*g	26,167.3	26,847.4	29,150.5	31,755.6	34,028.5	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	

1. G. Cameron. - Nuffield College of the University of Oxford, 2014. Retrieved from the work of Gavin Cameron, 02.10.2018: <https://www.nuffield.ox.ac.uk/Users/Cameron/lmh/pdf/m5-04.pdf>
2. J. Klijns, W. Heijman, D.K. Maris, J. Bryon. Criteria for comparing economic impact.// Tourism Economics, 2012, 18 (6), pp. 1175–1202.
3. Kemp, R. L Economic Development in Local Government. - Jefferson : McFarland & Company, Inc., Publishers, 1995.
4. Michael P. Todaro, Stephen C. Smith. Economic Development. - Harlow: Pearson Education Limited.
5. Norbert, V. Sense and Non-Sense Tourism Multiplier. -Bruges, Belgium, Tourist Research Center, 2005.
6. Robbins, L. The Theory of Economic Development. - London and Basingstoke: MacMillan and Co., Ltd., 1968.
7. Víctor Raúl López Ruiz; José Luis Alfaro Navarro; Domingo Nevado Peña. Economic Development and Intellectual Capital: An International Study. – Revista de Economica Mundial, 29, 211-236.
8. გეგეშიძე, ე. ტურიზმის ინდუსტრიის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“. –ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
9. ოლივიე, ბ. მაკროეკონომიკა. –თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
10. საქსტატი. (2018, 02 10). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. om საქსტატი: http://geostat.ge/?action=page&p_id=115&lang=geo

SUMMARY

THE IMACT OF MAIN PIPELINE ENERGY TRANSIT ON GEORGIAN ECONOMY ACCORDING TO THE KEYNESIAN MULTICRITERIA

Tsiskaridze D.G. and Gegeshidze E.B.

Georgian Technical University

University of Georgia

The article deals with the macroeconomic impact of energy transit in Georgia. The effect of the total demand growth on economic processes is determined by using a multiplier. The basic formula of the multiplier was derived. Multiplier mutations with various macroeconomic variations are presented, in total 4 multipliers are given. Structural analysis of gross domestic product expenditures presented by the National Statistics Office of Georgia was carried out. Based on it, the variables included in the multiplier for Georgian economy were identified. Finally, the impact of the income from energy transit via pipelines on Georgian economy in 2012-2016 is assessed by using multipliers.

Keywords: energy transit, Keynesian multiplier, macroeconomic impact.


**სამთო საზარმოების სამრეწველო ტრანსპორტის მართვის
აგფომატიზებული სისტემა**

მახაშვილი ქ.ა., გოდერძიშვილი გ.ი., იაშვილი ნ.გ., დოლიძე ა.გ., ხართიშვილი მ.პ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამთო მომპოვებელი და გამამდიდრებელი საწარმოების სპეციურობა, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ერთეულების განლაგება და მათი ურთიერთკავშირები განსაზღვრავენ კონკრეტული ობიექტისათვის შიდა საქართვის გადაზიდვებისათვის სამრეწველო ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების გამოყენებას. გარდა ტრანსპორტის ტრადიციული სახეობისა (საავტომობილო და სარკინიგზო) სამთო საწარმოებში გამოიყენება სამრეწველო ტრანსპორტის ისეთი სახეობები როგორებიცაა კიდული საბაგირო, ანევმო- და ჰიდრომილსადენი, კონვეირული, ლენტური და სხვა სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტის.

სამთო საწარმოებში გამოიყენებული სამრეწველო ტრანსპორტის სპეციალურ სახეობათა კლასიფიკაციის ზოგადი სქემა ნაჩვენებია ნახაზზე 1.



ნახ. 1. სამრეწველო ტრანსპორტის სპეციალურ სახეობათა კლასიფიკაციის ზოგადი სქემა


სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოსათვის ტრადიციული ტრანსპორტის – რკინიგზისა და სატვირთო ავტომობილების მართვის ამოცანები არ განსხვავდებიან მეურნეობის სხვა დარგებში რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მართვის ამოცანებისაგან. ასევე თითქმის იდენტურია ამ ამოცანების გადაწყვეტის გზები. ჩვენს მიზანს წარმოადგენს ტრანსპორტის სპეციალური სახეობებისათვის მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავება (საკითხი პირველად დაისვა და მიღებულია ორიგინალური გადაწყვეტილებები) [1].

სამთო საწარმოოს ტერიტორიაზე ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია სამრეწველო ტრანსპორტის სხვადასხვა სახის კომპლექსური გამოყენება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ტვირთების ტრანსპორტირების სარჯები მნიშვნელოვნად მცირდება [1,2].


სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოსათვის ტრანსპორტის მართვის სისტემაში გათვალისწინებულია შემდეგი კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტა:

1. სატრანსპორტო დანაყოფების მუშაობის დაგეგმვა;
2. მუშაობის სადღედამისო და საკვირაო გრაფიკების გამოთვლა და შედგენა;
3. სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების აღრიცხვა და მუშაობის ანალიზი;
4. სატრანსპორტო დანაყოფების ოპერატორული ანგარიშების შედგენა;
5. სამრეწველო ტრანსპორტის ოპერატორული-დისპეტჩერული მართვა.

სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოსათვის ტრანსპორტის მართვის სისტემის სტრუქტურა განვიხილეთ „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოსათვის (ნახ.2).



ნახ.2. სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოსათვის ტრანსპორტის მართვის სისტემის სტრუქტურა



ნახ. 3. სატრანსპორტო ამოცანის ამონენის განზოგადებული ალგორითმის ბლოკ-სქემა

ტრანსპორტის ოპერატორის მართვის სისტემა წარმოადგენს საწარმოს მართვის სისტემის ნაწილს (ქვესისტემას) და ამოცანების გადაწყვეტა შეთანხმებული უნდა იყოს სხვა ფუნქციონალურ ქვესისტემებთან [2,4].

ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში საავტომობილო სატვირთო ტრანსპორტი წარმოადგენს ძირითად ან ზოგჯერ ერთადერთ საშუალებას მაღის მოპოვების ადგილებიდან მის გადამუშავების სხვა ადგილებამდე ან მომხმარებლებთან ტრანსპორტირებისათვის [3,4].

ჩვენს მიერ შედგენილია მაღაროებსა და კარიერებზე სატვირთო თვითმცლელი ავტომობილების ოპტიმალური განაწილების ამოცანის ამოხსნის ალგორითმები, რის-თვისაც გამოყენებულია სატრანსპორტო ამოცანის წრფივი პროგრამირების კლასიკური მეთოდი. ამოცანების ამოხსნის განზოგადებული ალგორითმის ბლოკ-სქემა ნაჩვენებია ნახ. 3-ზე.

ალგორითმის მთავარ რგოლს საწყისი მატრიცის შედგენა წარმოადგენს, რომელშიც ისახება ტვირთის გაგზავნის ობიექტები, ჩვენს შემთხვევაში ექვე (A, B, C, D, E და F) და ტვირთის მიმღები ოთხი სახის სატვირთო ავტომობილი (a, b, c, და d), კონკრეტულად 3ИЛ, КрАЗ და БелАЗ-ის (ტვირთამწეობით 27 და 40 ტონა). სატრანსპორტო ამოცანის ამოხსნის საწყისი მატრიცის სახე ნაჩვენებია ცხრილში.

ტვირთის გამზავნი j	ტვირთის მიმღები i				სულ რესურსებზე $\sum R_i$
	a	b	c	d	
A	S_{Aa} X_{Aa}	S_{Ab} X_{Ab}	S_{Ac} X_{Ac}	S_{Ad} X_{Ad}	R_A
B	S_{Ba} X_{Ba}	S_{Bb} X_{Bb}	S_{Bc} X_{Bc}	S_{Bd} X_{Bd}	R_B
C	S_{Ca} X_{Ca}	S_{Cb} X_{Cb}	S_{Cc} X_{Cc}	S_{Cd} X_{Cd}	R_C
D	S_{Dd} X_{Dd}	S_{Db} X_{Db}	S_{Dc} X_{Dc}	S_{Dd} X_{Dd}	R_D
E	S_{Ea} X_{Ea}	S_{Eb} X_{Eb}	S_{Ec} X_{Ec}	S_{Ed} X_{Ed}	R_E
F	S_{Fa} X_{Fa}	S_{Fb} X_{Fb}	S_{Fc} X_{Fc}	S_{Fd} X_{Fd}	R_F
W _j	W _a	W _b	W _c	W _d	$\sum R_i = \sum W_i$

ტრანსპორტის სპეციალურ სახეობათა მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის ამოცანების დანერგვა სამთო მომპოვებელი და გამამდიდრებელ საწარმოებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. კერძოდ, სატვირთო ავტომობილების ოპტიმალური განაწილების ამოცანის დანერგვის შედეგად შემცირდება თვითმცლელების რეისების რაოდენობა, რის შედეგადაც დაიზოგება ავტომობილების საწავავი და გაიზარდება მანქანების ნაწილებისა და კვანძების მუშაობის სანგრძლივობა.

ლიტერატურა

1. Журавлев Н.П., Маликов О.Б. Транспортно-грузовые системы. -М., Маршрут, 2007, 368 с.
2. Федоров Л.С., Персланов В.А., Мухамединов Н.Б. Общий курс транспортной логистики. учебник. -М., КноРус, 2011, 312 с.
3. 6. იაშვილი. მაღის მომპოვებელი საწარმოების სამრეწველო ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემა. აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადებიდან 85 წლისთვის მიღებილი საერთაშორისო სამუნიკირო კონფერენცია. „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“. თბილისი, 2015, 3-5 ნოემბერი.
4. Беляев В.М. Организация автомобильных перевозок. -М., МАДИ, 2014.

SUMMARY

AUTOMATED CONTROL COMPLEX FOR INDUSTRIAL MINING TRANSPORT

Makhashvili K.A., Goderdzishvili G.I., Iashvili N.G., Dolidze A.V. and Khartishvili M.P.

Georgian Technical University

Besides traditional transport (automobile and railroad), at mine industry other kinds of transport such as aerial tramways, hydraulic and pneumatic pipelines as well as conveyor transport are employed. The article deals with the development of a complex of tasks for automated control of industrial transport of various kinds for mining plants. Primary attention is given to the specificity of accomplishment of the tasks of account and analysis, and calculation of work schedules of specific transport.

Keywords: industrial transport, mining industry, automated control system.

ИССЛЕДОВАНИЕ СТРУКТУРНЫХ ПРЕВРАЩЕНИЙ В НЕКОТОРЫХ УГЛЕРОДНЫХ МАТЕРИАЛАХ ПРИ ВЫСОКИХ ТЕМПЕРАТУРАХ

Лоладзе Н.Т., Церодзе М.П., Габуния В.М., Пхаладзе Т.Б., Авалишвили З.А.

Грузинский технический университет

Зависимости процесса синтеза алмазов от природы исходного углеродного вещества посвящен ряд работ [1-3]. Установлено, что при синтезе алмаза в области его термодинамической устойчивости из разных углеродсодержащих исходных материалов выход алмазов колеблется весьма существенно, а иногда превращение вообще не происходит.

Выявлено, что лишь углеграфитовые материалы с хорошо сформированной кристаллической структурой, т.е с высокой степенью графитации γ_{002} , легко трансформируются в алмаз и характеризуются высокой степенью превращения α . Показателем совершенства кристаллической структуры углеродных материалов, как известно, принято считать их степень графитации, выраженную как

$$\gamma_{002} = \frac{3,44 - d_{002}}{3,44 - 3,354} \quad (1)$$

где d_{002} – межплоскостное расстояние углеродного материала по направлению (002); 3,354 – межплоскостное расстояние в совершенном природном графите; 3,344 – межплоскостное расстояние в совершенном природном графите [4].

Еще одним важным структурным параметром при характеристике углеродных и углеграфитовых материалов являются следующие величины – La диаметр и толщина (высота) Lc кристаллов (пакетов) графита.

Размеры гексагональных слоев определяются по формуле Селякова-Шерера

$$L = \frac{k\lambda}{\cos \theta \beta} \quad (2)$$

вдоль оси (Lc) и оси (La); L - размер кристаллита, A; λ - длина волны, равная 1,54 A; θ - угол отражения; β - полуширина линии в радианах, определяемая по середине максимума интенсивности; Lc - измеряется по полуширине линии (002); La - по полуширине нитей (100) или (110), k - фактор формы. При определении Lc k= 0,9, при определении La k= 1,84.

Наиболее разупорядоченные формы углерода с наиболее низкими значениями γ_{002} , (сажи, коксы и т.п.) вообще не способны превращаться в алмаз, несмотря на их повышенную активность по сравнению с хорошо структурированными графитами [5-8].


Для получения дополнительных сведений необходимых для понимания механизма алмазообразования, нами была поставлена задача изучить структурные и фазовые изменения в конкретном углеродном и углеграфитовом материале посредством различных режимов термообработки. Тем самым, используя одно и тоже углеродное сырье одной природы, можно было получить углеродные материалы с различной кристаллической структурой.

В дальнейшем выявление определенных закономерностей по поведению различных по структуре и степени графитации углеродных материалов в условиях каталитического синтеза алмазов дадут ценную информацию для лучшего понимания механизма алмазообразования в условиях высоких давлений (P) и температур (T).

В качестве исследуемого вещества был выбран углеродный материал, являющийся продуктом отхода процесса окислительного пиролиза метана (УПМ). УПМ относится к классу саж и представляет собой высокодисперсное кристаллографически (рентгеново) аморфное вещество с турбостратной структурой.

Указанный углеродный материал подвергался термической обработке при температурах 1120, 1470, 1870 и 2470 К в течение 60 мин в вакууме. Термической обработке в вакууме подвергался также углеграфитовый материал марки ГМЗ при тех же температурах в течение 15 мин и 60 мин. Данные примесного состава термообработанных углеродных материалов показывают, что термическая обработка материалов не оказывает существенного влияния на их химический состав. Общее содержание металлических примесей до и после термообработки остается на одном уровне и составляет не более 0,5 мас%. Незначительные изменения концентрации Al, B, Si, Си, Ca, Fe при высокотемпературной обработке ($T > 1870$ К) для графита ГМЗ, а также УПМ-1870 и УПМ-2470, по всей вероятности, не могут оказать заметного влияния на процесс кристаллизации алмаза из указанных материалов. На основании проведенных электроннографических исследований углеродного материала УПМ (Х 200000) установлено, что по мере возрастания температуры обработки наблюдается увеличение среднеарифметического размера элементарных частиц (зерен) от 35-40 нм (до обработки) до 55-60 нм при температуре обработки 2470 К. Форма частиц не претерпевает заметных изменений и остается характерной для сажистых образований (сфериодальная).

На рисунке представлены результаты рентгеноструктурного анализа указанных материалов. В процессе термической обработки по мере повышения температуры совершенствуется кристаллическая структура углеродного материала УПМ: уменьшается межслоевое расстояние, растет размер пакетов углеродных слоев, протекает взаимная ориентация слоев. Так, межплоскостное расстояние d_{002} для данных образцов уменьшается от 3,715 до 3,405 Å, а толщина пакетов увеличивается от 20-25 до 100-110 Å.



Изменение межплоскостного расстояния d_{002} (а) и размеров кристаллов L_c (б) углеродных материалов ГМЗ-ОСЧ и УПМ в результате термообработки
- - - при выдержке 900 с и — при выдержке 3600 с.

На рентгенограммах отсутствуют отражения типа (101), (102) и (112), которые являются признаком трехмерной упорядоченности материала. Вплоть до температур 2470К УПМ остается турбостратным, однако, за счет упорядочения увеличились размеры его слоевых образований, свидетельством чего является уменьшение полуширины линий отражения (002) и (110). Показатель степени графитации γ_{002} , вычисленный по формуле (1), у этих материалов увеличился от 0 до 0,45.

Наиболее существенные изменения межплоскостного расстояния d_{002} наблюдаются в температурном интервале 1470-1870 К. При дальнейшем увеличении Т обработки до 2470 К значение расстояний d_{002} остается практически на одном уровне и составляет 3,405 Å. В этом же температурном интервале наблюдается наиболее заметное увеличение толщины пакетов (кристаллов) Lc. Толщина углеродных слоев в температурном интервале 1870-2470 К увеличивается в 2-2,5 раза от 4-5 нм до 10-11 нм, что является характерным для предкристаллизационного периода графитации углеродных материалов.

Было установлено, что в отличие от УПМ термообработка не оказывает заметного влияния на структуру углекарбонового материала ГМЗ ОСЧ. Как известно, углеродный материал ГМЗ представляет собой искусственный графит со степенью графитации $\gamma_{002} = 0,7$. Термообработка указанного материала при времени выдержки 15 мин. не оказывает влияния на межплоскостное расстояние d_{002} а также на размеры кристаллов Lc, которые остаются практически неизменными. Не протекает дальнейшая графитация и совершенствование структуры материала и при более длительных выдержках при температурах 1870-2470 К. При увеличении температуры обработки с 1870 до 2470 К наблюдается некоторая тенденция возрастания размеров кристаллитов по направлению (002) с 13 нм до 16 нм, при этом величина d_{002} остается практически неизменной (рисунок а и б).

ЛИТЕРАТУРА

- Л.Е. Штернберг., С.В. Богданова., В.И. Слесарев. Влияние высокого давления на структуру некоторых углеродных материалов. //Изв.АН ССР, серия Неорганические материалы, 1977, т.13, №8, сс. 1424-1428.
- R.H. Wentorf. The Behavior of some Carbonaceous Materials at Very High Pressures and High Temperatures. //Carbonaceous Materials at High Pressures and Temperatures, 1965, Vol. 9, No. 9, pp. 3063-3069.
- A.Tsuzuki, S. Hirano, S. Naka. Influencing factors for diamond formation from several starting carbons. //J.Mater. Sci., 1985, 20,6, pp.2260-2264.
- M. Inagaki, S. Naka. Crystallite orientation in polycrystalline graphites made from glass-like carbons under high pressure.//J. Mater. Sci., 1975, 10, 5,pp.814-818.
- Н.Т. Лоладзе. Алмазы и другие углеродные материалы. Монография. – Тбилиси, Технический Университет, 2009, 330с.
- J.Y. Choi, K.Y. Eun, S.J. Kang. Effect of carbon crystallinity on the nucleation and growth of diamond under high pressure and high temperature. //Diamond Relat. Mater, 1998, 7(8), pp.1196-1200.
- A.L. Skury, G.S. Bobrovitchii, S.N. Monteiro. Effect of the graphite perfection on the HP-HT diamond synthesis in a Ni-Mn-C system. //Diamond Relat. Mater., 2004, 13, pp.1725-1730..
- A.L. Skury, G.S. Babrovnitchi, S.N. Monteiro. Influence of the graphitization process on the synthesis of diamonds from a C-Ni-Mn system. //J. Super hard Mater., 2001, 5, pp.3-8.

SUMMARY

INVESTIGATION OF STRUCTURAL TRANSFORMATIONS IN SOME CARBON MATERIALS AT HIGH TEMPERATURES

Loladze N.T., Tserodze M.P., Gabunia V.M., Pkhaladze T.B. and Avalishvili Z.A.

Georgian Technical University

Changes in the structure of carbon materials - carbon black and graphite of the GMZ grade after heat treatment over the temperature range 1120-2200K were studied. The changes in the d_{002} degree of graphitization of γ_{002} and the sizes of the crystallites La and Lc were determined as a function of the processing temperature of the materials under study.

Keywords: carbon materials, structural transformation, graphitization, high temperature.

**ბორჯომის მინერალური წყლის საბაზო გამლობანი-ყვიბისის
უბის მარაბების შეზასხვა**

კოროშინაძე თ.ო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბორჯომის მინერალური წყლები უძველესი დროიდან არის ცნობილი. 1912-1913 წწ. ინჟინერ პ. კონშინის მიერ ბორჯომის წყაროების კაპტაჟების მშენებლობის დროს აღმოჩენილი იქნა უძველესი ქვის აბაზანების ნაშთები, რომლებიც მისი შეხედულებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეს მიეკუთვნება. მავე აზრს იზიარებდნენ არქეოლოგი, პროფესორი გიორგი ნიორაძე, ბორჯომის მამულის მმართველი პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი და აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი [1].


გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბორჯომის მინერალური წყლები დაგიწყებას მიეცა, რაც საქართველოს ამ რეგიონზე მტრის ხშირი თავდასხმებით იყო განპირობებული. XIX საუკუნის დასაწყისში ბორჯომის მინერალური წყლები კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა და აქედან იწყება მისი შესწავლისა და ათვისების ახალი ეტაპი. ამ დროიდან მოყოლებული ბორჯომის პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და დღეს მას მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში იცნობენ.

ბუნებრივია, ბოლო პერიოდში საკითხი ბორჯომის მინერალური წყლის საექსპლუატაციო რესურსების რაოდენობის შესახებ ფრიად აქტუალური გახდა და მის შესწავლასა და შეფასებას უდიდესი ყურადღება ექცევა.

2014 წელს წელს ლიცენზიის მფლობელი კომპანიის - „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ მიერ შემუშავებული იქნა სამუშაოთა პროგრამა ბორჯომის მინერალური წყლის საბაზოს კომპლექსური შესწავლისა და მისი საექსპლუატაციო მარაგების გადათვლის მიზნით. პროგრამის შესასრულებლად მოწვეული იქნა რუსული კომპანია „პიდეკი“ და მისი განხორციელება 2015-2018 წწ. დაიგეგმა.

პროგრამით გათვალისწინებული იყო: საფონდო და ლიტერატურული მასალის ანალიზი; ჭაბურღილების აღჭურვა დებიტის, ტემპერატურის, წნევის/დონის მზომი ავტომატური ხელსაწყოებით; ჭაბურღილებში კომპლექსური გეოფიზიკური გამოკვლევების, მათ შორის ვიდეო კაროტაჟის ჩატარება; საბაზოს ტერიტორიის სამივე უბნის აკვატორიული ჰიდროგეოლოგიური აგეგმვა; ჭაბურღილებიდან მოკლე და საშუალო ვადიანი საცდელ-ფილტრაციული გამოშვებებისა და ამოტუმბვების ჩატარება; შერჩეული ჭაბურღილებიდან საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებებისა და ამოტუმბვების ჩატარება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში; საექსპლუატაციო მარაგების გადათვლა და მათი დამტკიცება მარაგების სახელმწიფო კომისიაზე;

ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე ბურღვითი სამუშაოები 1958 წელს დაიწყო, როდესაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაიბურდა №9 ჭაბურღილი. სულ უბანზე 1958-1979 წწ. გაყვანილი იქნა 12 ღრმა (1 500 მ-დე სიღრის) ჭაბურღილი (ნახ. 1). დღევანდელი მდგომარეობით უბანზე ფუნქციონირებს 9 ჭაბურღილი, მათგან ხუთი საექსპლუატაციო (№№25-ე, 37, 38, 38-ე), და ორი დასაკვირვებელი (№№9, 37-ე), და სამი საცდელ-დასაკვირვებელი №№ 47,67,70). სამი ჭაბურღილი ლიკვიდირებულია.



ნახ. 1. ჭაბურღილების განლაგების სქემა ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე

ცხრილი 1-ში მოცემულია ვაშლოვანი-ყვიბისის უბნის პიდროგეოლოგიური რეჟიმის დახასიათება, გამოყოფილია სამი ძირითადი ეტაპი, რომელიც მოიცავს 1960-2015 წწ. პერიოდს, დაანგარიშებულია მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური წყალაღებები. აღწერილია თითოეული ეტაპისათვის პიდროგეოლოგიური რეჟიმი.

ცხრილი 1. ვაშლოვანი-ყვიბისის უბნის პიდროგეოლოგიური რეჟიმის ეტაპები 1960-1979 წწ.

Nº	პერიოდი	წყალაღება მ³/დღ.ღ.	ეტაპის დახასიათება
1.	1960-1979	საშ.	740
		მინ.	385
		მაქს.	1530
2.	1980-1992	საშ.	400
		მინ.	355
		მაქს.	440
3.	1993-2015	საშ.	250
		მინ.	160
		მაქს.	285

ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე საექსპლუატაციო მარაგები დამტკიცებული იქნა ოთხჯერ 1963, 1968, 1983 და 2006 წწ. აქედან პირველი სამი საბჭოთა კავშირის, ხოლო 2006 წელს საქართველოს მარაგების სახელმწიფო კომისიის მიერ [2,3].

1963 და 1968 წწ. გაშლოვანი-ყვიბისის უბანზე მარაგები დამტკიცებული იქნა მარაგების გაზრდილი ოდენობებით (შესაბამისად 1326 მ³ და 750 მ³ დღე/დამეში), ვინაიდან მონაცემები ეყრდნობოდა ჯამური დებიტების მონაცემების ექსტრაპოლაციას განუსაზღვრული წნევიანი ფენისათვის, რაც არ შეესაბამება საბადოს რეალურ გეოლოგიურ-პიდროგეოლოგიურ პირობებს და რამაც გამოიწვია მარაგების გადამეტებული შეფასება.

1983 წლის შემდგომ პერიოდში მარაგების ანგარიშის ავტორების მიერ შეიცვალა მიღვიმა, მარაგების გადათვლა ხდებოდა პიდრავლიკური მეთოდით შემოსაზღვრული ფენისათვის და საბოლოოდ მიღებული მონაცემები შეესაბამებოდა უბანზე არსებულ რეალურ სურათს. დამტკიცებული მარაგების რეალობა დადასტურბული იქნა უბანზე 1983-20017 წლებში რეჟიმული მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზით.

დღემდებული მდგომარებით გაშლოვანი-ყვიბისის უბნის დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგები დღე/დამეში 300,3 მ³ შეადგენს.

2015 წლიდან დღემდე მიმდინარე პროგრამის ფარგლებში გაშლოვანი-ყვიბისის უბანზე ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:


- პიდროგეოლოგიური, ქიმიური და გაზური აგეგმვა.
 - ყველა ჭაბურღილის კომპლექსური გეოფიზიკური გამოკვლევა 400 მეტრ სიღრმემდე, მათ შორის ვიდეოკაროტაჟი [4]. აღსანიშნავია, რომ ვიდეოკაროტაჟის მეთოდით ბურღილების შესწავლა საქართველოში პირველად ბორჯომის მინერალური წყლების საბადოზე ჩატარდა.
 - ყველა ჭაბურღილი აღიჭურვა დონის/წნევის მზომი სიღრმული და ზედაპირული ზონებით, დებიტის, ტემპერატურისა და მშრალი ნაშთის მზომი ავტომატური ხელსაწყოებით.
 - საშუალო და მოკლევადიანი საცდელ-ფილტრაციული გამოშვებები და ამოტუმბვები, რის შედეგადაც განისაზღვრა ჭაბურღილების ხვედრითი დებიტები [5].
- ჩატარებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე თითოეული ჭაბურღილისათვის შეირჩა საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებების და ამოტუმბვების რეჟიმები და განისაზღვრა მათი სანგრძლივობა (ცხრ. 2).

ცხრილი 2. გაშლოვანი-ყვიბისის უბნის ჭაბურღილების დამტკიცებული მარაგები და საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებები და ამოტუმბვები 2016-2018 წწ.

№	ჭაბ. №	დამტკიცებული მარაგები, მ³/დღ.დ.	საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებები/ამოტუმბვები, მ³/დღ.დ.
1	25	120	120
2	37	30	30
3	38 ქ	95	95
4	38	35,3	35,3
5	70	20	20
6	47	-	80
7	70	-	20
სულ		300,3	400,3

გაშლოვანი-ყვიბისის უბანზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებების ერთდროული ჩატარება 7 ჭაბურღილდან დღე/დამეში ჯამური 400 კუბური მეტრის რაოდენობით, რომელიც დაიწყო 2016 წლის 1 დეკემბერს და მეთექვსემეტე თვეება გრძელდება (ნახ. 2). აღსანიშნავია, რომ ამ დროის განმავლობაში გამოშვებული მინერალური წყალი ხასიათება სტაბილური ქიმიური შემადგენლობით, უცვლელია წყლის ტემპერატურა. წყლის

დონეების ვარდნა ჭაბურღლილებში შენელებულია და გაცილებით მცირეა, ვიდრე საწყის ეტაპზე.



ნახ. 2. გაშლოვანი-ყვიბისის უბნის ჯამური გამოშეებები 2016-2018 წწ.

ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე 2015 წლიდან დღემდე ჩატარებული სამუშაოების ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ბორჯომის მინერალური წყლის საბადო სამი დამოუკიდებელი უბნის – ლიკანის, ცენტრალური და ვაშლოვანი-ყვიბისის უბნებისაგან შედგება. რეზიმული დაპვირვების მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ უბნების ჭაბურღლილებს შორის პიდრავლიკური კავშირი არ შეინიშნება.

- 2015-2016 წწ. ბორჯომის საბადოს ვაშლოვანი ყვიბისის უბანზე სრული მოცულობით ჩატარდა დაგეგმილი კომპლექსური სამეცნიერო, კვლევითი და აგეგმვითი სამუშაოები.

- სამუშაოების შედეგად დაზუსტდა და შეფასდა ცალკეული ბურღლილების პარამეტრები: ლულის მდგომარეობა, ხედრითი დებიტი, დონის დაწევა.

- თითოედ ჭაბურღლილზე ჩატარებული განისაზღვრა საცდელ-საექსპლუატაციო რეზიმების პარამეტრები, კერძოდ ცალკეული ჭაბურღლილების დებიტები და გამოშვება/ამოტუმბვის ვადები.

- უბნის 7 ჭაბურღლილზე თექვსმეტი თვის განმავლობაში მიმდინარეობს საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებები და ამოტუმბვები დღე/დამეში საშუალოდ 400 კუბ. მეტრის ოდენობით. ამ პერიოდის განმავლობაში სტაბილურია ცალკეული ჭაბურღლილების მინერალური წყლის დებიტი, ტემპერატურა და ქიმიური შემადგენლობა, შეიმჩნევა დონეების სტაბილიზაცია საწყის მაჩვენებლებთან მიმართებაში.

- საცდელ-საექსპლუატაციო გამოშვებებისა და ამოტუმბვების შედეგად მირებული დებიტი – 400 მ³/დღე/დამეში შესაძლებელია მიღებული იქნას როგორც საანგარიშო.

- ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადასტურდა ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე ბორჯომის მინერალური წყლის საექსპლუატაციო მარაგების გაზრდის შესაძლებლობა დღე/დამეში მინიმუმ 100 მ³-ის რაოდენობით.

ლიტერატურა

1. Виноградов-Никитин П.З. Обнаружение в Боржоми старых ванн. -Тбилиси, 1925.
2. Гогитидзе И.К., Вартанян Г.С., Харатишвили Л. А. и др. Отчет по детальной разветке Боржомского месторождения углекислых минеральных вод с переоценкой эксплуатационных запасов за 1979-1982 г.г. (по состоянию на 01.10.1982 г.). ТГФ, 1982.
3. მიგინებიშვილი ბ., ხარაგაულიშვილი დ., გაბეჭავა ჯ., ჩხაიძე დ. და სხვა. ანგარიში ბორჯომის მინერალური წყლის საბაზოს საექსპლუატაციო მარაგების გადათვლის შესახებ, 2006 წლის 01 მარტის მდგრადირებით. სს „ბორჯომის წყლების“ ფონდები.
4. Б. В. Боревски, С. З. Козак. «Оценка технического состояния эксплуатационных наблюдательных скважин методами скважинной геофизики (ГИС) на месторождении минеральных вод «Боржоми». -Москва, 2016, вв “ბორჯომის წყლების” ფონდები.
5. Б.В. Боревски, М.Ю. Каплан и др. Результаты краткосрочных опытных откачек (выпусков) и начального этапа среднесрочных опытных работ на боржомском месторождении минеральных вод. Москва, 2015, вв “ბორჯომის წყლების” ფონდები.

SUMMARY

ASSESSMENT OF THE RESOURCES OF THE VASHLOVANI-QUIBISI SITE OF THE BORJOMI MINERAL WATER DEPOSIT

Koroshinadze T.O.

Georgian Technical University

The study of the unique Borjomi mineral water started in the 30-ies of the XIX century. During the past period, the popularity of the Borjomi mineral water has been growing day after day and nowadays it is presented in more than 40 countries worldwide. The Borjomi mineral water deposit includes three independent sites. Those are: Likani, Central and Vashlovani-Quibisi. The study of the deposit regime confirms that these sites are independent from each other. The paper describes the history of the discovery of the Borjomi mineral water in the Vashlovani-Quibisi site and its subsequent development. The basic stages of studying the useful resources of the site, the current state and growth potential are characterized.

Keywords: mineral water, deposit, resources, assessment.

**აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდგრადი სტიდიური
ნაბაშაშრებების გაცვლის შეზასხვა მკონისტებებზე**

ბუაჩიძე ნ.ს., ჩიკვილაძე ხ.ნ., გურგულიანი ი.ნ., შუბლაძე ე.შ., კუჭავა გ.პ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

შესავალი

საქართველოში სამწუხაოდ მრავლადაა სტიქიური (არაკონტროლირებადი) ნაგავსაყრელები. მათ სშირად ვხვდებით სევებში მდინარეების პირას, საძოვრებთან და დასახლებულ ტერიტორიებთან. აქედან გამომდინარე რასაკირველია საინტერესო ოამდენად ახდენენ ისინი უარყოფით ზეგავლენებს მიმდებარე ტერიტორიებზე და რამდენად შეიძლება აღმოჩნდენ ისინი საშიშნი ადამიანების ჯანმრთელობასთან მიმართებაში. აღნიშვნის დირსია ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის ნაგავსაყრელებზე დიდი ალბათობით შეიძლება მოხვდეს მავნე ნივთიერებები, იქედან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელები. ყოველივეს ამას კიდევ ემატება ის რომ, საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ვერ აკმაყოფილებენ და შესაბამისად ვერ აწვდიან საჭირო ინფენტარს მოსახლეობას, რაც ასევე ზრდის სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობას მოცემულ ტერიტორიებზე.

ლაბორატორიულ პირობებში, საანალიზო ნიმუშებში, თანამედროვე მეთოდებისა (ISO მეთოდები) და ტექნიკის გამოყენებით ჩვენს მიერ განსაზღვრულია ის დამაბინძურებელი ინგრედიენტები, რომლებითაც ამ ტიპის ნაგავსაყრელების უშუალო ზეგავლენის შედეგად გარემოს ეკოსისტემები სშირად ბინძურდება. შესაბამისად საანალიზო ნიმუშებში განსაზღვრულია ზოგიერთი ძირითადი იონი (HCO_3^- , SO_4^{2-}), ბიოგენური ელემენტების ზოგიერთი ფორმა (NO_2^- , NO_3^- , NH_4^+ , PO_4^{3-}), მძიმე ლითონები (Cu , Zn , Pb , Cd , As , Hg). პარალელურად, იგივე საანალიზო ნიმუშებში, მიკრობიოლოგიურ ანალიზის პირობებში, ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით, განსაზღვრულია ისეთი აქტიური ბაქტერიები როგორებიცაა - ტოტალური კოლიფორმები, ფეკალური სტრეპ-ტოკოკები, ეშერისია კოლი (*E-coli*). საველე პირობებში (თუ კი ნაგავსაყრელი იქნებოდა განლაგებული მდინარის პირას), გადასატანი პორტატული აპარატის მეშვეობით, გაზომილ იქნა წყლის ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლები (pH, ტემპერატურა, ელექტროგამტარობა, წყალში გასხსილი ჟანგბადი, მარილიანობა). ასე რომ, ჩვენი კვლევის ობიექტები (სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიები) შესწავლილ იქნა კომპლექსურად - როგორც პიდროქიმიური, ისე ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური თვალსაზრისით [1-5].

ძირითადი ნაწილი

მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების პროცესში ნაგავსაყრელების როლის და მნიშვნელობის სწორად შესაფასებლად, შერჩეული იყო საკვლევი ობიექტები კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, რომლებმაც ფონის როლი შეასრულეს და რომლებიც შედარებულია დანარჩენი საკვლევი წერტილების შედეგებთან. ჩატარებული კვლევების მეტი სიზუსტობის დაცვის თვალსაზრისით, მიღებულ მონაცემები, ასევე შედარებულია განსაზღვრული კომპონენტების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზღვა) და მათ საორიენტაციო დასაშვებ კონცენტრაციებსაც (სდგ).

კახეთის რეგიონში საანალიზო ნიმუშები აღებულ იქნა, სოფ. ნუპრიანში, სოფ. ზემო მაღაროში და ქ. თელავში. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 1-ში და გრაფიკებზე 1-3.




ნაგავსაყრელები




სინჯის აღება

ცხრილი 1. კახეთის რეგიონის ზოგიერთი ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგის სინჯებში მძიმე ლითონების შემცველობები


პუნქტი	სინჯის №	თარიღი	Pb	Cd	Zn	Cu	Hg
გომბორი, ფონი	526	25-28.02.2017	22,26	N.D.	170,00	120,,30	N.D.
სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანი	527		35,65	N.D.	359,38	384,35	N.D.
სიღნაღის რაიონი, სოფ. ზემო მაღარო	528		25,34	N.D.	233,41	324,47	N.D.
თელავი	529		52,86	N.D.	327,69	70,47	N.D.
ზდპ			32	2			
სდპ					220	132	



გრაფიკი 1. კახეთის რეგიონის სტიქიური ნაგავსაყრელის ზოგიერთ ნიმუშში
(ნიადაგი) ტყვიის შემცველობები



გრაფიკი 2. კახეთის რეგიონის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ზოგიერთ
ნიმუშში თუთიის შემცველობები



გრაფიკი 3. კახეთის რეგიონის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ზოგიერთ
ნიმუშში სპილენძის შემცველობები

როგორც ცხრ.1- მონაცემებიდან და გრაფ. 1-3-დან ჩანს არცერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა ისეთი კანცეროგენული კომპონენტები როგორებიცაა Cd და Hg. რაც შეეხება Cu, Zn და Pb-ს, მათმა კონცენტრაციებმა ნიმუშებში, ძირითადად, გადააჭარბა ზღვრულად დასაშეგებ კონცენტრაციებს. მაგალითად სოფ. ნუკრიანში სპილენძისა და თუთიის კონცენტრაციებმა ნორმატივებს გადააჭარბეს თითქმის 3-ჯერ, ხოლო ტყვიის შემცველობა თელავის ნიმუშში აღმოჩნდა 1,7 ზდკ-ს ტოლი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკელა მიმდებარე ტერიტორიიდან აღებულ ნიმუშებში მძიმე ლითონების შემცველობები აღემატება ფონური წერტილებიდან აღებულ ნიმუშების შემცველობებს, რაც იმას მიანიშნებს, რომ სტიქიური ნაგავსაყრელები იღებენ მონაწილეობას და ახდენენ გარკვეულ ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების პროცესებზე.

შიდა ქართლში სინჯები აღებულ იქნა მუხრანში მდ. ქსნის პირას მდებარე სტიქიური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნიადაგის ნიმუშებში ზოგიერთი მძიმე ლითონის შემცველობები მოცემულია ცხრ. 2-ში, ხოლო ცხრ. 3-4-ში კი მდ. ქსნის ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.

ცხრილი 2. შიდა ქართლის რეგიონის ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგის სინჯში მძიმე ლითონების შემცველობები

პუნქტი	სინჯის №	თარიღი	Pb	Cd	Zn	Cu	Hg
მუხრანი	511	17.05.2017	137,66	N.D.	375,88	256,31	N.D.
ზდკ			32	2			
სდკ					220	132	

ცხრილი 3. მდ. ქსნის ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები ნაგავსაყრელის სიახლოეს (მუხრანი)

№	ინგრედიენტი	ერთეული	მიღებული შედეგები	ზდკ	გამოყენებული მეთოდები
1	ამონიუმი	მგN/ლ	0,685	0,39	ISO 7150-1:2010
2	ნიტრიტები	მგN/ლ	0,015	1,0	
3	ნიტრატები	მგN/ლ	0,177	10,0	
4	ფოსფატები	მგ/ლ	0,035	3,5	
5	სულფატები	მგ/ლ	9,199	500	
6	ქლორიდები	მგ/ლ	1,107	350	
7	ბრომი	მგ/ლ	0,108	0,2	
8	ვტორი	მგ/ლ	0,003		
9	E-coli	1 ლ-ში	450	5000	
10	ტოტალური კოლიფორმები	1 ლ-ში	1300		მემბრანული ფილტრაცია
11	ფექალური სტრეპტოკოკები	1 ლ-ში	450		

როგორც ცხრ. 2-ის მონაცემებიდან ჩანს, ნიადაგის ნიმუშში ტყვიის შემცველობა არის 4 ზდკ, თუთიის 3 ზდკ, ხოლო სპილენძის კი 2 ზდკ. ყოველივე ეს მიუთითებს იმას, რომ მოცემული ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებულია მძიმე ლითონებით (კადმიუმი და ვერცხლისწყალი ნიმუშებში კვლავ არ შეინიშნება) და შესაბამისად ამ შემთხვევაშიც მათი კონცენტრაციები აღემატება ფონური ნიმუშების შემცველობებს.

მდ. ქსნის წყლის ნიმუშები აღებულ იქნა როგორც ნაგავსაყრელთან ახლოს, ასევე მისგან 500 მეტრის მოშორებით (ფონი). მიღებული შედეგები მოცემულია ცხრ. 3,4-ში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, მხოლოდ ერთი კომპონენტი (NH_4^+) აღმოჩნდა ნორმატივზე მაღლა ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიიდან აღებულ ნიმუშში (2 ზდკ), რაც მიანიშნებს ნაგავსაყრელის მცირე გავლენას მდინარის წყლის ხარისხზე. მიკრობიოლოგიური ანალიზის მიხედვით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდ.


ქსანში მოცემულ ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ აღინიშნება ანგისანიტარიული მდგომარეობა.

**ცხრილი 4. მდ. ქსნის ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები
ნაგავსაყრელიდან 500 მ-ში (მუხრანი)**


Nº	ინგრედიენტი	ერთეული	მიღებული შედეგები	ზღვა	გამოყენებული მეთოდები
1	ამონიუმი	მგN/ლ	0,352	0,39	ISO 7150-1:2010
2	ნიტრიტები	მგN/ლ	0,061	1,0	
3	ნიტრატები	მგN/ლ	3,781	10,0	
4	ფოსფატები	მგ/ლ	0,436	3,5	
5	სულფატები	მგ/ლ	17,044	500	
6	ქლორიდები	მგ/ლ	7,316	350	
7	ბრომი	მგ/ლ	0,081	0,2	
8	ფტორი	მგ/ლ	0,103		
9	E-coli	ერთეული/ლ	არ აღმოჩნდა	5000	
10	ტოტალური კოლიფორმები	ერთეული/ლ	600		მემბრანული ფილტრაცია
11	ფერალური სტრეპტოკოკები	ერთეული/ლ	არ აღმოჩნდა		

საანალიზო ნიმუშები აღებულ იქნა ასევე სამცხე-ჯავახეთში, სოფ. ასპინძაში (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია) და ახალციხეში (მდ. ფოცხოვის მიმდებარე ტერიტორია). მიღებული შედეგები მოცემულია გრაფიკებზე 4-6.


ამ შემთხვევაში თვალნათლივ ჩანს, რომ როგორც ასპინძის ასევე ახალციხის ნიადაგის ნიმუშებში დაფიქსირდა ტყვიის მაღალი კონცენტრაციები და შესაბამისად მათი შემცველობები უტოლდება 3 და 5 ზღვას. ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ტყვიის ეს კონცენტრაციები ორივე შემთხვევაში მეტია ფონური წერტილების კონცენტრაციებთან შედარებით (გრაფ. 4-6).



**გრაფიკი 4. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტიქიური ნაგავსაყრელის
ნიადაგის ზოგიერთ ნიმუშში ტყვიის შემცველობები**



გრაფიკი 5. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ზოგიერთ ნიმუშში თუთიის შემცველობები



გრაფიკი 6. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ზოგიერთ ნიმუშში Pb-ის შემცველობა

მცხეთა-თიანეთის რეგიონში ჩატარებული ანალიზების შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 5-8.

აღსანიშნავია, რომ თიანეთში განლაგებული სტიქიური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებული აღმოჩნდა როგორც ტყვიით, ასევე სპილენძით და თუთიითაც, მათი კონცენტრაციები აღემატება არა მარტო ზდკებს, არამედ ფონურ მაჩვენებლებსაც. თუმცა საანალიზო ნიმუშებში არ აღმოჩნდა არც კალიუმი და არც ვერცხლისწყალი (ცხრ. 5).

ცხრილი 5. თიანეთის ტერიტორიაზე მდებარე ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგის სინჯში მძიმე ლითონების შემცველობები

სინჯის აღების ადგილი	სინჯის აღების დრო	Cu	Zn	Pb	Cd	Hg
		გ/კგ				
თიანეთი (ნაგავსაყრელი)		151	398	78	2,0	-
თიანეთი (ფონი)		134	242	53	<2,0	-

რაც შეეხება მდ. იორს, როგორც ვხედავთ მასზე ნაგავსაყრელის გავლენა არ აღინიშნება. როგორც პიდროქიმიური, ასევე მიკრობიოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითადი მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდინარეში რაიმე მნიშვნელოვან დაბინძურებას ან ჩაღვრებს მოცემულ პერიოდში აღგიღი არ ჰქონია (გრაფ. 6-8).

**ცხრილი 6. მდ.იორის წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები
ნაგავსაყრელის სიახლოეს**

№	ინგრედიენტი	ერთეული	მიღებული შედეგები	ზღვა	გამოყენებული მეთოდები
1	ამონიუმი	მგN/ლ	0,345	0,39	ISO 7150-1:2010
2	ნიტრიტები	მგN/ლ	0,022	1,0	
3	ნიტრატები	მგN/ლ	0,147	10,0	
4	ფოსფატები	მგ/ლ	0,172	3,5	
5	სულფატები	მგ/ლ	22,18	500	ISO 10304-1:2007
6	ქლორიდები	მგ/ლ	2,28	350	
7	ბრომი	მგ/ლ	0,099	0,2	
8	ფტორი	მგ/ლ	0,088		
9	E-coli	ერთეული/ლ-ში	1120	5000	
10	ტოტალური კოლიფორმები	ერთეული/ლ-ში	1200		მემბრანული ფილტრაცია
11	ფერალური სტრეპტოკოკები	ერთეული/ლ-ში	250		


**ცხრილი 7. მდ.იორის წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები
ნაგავსაყრელიდან 300 მ-ის მოშორებით**

№	ინგრედიენტი	ერთეული	მიღებული შედეგები	ზღვა	გამოყენებული მეთოდები
1	ამონიუმი	მგN/ლ	0,310	0,39	ISO 7150-1:2010
2	ნიტრიტები	მგN/ლ	0,012	1,0	
3	ნიტრატები	მგN/ლ	0,107	10,0	
4	ფოსფატები	მგ/ლ	0,139	3,5	
5	სულფატები	მგ/ლ	20,28	500	ISO 10304-1:2007
6	ქლორიდები	მგ/ლ	2,23	350	
7	ბრომი	მგ/ლ	0,102	0,2	
8	ფტორი	მგ/ლ	0,094		
9	E-coli	ერთეული/ლ-ში	950	5000	
10	ტოტალური კოლიფორმები	ერთეული/ლ-ში	1000		მემბრანული ფილტრაცია
11	ფერალური სტრეპტოკოკები	ერთეული/ლ-ში	200		


ცხრილი 8. მდ.იორის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

ნიმუშის ადგილის ადგილი	pH	ელექტროგამტარობა, $\mu\text{S}/\text{cm}$	მარილიანობა, %	(წყალში გახსნილი ჟანგბადი), მგ/ლ	$t, ^\circ\text{C}$
თიანეთი (ნაგავსაყრელი მდ. იორის მახლობლად)	8,22	213	0,015	8,0	3,8
თიანეთი (ფონი 300 მეტრის მოშორებით)	8,18	211	0,015	8,1	3,2


საველე სამუშაოები ჩატარებულ იქნა ასევე ქვემო ქართლში, სადაც ყურადღება შეჩერდა მარნეულისა (ქალაქის ცენტრი) და გარდაბნის ნაგავსაყრელებზე. მიღებული შედეგები წარმოდგენილია გრაფიკებზე 7-10.




გრაფიკი 7. მარნეულის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ნიმუშში სპილენძის შემცველობა



გრაფიკი 8. მარნეულის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ნიმუშში თუთიის შემცველობა



გრაფიკი 9. მარნეულის სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ნიმუშში ტყვიის შემცველობა



გრაფიკი 10. გარდაბანში სტიქიური ნაგავსაყრელის ნიადაგის ნიმუშში ტყვიის შემცველობა

მიღებული მონაცემების მიხედვით მარნეულის ნიმუშებში ზდკ-ებს გადააჭარბა სამივე ($\text{Pb}, \text{Cu}, \text{Zn}$) ლითონის კონცენტრაციებმა. საანალიზო ნიმუშებში არ აღმოჩნდა ისეთი კანცეროგენული ელემენტები, როგორებიცაა ვერცხლისწყალი და კადმიუმი.

რაც შეეხება გარდაბანს, ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია აღმოჩნდა დაბინძურებული მხოლოდ ტყვიით (გრაფ.10).

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ ტიპის კვლევები პირველად ჩატარდა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქათ, რომ სტიქიური ნაგავსაყრელები დაბინძურების მხრივ ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. კერძოდ, მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგის ნიმუშები

დაბინძურებული აღმოჩნდა ისეთი კანცეროგენული კომპონენტით, როგორიცაა ტუვია, ასევე ხშირ შემთხვევაში, საანალიზო ნიმუშებში გამოიკვეთა სპილენძისა და ოუათის მაღალი შემცველობები. ზოგიერთი ანალიზის შედეგმა აჩვენა, რომ სტიქიურმა ნაგავსაყრელმა შეიძლება დააბინძუროს მდინარე და შექმნას გარკვეული ანტისანიტარული სიტუაცია (თუკი ის მდებარეობს მდინარის პირას). კერძოდ, წყალში ზოგჯერ იზრდება ამონიუმის იონის კონცენტრაციები და ასევე ისეთი ბაქტერიების შემცველობები როგორებიცაა - *E-coli* და ფეასლური სტრეტბოკოები. ყოველივე ეს რასაკვირველია ემუქრება რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ვინაიდან კომპონენტები რომელიც გამოიყოფიან გარემოში ნაგავსაყრელის არსებობის შემთხვევაში, ხასიათდებიან საკმაოდ მაღალი კანცეროგენული თვისებებით.

სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამუცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (გრანტი №217578) ფარგლებში.

ლიტერატურა

1. Фомин Г.С. Вода: Контроль химической, бактериальной и радиационной безопасности по международным стандартам. Энциклопедический справочник. - М., Протектор, 2010, 1008 с.
2. Фомин Г.С. Фомин А.Г. Почва, контроль качества и экологические безопасности по международным стандартам. – Москва, ВНИИ стандарт, 2001, 300 с.
3. Ministry of Environment of Japan, Solid Waste Management and Recycling Technology in Japan, 2012.
4. APHA, "Standard methods for examination of water and wastewater", 21st edition, American Public Health Association, Water Environment Federation Publication, Washington, DC., 2005, 224p.
5. Fronczyk, J. and Garbulewski, K. "Selection of material suitable for permeable reactive barriers in the vicinity of landfills," Department of Geotechnical Engineering, Warsaw University of Life Sciences, Land Reclamation, Vol. 41, 2009, pp. 3-9.

SUMMARY

ASSESSMENT OF THE IMPACT OF SPONTANEOUS LANDFILLS ON THE ECOSYSTEM ON THE TERRITORY OF EASTERN GEORGIA

Buachidze N.S., Chikviladze Kh.N., Gurguliani I.N., Shubladze E.Sh. and Kuchava G.P.

Institute of Hydrometeorology at the Georgian Technical University

The role of spontaneous landfills located in Eastern Georgia in the processes of pollution of adjacent territories was studied. Chemical, microbiological and physical-chemical analyses of soil and watersamples were carried out and main pollutants were revealed. The impact of spontaneous landfills on the ecosystem was assessed.

Keywords: spontaneous landfill, ecosystem, environmental pollution.

ნავთობისაგან დაგინარჩუნებული წყლის
ზედაპირის გასუფთავების მეთოდი და ტექნოლოგია

რაზმაძე მ.თ., კიკნაძე გ.გ., იმნაძე პ.მ., გეწაძე თ.ს., კვირიკაშვილი ც.ი.,
როსტომაშვილი ზ.ი., ამბარდანიშვილი ო.პ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ე. ანდრონიკაშვილის სახელობს ფიზიკის ინსტიტუტი

მე-20 საუკუნეში დედამიწაზე საგრძნობლად გაიზარდა ნავთობის მოხმარება და მისი გამოყენების საწარმოო-ტექნოლოგიური მოთხოვნები, რამაც დიდი სისწრაფით გამოიწვია ნავთობის მოპოვების ზრდა. რადგან იგი მოიპოვება დედამიწის მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში, ხოლო მოთხოვნილება მის გამოყენებაზე კი ეველა ქვეყნის ინტერესებშია, ამიტომ მკაცრად დადგა საკითხი დედამიწის ყველა კუთხით მისი დიდი რაოდენობით ტრანსპორტირებაზე. საზღვაო გადაზიდვებისას არსებობს ნავთობის გაუზნვის დიდი საშიშროება. ხმელეთზე ნავთობის ტრანსპორტირების დროსაც შესაძლებელია ნავთობის გაუზნვა, თუმცადა ამ დროს დაღვრილი ნავთობის განშლის არეალი ბევრად უფრო მცირეა ვიდრე წყალსაცავთა დია ზედაპირებზე მისი დაღვრისას. ამიტომ საზღვაო გზით ნავთობის გადატანა გეოგრაფიული, ფინანსური და გადაზიდული ნავთობის რაოდენობის ფაქტორთა გათვალისწინებით ბევრად უფრო მომგებიანია, ხოლო ეკოლოგიური საფრთხის კუთხით კი წამგებიანია სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით.

ზღვის ზედაპირზე ავარიულად დაღვრილი ნავთობის განშლადობის ხარისხი (გაშლილი ფენის სისქე და ფართი) მრავალ ისეთ პარამეტრზეა დამოკიდებული, როგორებიცაა წყლის ქიმიური შემადგენილობა და მასთან მიმართებაში ნავთობის ზედაპირული დაჭიმულობა, წყლისა და გარემოს ტემპერატურა, დელვის სიძლიერე და ინტენსიურობა, ნავთობის ქიმიური შემადგენლობა, წყალსაცავში ნავთობის ჩაღვრის სიჩქარე, ჩაღვრილი ნავთობის რაოდენობა და ა.შ. ყველა ამ ფაქტორების მაქსიმალური სიდიდეებისას დაბინძურებული წყლის ზედაპირის ფართობი მრავალი ათეული და ასეული კვადრატული კილომეტრიც კი შეიძლება იყოს. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით ოკეანები და ზღვები წელიწადში 3 მლნ. ტონა ნავთობის ჩაღვრით ბინძურდებიან [1-3].

ეკოლოგიური პრობლემების ასეთი რაკურსით განხილვას მივყავართ ამ პრობლემის გადაწყვეტის მეთოდების შემდგომ კლასიფიკაციამდე [4-8]:

1. წყლის დია ზედაპირზე დაღვრილი ნავთობის ფენის მექანიკური მოშორება;
2. ნავთობით დაბინძურებული წყლის ზედაპირების ქიმიური გასუფთავების მეთოდი;

3. ნავთობით დაბინძურებული წყლის ზედაპირების ფიზიკურ-ქიმიური გასუფთავების მეთოდი;

4. ნავთობით დაბინძურებული წყლის ზედაპირების გასუფთავება ბიოაქტიური ნივთიერებით.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე ძალიან დიდი ყურადღება ექცევა წყლის ზედაპირების დაცვას და მათი გასუფთავების მარტივ, სწრაფ, მაქსიმალურად ეკონომიური ტექნოლოგიების შემუშავებასა და პრაქტიკაში მათ წარმატებით დანერგვას. აღნიშნული სამუშაოც სწორედ ასეთი სახის პრობლემის გადაჭრას ეხება – ნავთობით დაბინძურებული ზღვისა და ოკეანების ზედაპირების გასუფთავება და მეთოდის ეკონომიკური მომგებიანობის გაზრდის მიზნით მიღებული მეორადი მასალის შემდგომი გადამუშავება-გამოყენება.

ჩატარებულ ცდებში გამოიყენებოდა სართიჭალაში (საქართველო) მოპოვებული ნედლი ნავთობი, არყის ხის აქტივირებული ნახშირის (БАУ-2) 0–2,5მმ ზომის ფრაქცია, ფიჭვისა და ცაცხვის ნახერხი, სასმელი წყალი, ზღვის მარილის გამოყენებით მიღებული შავი ზღვის შესაბამისი მინერალიზაციისა და წითელი ზღვის მინერალიზაციის დონის ქვები წყალი.

ცდების პირველ ეტაპზე რაოდენობრივად შესწავლილ იქნა აქტივირებული ნახშირის მიერ ნავთობის შთანთქმის მაქსიმალური უნარი, რომლის დროსაც პრაქტიკულად არ რჩება ჭარბი ანუ შთაუნთქმელი ნავთობი.


საცდელი ნავთობის საშუალო კუთრი წონა სტანდარტულ პირობებში მერყეობს $0,6 - 0,7 \text{ გრ/სმ}^2$, ხოლო აქტივირებული ნახშირის $0-2,5$ მმ ფრაქციის ნაყარი წონა კი $0,8 - 0,85 \text{ გრ/სმ}^2$ ინტერვალში. ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ აქტივირებული ნახშირის შთანთქმის უნარი შეიძლება იცვლებოდეს $200-220$ გ ($300 - 310$ მლ) ნავთობი 100 გ ნახშირზე და ამ დროს ნახშირისა და ნავთობის ნარევის მოცულობა იმატებს მხოლოდ $17-20$ მოც%-ით [9]. 2-3 დღის დაყოვნება ზრდის შეწყვილი ნავთობის რაოდენობას $10-13$ მოც%-ით.

საწყისი მონაცემების მისაღებად ცდები ჩატარდა მცირე მოცულობის ქიმიურ ჭურჭელში „წყალი-ნავთობი-ნახშირი“-ს სისტემაში, რათა შექმნილიყო ზოგადი წარმოდგენა არსებულ სამკომპონენტოან სისტემაში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებსა და მათ გავლენაზე მიღებული ნარევთან მიმართებაში (სურ. 1).



სურათი 1. ნავთობი-აქტივიზირებული ნახშირის ნარევის გამყოფი ზედაპირი წყალთან

როგორც ვხედავთ მცირე ზედაპირის ფართის ($12,5 \text{ სმ}^2$) ქვენე ქიმიურ ჭურჭელში ნავთობ-ნახშირის სქელი ფენის შექმნის პირობებში, წყლის ზედაპირზე მიიღება საქმაოდ მკვრივი ფენა, რომელიც ქიმიური ჭიქის გადაბრუნების შემთხვევაშიც კი იკავებს დადგრისაგან წყლის ქვედა ფენას (სურ. 1-2). როგორც სურათიდან ჩანს ნავთობ-ნახშირის ნარევის კუთრი წონა ნაკლებია წყლისაზე, ამიტომ არ ხდება ნახშირით შეკრული ნავთობის დალექვა წყლის საცავების ფსკერზე, რაც ფაქტიურად შეუძლებელს გახდიდა მის მოშორებასა და უტილიზაციას. აქვე აღსანიშნავია, რომ ნავთობის ტრანსპორტირება ძირითადად ზღვის ზედაპირზე ხდება, ხოლო ზღვებისა და ოკეანეების წყლის სიმკვრივე მეტია სუფთა წყლისაზე, ამიტომ ნავთობ-ნახშირის ნარევი უფრო აქტიურად და სწრაფად ამოტივიზდება ზღვის ზედაპირზე ვიდრე მტკნარი წყლისაზე.



- სურათი 2. ლაბორატორიულ პირობებში შედარებით დიდ ფართზე „დაღვრილი“ ნავთობის შეკრა 0–2,5 მმ ფრაქციის აქტივირებული ნახშირის მეშვეობით:**
1. 50 მლ ნავთობი „დაღვრილია“ 700 სმ² ფართის 3 და სასმელ წყალზე;
 2. აღნიშნულ სისტემის შუა ნაწილში დაყრილი 20 გრ აქტივირებული ნახშირი;
 3. სურ2-2 ერთჯერადი მორევით (ზედხედი);
 4. სურ2-2 ერთჯერადი მორევით (გვერდხედი);
 5. სურ2-2 ერთჯერადი მორევისა და 24 საათიანი დაყოვნების შემდეგ (ზედხედი).

კვლევების მეორე ეტაპზე შესწავლილი იქნა წყლის დია ზედაპირზე ნავთობის განშლადობის უნარი, რისთვისაც შერჩეული იქნა დიდი დიამეტრის ($\varnothing=30$ სმ, $S_{ზე}=706$ სმ²) ჭურჭელი. მასში ჩასხმული იქნა 3 ლიტრი წყალი და ფრთხილად, მცირე პორციებით დაგასხით 50 მლ სართიჭალის ნედლი ნავთობი იმ ანგარიშით, რომ მისი აღნიშნული რაოდენობა სრული განშლის პირობებში დაფარავდა წყალს ნავთობის ~ 1 მმ სისქის ფენით, მაგრამ როგორც ეს ჩანს სურ. 2.1-დან სრული განშლა არ მოხდა ანუ ნავთობის ზედაპირული დაჭიმულობისა და წონის თანაფარდობამ საშუალება არ მისცა 50 მლ ნავთობს სრულად გაშლილიყო ≈ 700 სმ² ფართის ზედაპირზე. როგორც სურ. 2.2-დან ჩანს ნავთობის განშლის ცენტრში 20 გრამი აქტივირებული ნახშირის დაყრისას ნავთობის შეწოვის პროცესი მიდის, მაგრამ მცირე სიჩქარით და მისი შედეგი ჩანს მხოლოდ დანაყარის პერიმეტრის ირგვლივ გასუფთავებული წყლის ვიწრო ზოლის სახით. რადგან ბუნებრივი წყალსაცავები ფაქტიურად არ არსებობს მეტ-ნაკლები დელვის გარეშე, ჩატარებული ცდის ძირითად პარამეტრად მივიჩნიეთ წყალი-ნავთობი-ნახშირის სისტემის ინტენსიური და ერთჯერადი შერევა. როგორც ჩანს სურ. 2.3-ზე, 0,5-1 წუთის განმავლობაში საკლევი სისტემის შერევამ გამოიწვია ნავთობის შეწოვის პროცესის ინტენსიფიკაცია და ნავთობ-ნახშირის კონგლომერატის დანაწევრება, რამაც თავის მხრივ გაზარდა კონგლომერატის ნაწილაკთა დისპერგირების ხარისხი და გაზარდა მათი ზედაპირული ფართი, რამაც ხელი შეუწყო ნახშირის მიერ ნავთობის შეწოვის სიჩქარის გაზრდას. წარმოქმნილი კონგლომერატის ზედაპირი დაფიქსირებულია სურ. 2.4-ზე. როგორც ვხედავთ იგი არ ილექტა წყალში, რაც იმაზე მიუთითებს რომ მისი გუთრი წონა ნაკლებია წყლის კუთრ წონაზე. ცდის მიმდინარეობის ხანგრძლივობა შემოიფარგლა ერთი კვირით, თუმცადა ნახშირის მიერ ნავთობის სრულად შეწოვა ამდენ დროს არ საჭიროებდა.

ამისათვის სრულიად საქმარისი აღმოჩნდა 24 საათი, რომლის შემდეგად წყლის ზედაპირი სრულად გასუფთავდა ნარჩენი ნავთობის აფსკისაგან (სურ. 2.5).

კვლევის მესამე ეტაპზე შესწავლილ იქნა ხელოვნური დელვის ეფექტის გავლენა ნავთობის შეწოვის სიჩქარეზე და საამისოდ გამოვიყენეთ მექანიკური სანჯღრეველაზე (სურ. 3).



სურათი 3. ნავთობის შეწოვა ნახშირის მიერ მექანიკურ სანჯღრეველაზე

1. მოწყობილობის საერთო ხედი ჩართულ მდგომარეობაში სუფთა წყლით;
2. დელვის ეფექტი სისტემაში წყალი-ნავთობი-ნახშირი;
3. დელვის ეფექტის გავლენა სისტემაში წყალი-ნავთობი-ნახშირი სისტემაში;

ინტენსიურმა ხელოვნური დელვის ეფექტმა კიდევ უფრო გაზარდა ნავთობის შეწოვის ხარისხი და შეაძირა შეწოვის დრო 24 საათიდან 3-5 წუთამდე ანუ რაც უფრო ინტენსიურია დელვა მით უფრო სწრაფად შეიწოვება ნავთობი ნახშირის მიერ.

შემდეგ, მეოთხე ეტაპზე შესწავლილ იქნა ნავთობით დაბინძურებული წყლის ზედაპირის გაწმენდა ცაცხვისა და ფიჭვის ხეების ნახერხის გამოყენებით. ნახერხის გამოყენება განპირობებულია აქტივირებული ნახშირთან შედარებით ნახერხის გაცილებით უფრო დაბალი ფასით. ცდებში გამოყენებული ნახერხი დაფასოვდა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად. საკვლევად გამოყენებულ იქნა 0 – 2,5 მმ და 2,5 – 7 მმ ფიჭვის ნახერხისა და 0 – 1 მმ ცაცხვის ხის ნახერხის ფრაქციები.

ცდები ტარდებოდა იდენტურ პირობებში, ისე როგორც აქტივირებული ნახშირისათვის. ჩატარებული ცდების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფიჭვის ნახერხის გამოყენების შემთხვევაში მიიღება სავსებით მისაღები შედეგი (სურ.4.). ცაცხვის ნახერხის გამოყენების შემთხვევაში კი ანალოგიური შედეგი მიიღება მისი რაოდენობის 2-ჯერ გაზრდისას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დადგებითი შედეგების მისაღებად გასათვალისწინებელია ნახერხის სახეობა და მისი საჭირო ზომის ფრაქციის შერჩევა.



სურათი 4. ფიჭვის ხის ნახერხის გამოყენებით ნავთობის ფენის ლოალიზება წყლის ზედაპირზე

კვლევის მეზუთე ეტაპზე მოხდა წყლის ზედაპირიდან მოცილებული ნავთობ-ნახშირის ან ნავთობ/ნახერხის კონგლომერატის შემდგომი გადამუშავებისა და გამოყენების შესაძლებელობების შესწავლა. ცდებმა გვიჩვენეს რომ შესაძლებელია:

- მიღებული ნაზავის უკანგბადო გამოხდის გზით ნავთობის სხვადასხვა ტემპერატურული ფრაქციებად გამოხდა;

- მიღებული ნაზავის დაწნებისა და შემდგომი გაფილტვრის გზით ნავთობის მოცილება ნახშირისა და ნახერხის ფრაქციისაგან;

- და ბოლოს დარჩენილი წნევილის, ნავთობის ფრაქციით გადარიბებული ნახშირის ან ნახერხის ფრაქციის დაბრიკეტება და საწვავად (სურ. 5) გამოყენება ან ნახშირისა ან ნახერხის ახალი პორციის შერევის შემდგომ ისევ ნავთობის შემაკავებელ აგენტად გამოყენება.



**სურათი 5. დაბრიკეტებული ნავთობ-ნახშირის კონგლომერატი
და მისი წვის პროცესი**

ცდისეული მასალების განხილვის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ქვემოთ მოყვანილი დასკვნა კვლევის დასახული მიზნის მიღწევისათვის ძირითადი ამოსა-ვალი წერტილია - წყლის ბუნებრივ საცავებში ნავთობის დიდი რაოდენობით დაღვრისას მისი გავრცელების არეალი შეიძლება შეიზღუდოს გაუონვის თანადროულად ავარიის ადგილის თავზე ნახშირისა ან/და ნახერხის იმავდროული დაყრით და რადგანაც ნავთობ-ნახშირის (ან ნავთობ-ნახერხის) კონგლომერატის ნაწილაბები წყალში არ იძირებიან და თანაც ნავთობის „ლაქას“ არ აძლევენ წყლის საცავების ზედაპირზე განშლის საშუალებას, მაქსიმალურად სწრაფად შეიძლება მათი შეგროვება სამაშველო გემების მიერ სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით, როგორც ეს ნაჩვენებია სურ. 6.



სურათი 6. ტივტივა „ბადე“, რომელსაც იყენებენ წყლის ზედაპირზე მოცურავე საგნების შესაგროვებლად და ნაპირზე გამოსატანად

ჩატარებული ცდების საფუძველზე აგრეთვე დადგინდა, რომ ნახშირის ან ნახერის მიერ წყლის ზედაპირზე დაღვრილი ნავთობის შეწოვის სიჩარეს ზრდის მეტნაკლებად ინტენსიური წყლის დელვა. შემოთავაზებული ტექნოლოგიის კიდევ ერთ პლატფორმაზე შეიძლება ჩაითვალოს წყლის ზედაპირის გასუფთავების შედეგად მიღებული ნავთობ-ნახშირის (ან ნავთობ-ნახერის) კონგლომერატიდან ნავთობ-პროდუქტების რეგენერაციის შესაძლებლობა და დარჩენილი ნახშირის ნარჩენის ან საწვავად, ან კიდევ სხვა გკოლოგიური კატასტროფის შემთხვევაში მისი ხელახლად გამოყენების საშუალება.

ლიტერატურა

1. В.А. Владимиров. Разливы нефти: причины, масштабы, последствия. - ЦСИ ГЗ МЧС, Россия
2. Слащева А.В. Источники загрязнения окружающей среды нефтепродуктами. //Проблемы безопасности при чрезвычайных ситуациях, вып.9, 1997, сс.54-59.
3. Перенага О.П., Давыдова С.Л. Экологические проблемы химии нефти //Нефтехимия, 1990, т.39, № 1.
4. Каменщикова Ф.А., Богомольный Е.И. Удаление нефтепродуктов с водной поверхности и грунта. – М., Ижевск, 2006, 528 с.
5. Артемов А.В., Пинкин А.В. Сорбционные технологии очистки воды от нефтяных загрязнений. //Вода: Химия и экология, 2008, №1, сс. 19-25.
6. Роев Г.А., Юфин В.А. Очистка сточных вод и вторичное использование нефтепродуктов. – М., Недра, 1987, 224 с.
7. Каменщикова Ф.А., Богомольный Е.И. Нефтяные сорбенты. – М., Ижевск, 2003, 268 с.
8. Самойлов Н.А., Хлесткин Р.Н., Шеметов А.В., Шаммазов А.А. Сорбционный метод ликвидации аварийных разливов нефти и нефтепродуктов. – М.: Химия, 2001, 189 с.
9. M.Razmadze, G.Kiknadze, P.Imnadze, O.Ambardanishvili, Z.Rostomashvili. Reduction Mobility of Motor Radioactive Waste Oils for Minimizing the Likelihood of their Leak in the Environment. //Georgian Engineering News, 2016, No. 4, pp. 108-113.

SUMMARY

THE METHOD AND TECHNOLOGY OF CLEANING THE WATER SURFACE FROM OIL POLLUTANTS

Razmadze M.T., Kiknadze G.G., Imnadze P.M., Getsadze T.S., Kvirkashvili Ts.I., Rostomashvili Z.I. and Ambardanishvili O.P.

Andronikashvili Institute of Physics, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

World oil consumption increases. Oil is transported between continents by maritime transport. According to statistical data, oceans and seas are polluted by 3 million tons of oil spilled per year, which represents the biggest ecological catastrophe. The work offers the methods and technology for rapid localization of such disasters, recycling of the waste and application of recycled products in everyday life.

Keywords: surface water, oil spill, oil pollution, oil waste, waste recycling.

ნაცოვერცხლის შემცველი ანტიბაქტერიული პომპოზიტები ბიოდებრადიტებადი
პოლიმერამიღის და პოლი-N-ვინილ-პიროლიდონის ნარევის საფუძველზე

ცხადაძე შ.ა., კუპატაძე ნ.ო., ტუდუში დ.ს., ქაცარავა რ.დ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქიმიისა და მოლეკულური ინჟინერის ინსტიტუტი, საქართველოს აგრარული
უნივერსიტეტი კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსი**

ანტიბაქტერიული თვისებების მქონე, მდგრადი და სასურველი ზომების ვერცხლის ნაწილია მეტალურგიური მასაბილიტების (AgNPs) შემცველი პოლიმერული კომპოზიტების მიღება უმნიშვნელოვანების ტექნოლოგიური გამოწვევა. ლოგიკურია, რომ დღეისათვის დიდი ძალის მეშვეობა ფოკუსირებული ვერცხლის ნაწილია მეტალურგიური პოლიმერებთან [1]. ამგვარი შერწყმის შედეგად მიიღება მდგრადი ანტიბაქტერიული ნაწილის ახალი თვისებებით, რაც მიუწვდომელია ცალკე აღებული კომპონენტისთვის.

დამუშავებულია AgNPs-ის მიღების ერთსაფეხურიანი, იაფი და მარტივი ფოტოქიმიური აღდგენის მეთოდი (დღის სინათლის გამოყენებით) ეთანოლის არეში, მასტაბილიზირებული აგენტების - პოლი-N-ვინილ-პიროლიდონის (PVP) [2] და ჩვენ მიერ სინთეზირებული ორიგინალური ამინომჟავური ბიოდეგრადირებადი პოლიმერების პოლიესტერამიდის (საქართველოში რეგისტრირებული პრეპარატ „პოლადერ-მის“ ძირითადი ინგრედიენტი) და პოლიესტერშარდოვანას თანაობისას [3]. დავადგინეთ, რომ შესწავლილ პოლიმერებს შორის ვერცხლის ნაწილის აუქციუნი მასტაბილიზირებულია პოლი-N-ვინილ-პიროლიდონი [2], ხოლო გამოყენებულ ბიოდეგრადირებად პოლიმერებს შორის, როგორც AgNP-ის ზომის, ასევე შედეგების სტაბილურობის თვალსაზრისით - პოლიესტერამიდი [3], რომელიც ასრულებს AgNPs-ის მასტაბილიზირებულ ფუნქციას, მაგრამ აშკარად ჩამორჩება PVP-ს [2]. ამგვარად, ერთი მხრივ, PVP არის კარგი მასტაბილიზირებული აგენტი, მაგრამ იგი ადგილად ისხნება წყალში და ნაკლებად მისაღებია მატრიქსად ბიოკომპოზიტებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ბიოდეგრადირებადი პოლიესტერამიდი ნაკლებად უფექტურია როგორც მასტაბილიზირებული აგენტი, მაგრამ არ ისხნება წყალში და ამ თვალსაზრისით PVP-თან შედარებით ხასითდება უპირატესობით. აღნიშნულის გათვალისწინებით გადავწყიტეთ ამ პოლიმერების დაღებითი თვისებების შერწყმა - ანუ მათი ნარევის გამოყენება ფოტოქიმიური აღდგენის მეთოდით AgNPs-ის შემცველი ბიოკომპოზიტების მისაღებად. ნარევში პოლიესტერამიდს („პოლადერმს“) აღვნიშნავთ, როგორც C, PVP-ს როგორც - P, ხოლო ვერცხლის ნიტრატს როგორც A. ვერცხლის ნიტრატის (A) შემცველობა ნარევში იცვლებოდა 5-დან 50 მგ-მდე, ხოლო C და P კომპონენტების თანაფარდობა (50:50) და ეთანოლის მოცულობა (20 მლ) იყო მუდმივი (ცხრ. 1).

ცხრილი 1. ექსპერიმენტი გამოყენებული AgNPs-ის მასტაბილიზირებული აგენტები (PEA და PVP), ვერცხლის ნიტრატის (AgNO₃) და აღმდეგნი ნიგორების (ეთანოლი) წონითი თანაფარდობები და კონცენტრაციები


საწყისი ნარევი*	პოლიმერი, მგ		AgNO ₃ (A), მგ	EtOH, მლ	პოლიმერები ჯამური კონცენტრაცია, მგ/მლ	AgNO ₃ -ის კონცენტრაცია, მგ/მლ
	PEA (C)	PVP (P)				
C ₅ P ₅ A ₁	250	250	50	20	25	2,50
C ₅ P ₅ A _{0,5}	250	250	25	20	25	1,25
C ₅ P ₅ A _{0,2}	250	250	10	20	25	0,50
C ₅ P ₅ A _{0,1}	250	250	5	20	25	0,25

*ქვედა ინდექსები C, P და A-სთან აღნიშნავს მათ წონით თანაფარდობას.


ამგვარად, პოლიმერული ნარევის ერთი კომპონენტი - პოლიესტერამიდი განაპირობებს ნანოკომპოზიტს ბიოდეგრადაციის უნარს და ფირის ზედაპირიდან AgNP-ის უწყვეტ გამოყოფას, ხოლო PVP - ნაწილაკების უკეთესად ფორმირებას და სტაბილურობას.

ექსპერიმენტებში ვიყენებდით პოლიესტერამიდს მოლ. მასით 48,000, PVP-ს მოლ. მასით 40,000 (Sigma-Aldrich) და ვერცხლის ნიტრატის ($\geq 99,0\%$, Sigma-Aldrich) სინარჩუნების 96%-იან ეთანოლში.

ნარევის დასხივებას ვახდენდით დღის სინათლით, რისთვისაც ხსნარებს (თვითონეული თანაფარდობისათვის ორ პარალელურ ნიმუშს) ერთდროულად ვდგამდით ფანჯრის რაფაზე. შევნიშნავთ, რომ ფანჯრის მინა ასრულებს შუქფილტრის როლს, რამეთუ ატარებს მხოლოდ სპეცირის ხილულ ნაწილს და არ ატარებს მოკლეტალდოვან ულტრაიისფერ გამოსხივებას. აღდგენის პროცესსა და მის შედეგად ვერცხლის ნანონაწილაკების წარმოქმნაზე მეტყველებს საწყისი უფერული ხსნარის შეფერვა ყავისფრად (ნახ. 1 და 2). შევნიშნავთ, რომ მასტაბილური დანამატების - PVP-სა და/ან PEA-ის გარეშე AgNO₃-ის ფოტოქიმიური აღდგენის პროცესი ეთანოლში არ მიმდინარეობს და ხსნარი რჩება უფერული მრავალი დღის განმავლობაში.



ნახ. 1. ნარევის CsPbA_{0.5}-ის (პირველი და მეორე კოლბა) და CsPbA₁-ის (მესამე და მეოთხე კოლბა) საკვლევი ხსნარები ეთანოლში დასხივებამდე (ა), დასხივებიდან 1 (ბ), 3 (გ) და 4 სთ-ის (დ) შემდგება.




ნახ. 2. ნარევის CsPbA_{0.2}-ის საკვლევი ხსნარი ეთანოლში დასხივებამდე (ა) და დასხივებიდან 336 სთ-ის შემდეგ (ბ); ნარევის CsPbA_{0.1}-ის საკვლევი ხსნარი ეთანოლში დასხივებამდე (გ) და დასხივებიდან 480 სთ-ის შემდეგ (დ)

სიიაფისა და სიმარტივის გარდა, შემოთავაზებული მეთოდი არის ეკოლოგიურად დამზოგი, ვინაიდან არ მოითხოვს ვერცხლის იონის (Ag⁺) ატომურ ვერცხლამდე (Ag⁰) აღსაღებენად სპეციალური რეაგენტების (ხშირად ტოქსიკური) გამოყენებას. ჩვენს შემოხვევაში ამ ფუნქციას ასრულებენ ეთილის სპირტის მოლეკულები. Ag⁺-იონების აღდგენის პროცესი ეთანოლის ხსნარში მიმდინარეობს სქემა 1-ის შესაბამისად:



სქემა 1. გერცხლის იონის აღდგენა ატომურ გერცხლამდე ეთანოლის ხსნარში


მას შემდეგ, რაც წარმოიქმნება გერცხლის ატომები, ისინი იწყებენ გაერთიანებას (ზრდას) ნანონაწილაკების ჩამოყალიბებამდე. თუ ნაწილაკების დიამეტრი არის 50 ნმ-ს ქვემოთ, ამიდის ჯგუფი (აზოტის ატომი) ურთიერთქმედებს ვერცხლის ატომებთან და აყალიბებს დამცავ გარსს, რითაც ხელს უშლის ნაწილაკების აგლომერაციას (შეწებებას). ამიდურ ბმებსა და ვერცხლის ატომებს შორის კომპლექსირების და, შესაბამისად, ნანონაწილაკების სტაბილიზაციის სავარაუდო მექანიზმი მოყვანილია სქემა 2-ზე:



სქემა 2. AgNP-ის ამიდური ბმით სტაბილიზაციის სქემა


მოვახდინეთ მიღებული ნანოსუსპენზიების კალეგა ულტრაიისფერი სპექტროსკოპის გამოყენებით (Agilent 8453 UV-Vis Spectroscopy System). ცნობილია, რომ AgNP წარმოადგენს პლაზმონს და აქვს შთანთქმის მაქსიმუმი ელექტრონულ სპექტრში დაბალობით 400-460 ნმ დიაპაზონში (რითაც გამოწვეულია ნანოსუსპენზიის შეფერილობა), ნანონაწილაკის ზომისგან დამოკიდებულებით [4,5]. ამასთან დადგენილია, რომ რაც უფრო ახლოსაა შთანთქმის მაქსიმუმი 400 ნმ-თან და რაც უფრო ვიწროა შთანთქმის პიკის ნახევარსიმაღლე, მით უფრო მცირეა AgNP-ის ზომა. 10 ნმ ან უფრო მცირე ზომის AgNP-ის შთანთქმის მაქსიმუმი (λ_{max}) მდებარეობს 400-420 ნმ-ის დიაპაზონში.

ნახ. 3-ზე მოყვანილია შედარებით მაღალი რაოდენობით ვერცხლის ნიტრატის (2,5 და 1,25 მგ/მლ) შემცველი ნარევების (ცხრ. 1) C₅P₅A₁-ის და C₅P₅A_{0,5}-ის, ხოლო ნახ. 4-ზე – ნაკლები ვერცხლის ნიტრატის (0,5 და 0,25 მგ/მლ) შემცველი ნარევების C₅P₅A_{0,2}-ის და C₅P₅A_{0,1}-ის ელექტრონული შთანთქმის სპექტრები ფოტოქიმიური აღდგენის შემდეგ. ნახ. 3-დან ჩანს, რომ ნარევში C₅P₅A₁ სინათლეზე დაყოვნებიდან 3 სთის შემდეგ პლაზმონის λ_{max} ორივე ნიმუშში არის 453 ნმ (ნახ. 1, ა და 1, ბ). ნარევში C₅P₅A_{0,5} პლაზმონის λ_{max} სინათლეზე დაყოვნებიდან 3 სთის შემდეგ პირველ ნიმუშში λ_{max} არის 450 ნმ (ნახ. 3, გ), ხოლო პარალელურში - 449 ნმ (ნახ. 1, დ), რაც კარგი დამთხვევაა.



ნახ. 3. ნარევების C₅P₅A₁-ის (ა, ბ) და C₅P₅A_{0,5}-ის (გ, დ) უ-სპექტრები სინათლეზე დაყოვნებიდან 3,0 სთის შემდეგ


განსხვავებული სურათი მივიღეთ ნარევში ვერცხლის ნიტრატის დაბალი შემცველობისას ($0,5$ და $0,25$ მგ/მლ) – ექსპოზიციის ოპტიმალური დრო აქ გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ვერცხლის ნიტრატის მაღალი შემცველობის ($2,5$ და $1,25$ მგ/მლ) ნარევებისათვის - CsP_5A_1 და $\text{CsP}_5\text{A}_{0,5}$; ნარევის $\text{CsP}_5\text{A}_{0,2}$ სინათლეზე 336 სთ დაყოვნებისას პლაზმონის λ_{max} პირველ ნიმუშში არის 444 ნმ (ნახ. 4, a), ხოლო პარალელურში - 443 ნმ (ნახ. 4, b), რაც კარგი დამთხვევაა; ნარევის $\text{CsP}_5\text{A}_{0,1}$ -ს სინათლეზე 480 სთ-ის დაყოვნების შემდეგ პლაზმონის λ_{max} პირველ ნიმუშში არის 429 ნმ (ნახ. 4, c) და პარალელურში - 427 ნმ (ნახ. 4, d), რაც ასევე კარგი დამთხვევაა; λ_{max} -ის დაბალი მნიშვნელობები მიუთითებს უფრო მცირე ზომის AgNPs-ის წარმოქმნაზე.



ნახ. 4. ნარევების $\text{CsP}_5\text{A}_{0,2}$ (ა, ბ) და $\text{CsP}_5\text{A}_{0,1}$ (გ, დ) უი-სპექტრი სინათლეზე 336 და 480 სთ-იანი დაყოვნების შემდეგ


ამგვარად დავადგინეთ, რომ საწყის ნარევში ვერცხლის ნიტრატის რაოდენობის შემცირება ხელს უწყობს მცირე (სასურველი) ზომის AgNP-ის წარმოქმნას.

შევისწავლეთ ვერცხლის ნანოსუსაცენზიების წარმოქმნის ოპტიმალური დრო და მათი მდგრადობა ოპტიკური სიმკვრივისა (D) და პლაზმონის შთანთქმის მაქსიმუმის (λ_{max}) ცვლილებით. ეს მონაცემები ვერცხლის შედარებით დიდი რაოდენობის შემცველი ნარევებისათვის - CsP_5A_1 -ის და $\text{CsP}_5\text{A}_{0,5}$ -ის წარმოდგენილია ნახ. 5-ზე (ჩავატარეთ ორი პარალელური ცდა. ვინაიდან პარალელური ცდების მონაცემებს შორის განსხვავება არ აღემატებოდა 5-8%-ს, ნახ. 5-ზე წარმოდგენილია პარალელური ცდების გასაშუალებული მონაცემები). ნახ. 5-ის თანახმად, ორივე ნანოკომპოზიტის (CsP_5A_1 და $\text{CsP}_5\text{A}_{0,5}$) ოპტიკური სიმკვრივე დროში თანდათან იზდება პირველი 3,0 სთ-ის (CsP_5A_1 -ის D_{max} არის 1,84, ხოლო $\text{CsP}_5\text{A}_{0,5}$ -ის - 1,78) განმავლობაში, ამასთან 3,0-დან 4,0 სთ-მდე ოპტიკური სიმკვრივე იცვლება მცირედ. შემდგომი დაყოვნებისას ხსნარი თანდათანობით იმდგრევა, რაც მიუთითებს ნაწილაკების აგრეგაციასა და დამსხველებაზე. იწყება ვერცხლის გამოლექვა (ჭურჭლის ფსერზე წარმოიქმნება შავი ნალექი). ვერცხლის გამოლექვის გამო ნანონაწილაკების კონცენტრაცია და, შესაბამისად, ნარევის ოპტიკური სიმკვრივე დროში მცირდება (გაზომვას ვაწარმოებდით 8 სთ-ის განმავლობაში). ნარევის P_5CsA_1 -ის პლაზმონის შთანთქმის მაქსიმუმი (λ_{max}) მერყეობს 421 - 457 ნმ-ს შორის, ხოლო $\text{P}_5\text{CsA}_{0,5}$ -ის - 429 - 457 ნმ-ს შორის (ორივე შემთხვევაში დაბალია საწყის ეტაპზე - 1 საათიანი ექსპოზიციის შემდეგ), რაც მიუთითებს, რომ 3-4 საათიანი ექსპოზიციის შედეგად მიღებული ნაწილაკების ზომები არის შედარებით დიდი.



ნახ. 5. ნარევების C5P5A1 და C5P5A0.5 ოპტიკური სიმკვრივის (D) და შთანთქმის მაქსიმუმის (λ_{max} , ნმ) ცვლილება დროში


განსხვავებული სურათი მივიღეთ C5P5A0.2 და C5P5A0.1 შემთხვევაში. ნარევში ვერცხლის ნიტრატის დაბალი შემცველობისას, AgNPs-ის წარმოქმნის სიჩქარე იყო დაბალი, ამიტომ ნარევებს გაყოვნებდით სინათლეზე მრავალი დღის განმავლობაში, ვიდრე ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა არ მიაღწიებდა მაქსიმუმს. ამგვარ რეჟიმში სისტემა მრავალჯერ გადიოდა სინათლე-სიბნელის ციკლს (ვტოვებდით დამით სიბნელეში). მიღებული შედეგები ნანომატოზიტ C5P5A0.2-ის ოპტიკური სიმკვრივის და შთანთქმის მაქსიმუმის ცვლილება დროში წარმოდგენილია ნახ. 6-ზე, ხოლო ნანომატოზიტ C5P5A0.1-ის - ნახ. 7-ზე (ორივე ნარევისათვის ჩავატარეთ ორი პარალელური ცდა. დამთხვევა დამაკმაყოფილებელია).



ნახ. 6. ნარევის C5P5A0.2 ოპტიკური სიმკვრივის (D) და შთანთქმის მაქსიმუმის (λ_{max}) ცვლილება დროში. წარმოდგენილია ორი პარალელური ცდის შედეგი

ნარევი C5P5A0.2-ის შემთხვევაში (ნახ. 6), ოპტიკური სიმკვრივე (D) განცხრელად იზდება დროში და მაქსიმუმს (12-15-ს) აღწევს დაყოვნებიდან 336 სთ-ის (14 დღის) შემდეგ და მიუთითებს ნანონაწილაკების წარმოქმნის დაბალ სიჩქარეზე (რაც სასურველია, რათა არ მოხდეს მათი აგლომერაცია). შემდგომი დაყოვნებისას სინათლეზე ნანოსუსპენზიის ოპტიკური სიმკვრივე დროში მცირდება, პარალელურად ხსნარი იმდვრევა და იწყება ვერცხლის გამოლექვა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის - და ეს გრძელდება საკმაოდ ხანს (500 სთ-ზე მეტს), ნარევის C5P5A0.2 სუპერნატანტის ფენის შთანთქმის მაქსიმუმი (λ_{max}) არის 427-429 ნმ-ს ზღვრებში, რაც

მიუთითებს ამ ფენაში სასურველი ზომის ნანონაწილაკების არსებობაზე (მიუხედავად გამოლექილი ვერცხლისა).




ნახ. 7. ნარევის C₅P₅A_{0.1} ოპტიკური სიმკვრივის (D) და შთანთქმის მაქსიმუმის (λ_{\max}) ცენტრული დროში. წარმოდგენილია ორი პარალელური ცდის შედეგი.

ნარევის C₅P₅A_{0.1} შემთხვევაში (ნახ. 7) ოპტიკური სიმკვრივე (D) ასევე განუხრელად იზდება დროში და მაქსიმუმს აღწევს დაყოვნებიდან 480 სთ-ის (20 დღის) შემდეგ. ამ შემთხვევაში (ანუ ვერცხლის ნიტრატის კიდევ უფრო დაბალი შემცველობისას) ნანონაწილაკების ფორმირება მიმდინარეობს კიდევ უფრო დაბალი სიჩქარით, რაზეც მეტყველებს D-ს დაბალი მნიშვნელობა (<1-ზე) ≈ 10 დღიანი ექსპოზიციის შემდეგ. დაწყებული ამ პერიოდიდან ნარევის ოპტიკური სიმკვრივე (D) მკვეთრად იზრდება (შემდგომი 4-5 დღის განმავლობაში) და აღწევს მაქსიმუმს შემდგომი 6 დღის, ანუ ჯამში 20 დღის (480 სთ) ექსპოზიციის შემდეგ; შემდგომ პერიოდში D ძალიან უმნიშვნელოდ მცირდება. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ამასთან მცირდება შთანთქმის მაქსიმუმიც (λ_{\max}) 421- 429 ნმ-დე, რაც მიუთითებს სასურველი ზომის ნანონაწილაკების წარმოქმნაზე. აღსანიშნავია, რომ შთანთქმის მაქსიმუმის (λ_{\max}) განუხრელი შემცირება ნარევის კომპონენტების აღნიშნული თანაფარდობისას, შეიძლება მიუთითებდეს დროში ნანონაწილაკების ზომების გადანაწილებაზე უფრო მცირე ზომის ნაწილაკების წარმოქმნის მიმართულებით, რაც შეიძლება ჩავთვალოთ ახალ, დღემდე შეუსწავლელ მოვლენად. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ შესწავლიდან ხანგრძლივობისას (30 დღე) კომპონენტთა აღნიშნული თანაფარდობისა და კონცენტრაციისას (C₅P₅A_{0.1}) ნანოსუსპენზია იყოს სტაბილური და არ შეინიშნებოდა ვერცხლის გამოლექვა.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნეთ, რომ სინათლის შუქით ფოტოქიმიური აღდგენისას ეთანოლის არეში, მასტაბილიზირებელ აგენტად პოლი-N-ვინილ-პიროლიდონისა და ბიოდეგრადირებადი ამინომჟავური პოლიესტერამიდის გამოყენებისას, სასურველი ზომის AgNPs-ის მისაღებად უპირატესია ვერცხლის ნიტრატის დაბალი კონცენტრაცია (0.50 - 0.25 მგ/მლ - ნარევები C₅P₅A_{0.2} და C₅P₅A_{0.1}) და ექსპოზიციის მაღალი ხანგრძლივობა (14-20 დღე სინათლე-სიბნელის ციკლის გათვალისწინებით).

ტრანსმისიური ელექტრონული მიკროსკოპის (TEM) გამოყენებით (JEOL JEM 100SX Transmission Electron Microscope, ამაჩქარებელი ძაბვა 80 გადიდება 75,000)

შევისაწავლეთ აღნიშნული ნარევების - $C_5P_5A_{0.2}$ და $C_5P_5A_{0.1}$ საფუძველზე მიღებულ ნანოსუსპენზიებში AgNPs-ის ზომები. შედეგები მოყვანილია ნახ. 8-ზე.



ნახ. 8. ნანოკომპოზიტ $C_5P_5A_{0.2}$ -ის (ა) და $C_5P_5A_{0.1}$ -ის (ბ) TEM გამოსახულება ვერცხლის ნანოაწილაკები (ნაჩვენებია წითელი ისრებით) მიღებულია ფოტოქიმიური (დღის სინათლის) დასხივებით

TEM გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ორივე ნარევში საქმაოა 10 ნმ და ნაკლები ზომის ნაწილაკები, რომლებიც, ლიტერატურული მონაცემების თანახმად, განაპირობებენ AgNPs-ის ბაქტერიციდულ აქტივობას. $C_5P_5A_{0.2}$ ნარევიდან მიღებულ ნანოსუსპენზიაში AgNPs-ის ზომა მერყეობს 12-33 ნმ ფარგლებში, ხოლო $C_5P_5A_{0.1}$ ნარევიდან მიღებულ კი 8-39 ნმ ფარგლებში, რაც ემთხვევა ზემოთ მოყვანილ ულტრაიისფერი სპექტროსკოპიის მონაცემთა საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მიღებულ ნანოკომპოზიტებს აღმოაჩნდათ მაღალი ბაქტერიციდული აქტივობა, რაც წარმოადგენს ჩვენი შემდგომი პუბლიკაციის საგანს.

ლიტერატურა

- Potara M., Jakab E., Damert A., Popescu O., Canpean V., Astilean S. Synergistic antibacterial activity of chitosan-silver nanocomposites on *Staphylococcus aureus*. //Nanotech., 2011, 22(13), 135101.
- Tskhadadze Sh., Kupatadze N., Gaprindashvili R., Tugushi D., Katsarava R. Preparation of Silver Nanoparticles by Simple Photochemical Method. //J. Georg. Ceram. Assoc., 2016, Vol.18, 2(36), 60-67.
- Tskhadadze Sh., Kupatadze N., Tugushi D., Katsarava R. Nanosilver-Containing Antibacterial Composites on the Base of the Amino Acid. //J. Georg. Ceram. Assoc., 2017, Vol.19, 2(38), 65-72.
- Kildeby N. L., Andersen O. Z., Røge R.E. P3 Project, Institute for Physics and Nanotechnology - Aalborg University, 2005-2006, 87p.
- He R., Qian X., Yin J., Zhu Z., Preparation of polychrome silver nanoparticles in different solvents. //J. Mater. Chem., 2002, 12, 3783-3786.

SUMMARY

ANTIBACTERIAL NANOSILVER-CONTAINING COMPOSITES BASED ON THE BIODEGRADABLE MIXTURE OF POLYESTER AMIDE AND POLY-N-VINYL PYRROLIDONE
Tskhadadze Sh.A., Kupatadze N.O., Tugushi D.S. and Katsarava R.D.

Georgian Technical University

Institute of Chemistry and Molecular Engineering, Georgian Agrarian University

It was found that it is best to use the mixtures $C_5P_5A_{0.2}$ and $C_5P_5A_{0.1}$ containing low concentrations of silver nitrate for production of stable nanosuspensions containing AgNPs of a desirable size by the method of photochemical reduction in the presence of poly-N-vinyl-pyrrolidone and amino acid-based polyester amide as stabilizing agents. At the same time, in this case, we have a considerable economy of silver nitrate. The mixtures $C_5P_5A_1$ and $C_5P_5A_{0.5}$ containing high concentrations of silver nitrates turned out to be less effective. They produced unstable suspensions containing AgNPs of larger sizes.

Keywords: nanosilver, photochemical reduction, daylight, ethanol solution, biodegradable polyester amide, poly-N-vinyl pyrrolidone, antibacterial nanocomposite.

ამიღაური მონომერების პოლიკონდენსაცია ალდეჰიდთან;
ფქალში ძნელად ხსნადი აზოტოგანი სასუჟეტის სინომინი

გუგავა ე.დ., გელაშვილი ნ.ს., მაისურაძე ნ.ა., პაპავა გ.შ., გავაშელიძე ე.შ.,
ლიპარტელიანი რ.გ., ხოტენაშვილი ნ.ზ.

**იგანე ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**


მცენარეების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ძირითად სასუქებს წარმოადგენენ აზოტის, ფოსფორის და კალიუმის სასუქები (NPK). ცნობილია, რომ აზოტოვანი სასუქები წყალში კარგად იხსნებიან და ჩაირეცხებიან წვიმისა და გრუნტის წყლებით, რაც იწვევს ნიადაგისა და წყლების დაბინძურებას. გარდა ამისა, ისინი აქროლების შედეგად აღწევენ ატმოსფეროს მაღალ ფენებში და შლიან დედამიწის დამცველ ოზონის შრეს, იწვევენ მავნე გამოსხივების მოქმედებით სხვადასხვა მძიმე დაგადებების როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში. დიდია აგრეთვე ამით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები [1-5].

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, აზოტოვანი სასუქების ნიადაგში ჩარეცხვის თავიდან ასაცილებლად უვექტურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს პოლიმერიზებული კარბამიდის გამოყენება, რომლის მიღებაც ხორციელდება კარბამიდის პოლიკონდენსაციით ალდეჰიდთან. პოლიკონდენსაციის შედეგად მიღებული პოლიმერი წყალში მნელდა იხსნება და არ ჩაირეცხება. ნიადაგის ფერმენტების მოქმედებით პოლიმერი თანდათან გარდაიქმნება, გადადის მცენარისათვის ადგილად შესათვისებელ ფორმაში და მცენარე ასწრებს მის შეთვისებას.

კარბამიდისა და ფორმალდეპიდის მაგალითზე, წყალსნარში, ჩვენს მიერ შესწავლილია ამიდო-ალდეჰიდური ოლიგომერის წარმოქმნის პროცესი და რეაქციის მიმდინარეობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა.

საწყისი მონომერების მოლური თანაფარდობის ცვლილებისას წარმოიქმნება განსხვავებული სტრუქტურის მქონე პოლიმერები. საწყისი კომპონენტების (კარბამიდისა და ფორმალდეპიდის) მოლური თანაფარდობა იცვლებოდა 1 : 0,8-3,0-მდე, შესაბამისად.


1 : 1,2-3,0 თანაფარდობის დროს, რეაქციის პირველ ეტაპზე, წარმოიქმნება კარბამიდის მეთილოლწარმოებულები.



რეაქციისუნარიანი მეთილოლის ჯგუფი შედის რეაქციაში მეორე მეთილოლის ჯგუფთან, ან კარბამიდის ამინურ და იმინურ ჯგუფებთან. საბოლოოდ წარმოიქმნება სივრცითი პოლიმერი




სიგრცითი პოლიმერის გამარტივებული სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:



სივრცითი პოლიმერის ბიოდეგრადაცია ნიადაგის მაღეგრადირებელი მიკრო-ორგანიზმების მოქმედებით გაძნელებულია და სანგრძლივ დროს მოითხოვს. ჩვენ განვახორციელეთ პოლიმერების მიზანმიმართულ სინთეზი, ხაზოვანი სტრუქტურის მქონე პოლიმერების მისაღებად, სადაც შენარჩუნებულია პეპტიდური ბები.

კარბამიდისა და ფორმალდეპიდის მოლური რეაქციის მიმღინარეობისას, პროცესის პარამეტრების ხაზოვანი სტრუქტურის ქმონა პოლიმერები.

საზოგანი პოლიმერის გამარტივებული სტრუქტურა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:



გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ხაზოვანი სტრუქტურის შემთხვევაში მიკროორგანიზმები ადგილად აღწევენ პოლიმერების მოლეკულების დასტაში. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ის, რომ ხაზოვანი სტრუქტურის მქონე პოლიმერებში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული პეტიოდური ბმები. პოლიკონდენსაციის დროს ტემპერატურა იცვლებოდა 40-დან 98 °C-მდე. ოპტიმალურ ტემპერატურად მიჩნეულ იქნა 98 °C, რეაქციის ხანგრძლივობა 6 საათი. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ რეაქცია არის მეორე რიგის.

გახანგრძლივებული მექანიზმით მოქმედი სასუქის სინთეზი ჩვენს მიერ განხორციელებული იყო აგრეთვე ნალღობში, ბუნებრივი სორბენტის – დიატომიტის ფორმებში. კარბამიდის პოლიკონდენსაცია ალდეჰიდურ კომპონენტთან ტარდებოდა რეაქტორში. რეაქციის კონტროლი ხორციელდებოდა პროცესის მიმდინარეობისას სინჯების აღებითა და მათში რეაქციაში შეუსვლელი ალდეჰიდური კომპონენტის განსაზღვრით. რეაქცია ტარდებოდა $135 - 145^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის ინტერვალში. ხანგრძლივობა შეადგენდა $0,5 - 1,0$ საათს. ოპტიმალურად მიჩნეულ იქნა 145°C . რეაქციის მიმდინარეობისას ამ ტემპერატურაზე, სარეაქციო ნარევში ალდეჰიდის რაოდენობა

მცირდებოდა 2,5%-მდე. რეაქციის პროდუქტის შემდგომი გახურებისას თერმოსტატი, ალდეჰიდის რაოდენობა მცირდებოდა 0,05 - 0,1%-მდე.

**სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
დაფინანსებული საგრანტო პროექტის (FR/370/10-100/14) ფარგლებში.**

ლიტერატურა

1. S Congress, Office of Technology Assessment Impacts of Technology on US Cropland and Rangeland Productivity. - US Government Printing Office, Washington, D.C, 1982.
2. US Department. of Agriculture Report and Recommendations on Organic Farming. - US Government Printing Office, Washington, D.C, 1980.
3. Vogtmann H. In: Organic Farming: Current Technology and its Role in Sustainable Agriculture. Eds., Bezdicek D.F. and Power J.F. - American Society of Agronomy, Madison, Wis., 1984, p.19.
4. Voison A. Fertilizer Application. - Charles C. Thomas, Springfield, III, 1965;
5. Hodges R.D. and Scofield A.M. In: Environmentally Sound Agriculture. Ed., W. Lockeretz, = Praeger, NY, 1983.

SUMMARY

POLYCONDENSATION OF AMIDE MONOMERS WITH ALDEHYDE:

SYNTHESIS OF WATER-INSOLUBLE NITROGEN FERTILIZERS

Gugava E.D., Gelashvili N.S., Maisuradze N.A., Papava G.Sh., Gavashelidze E.Sh.,

Liparteliani R.G. and Khotenashvili N.Z.

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Polymerized carbamide is produced by polycondensation of carbamide with aldehyde. With a change in the molar ratio of initial monomers, there form polymers having different, both linear and spatial structure. To obtain linear polymers, targeted synthesis of polymers was carried out. In the obtained polymers, peptide bonds were retained. It was revealed that, in the case of a linear structure, microorganisms easily penetrate into the molecule, which facilitates biodegradation of polymers.

Keywords: polymerization, carbamide, ecology, biodegradation, polycondensation.

ხორბლის მარცვლის ტყელის შთანთხმის დინამიკის პლანგა დალგობის პროცესში

ხუციძე ც.ზ., ფრუიძე ე.გ., ხვადაგიანი ხ.ბ., ქუთათელაძე ა.დ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი


საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მნიშვნელოვნად იცვლება კვების სტრუქტურა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ტექნიკის ფართო გამოყენებამ გამოიწვია ადამიანის შრომის შემსუბუქება და ენერგეტიკული დანახარჯების შემცირება, შესაბამისად შემცირდა მოთხოვნილება საკვებზე. მეორეს მხრივ კი კვების მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის შედეგად ბაზარზე უფრო მეტად ხვდება ძლიერ გაწმენდილი რაფინირებული პროდუქცია. ჯანსაღი კვების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა მაღალი ბიოლოგიური ღირებულების ისეთი საკვები პროდუქტების წარმოებას, რომლებიც ახდენს კვების ალიმენტარული ფაქტორების დისხალანის კომპენსაციას. კვების მრეწველობის წინაშე დგება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი საკვები პროდუქტების წარმოების აუცილებლობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია პურ-ფუნთუშეული ნაწარმის მაქსიმალურად გამოყენება, რადგან საქართველოში მისი წილი მოსახლეობის კვების რაციონში საკმაოდ მაღალია. პურ-ფუნთუშეული ნაწარმი გამოირჩევა მაღალი ენერგეტიკული ღირებულებით, თუმცა ბიოლოგიური და ფუნქციური ღირებულება აქვს დაბალი. მარცვლის პროდუქტებს პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნის საკვები ბოჭკოებით ორგანიზმის უზრუნველყოფის საქმეში. მსოფლიოში წამყვანი მარცვლოვანი პულტურა არის ხორბალი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენება ხარისხოვანი ფქვილის მისაღებად. მარცვლოვანი ნედლეულის გადამუშავების ტრადიციული სქემები ითვალისწინებს მარცვლის დაფქვას. ამ დროს ქატოსთან ერთად ცილდება მთელი ცილის დაახლოებით მეოთხედი, მინერალური ნივთიერებების 2/3, თითქმის მთლიანად საკვები ბოჭკოები, B ჯგუფის და PP ვიტამინების დიდი ნაწილი. პურის ბიოლოგიური ღირებულების ამაღლების მიზნით ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მთლიანი, ასევე ბიოაქტიური, მარცვლიდან პურის წარმოებას [3].

უკანასკნელ წლებში აწსუ-ის საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების კათედრაზე მიმდინარეობს კვლევები გაღივებული (ბიოაქტიური) ხორბლიდან მაღალი ბიოლოგიური ღირებულების პურ-ფუნთუშეული ნაწარმის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით. შემუშავებულია მარცვლოვანი პურის მომზადების ხერხი [1,2,4]. ბიოაქტიურ მარცვალში გაზრდილია მასში არსებული მრავალი კომპონენტის ბიომისაწვდომობა. თუმცა ფერმენტების მაღალი აქტივობის გამომისახური მიიღება მზა ნაწარმი დაბალი სამომხმარებლო თვისებებით.

ხორბლის ბიოაქტივაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლის დალბობას და გაღივებას. მარცვლის ბიოპოლიმერების მიერ წყლის შთანთქმა განპირობებულია მათ მაკრომოლეკულებში ატომების ცალკეული ჯგუფების არსებობებით. ასეთ აქტიურ ჯგუფებს მიეკუთვნება: $-OH$, $-O-$, $-NH-$, $-NH_2$, $-COOH$ და $A.\ddot{S}.$, რომლებსაც აქვთ წყლის ერთი, ორი ან მეტი მოლექულის დაჭერის უნარი. ამრიგად, ისინი წარმოადგენენ წყლის ხორბციის ცენტრებს. შემდგომი სორბციისას კი ხდება მათი კონდენსაცია მარცვლის სტრუქტურასა და ანატომიურ ნაწილებში არსებულ მოლეკულათშორის კაპილარებში. გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე წყლის პიდროვფილური ურთიერთქმედება ლიპიდებთან, ცილების მოლექულებთან და ნახშირწყლებთან. მარცვლის მიერ შთანთქმული წყალი ბიოპოლიმერებთან ურთიერთქმედების შედეგად გადადის შეკავშირებულ მდგომარეობაში და იცვლის თვისებებს. იცვლება მარცვლის, მისი ანატომიური ნაწილებისა და ბიოპოლიმერების თვისებები, ფერმენტებისა და ბიოქიმიური პროცესების აქტივობა [3].

ხორბლის მარცვლის გარსს ახასიათებს წყლის სორბციის დაბალი უნარი. ეს აიხსნება მისი ბიოლოგიური ფუნქციით: გარსის დანიშნულებაა ჩანასახის და ენდოსპერმის დაცვა მექანიკური ზემოქმედებისაგან. მარცვლის წყალთან კონტაქტის დროს წყლის შთანთქმა ხდება სწრაფად, შეკავშირებულია სუსტად და გადაადგილდება ალეირონის ფენასა და ჩანასახში [3]. მარცვლისა და მისი ანატომიური ნაწილების ბიოლოგიური ფუნქცია, სტრუქტურა და თერმოდინამიკური მახასიათებლები განსაზღვრავს მათ მიერ წყლის შთანთქმისა და მთლიან მოცულობაში განაწილების თავისებურებებს. ცნობილია, რომ მარცვლის წყალში მოთავსებისას მისი ტენიანობა სწრაფად იზრდება 3-5%-ით, შემდეგ ტენიანობა არ იცვლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ 60 წთის შემდეგ ვითარდება მარცვლის დატენიანება. ეს ეფექტი შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად. დასასწევისში წყლით იჯირჯვება სანაყოფებრივი გარსი, გროვდება მკვდარ უჯრედებში, ამიტომ სანაყოფებრივი გარსში დაგროვილი წყალი შეკავშირებულია სუსტად და გარემო პირობების შეცვლისას შეიძლება აორთქლდეს ატმოსფეროში. მარცვლის სათესლე გარსი, ალეირონის ფენა და ჩანასახი უზრუნველყოფს წყლის მტკიცედ შეკავშირებას და მის შეკავებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ალეირონის ფენა და ჩანასახი ინარჩუნებს ცხოველქმედებას და წყალი აუცილებელია ბიოაქტივაციისას მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებისათვის. ამ წარმონაქმნებში წყალი ყოვნდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა ფერმენტული სისტემის აქტივაციისათვის. ამის შემდეგ წყალი გადაადგილდება ენდოსპერმის შიგნით [3].

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო დალბობის ხანგრძლივობისს და პიდრომოდულის გავლენის კვლევა მარცვლის წყლის შთანთქმის პროცესზე. შევისწავლეთ მარცვლის მიერ წყლის შთანთქმის ინტენსივობის დამოკიდებულება დალბობის ხანგრძლივობაზე. კვლევები ჩატარდა ლაბორატორიულ პირობებში თერმოსტატის გამოყენებით.



წყლის შთანთქმის დინამიკა მარცვალში

დიაგრამის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ წყლის შთანთქმის ინტენსივობის 3 პერიოდი. I პერიოდი (0 - 6 სთ), რომლის დროსაც მარცვლის ტენიანობა სწრაფად იზრდება, რაც გამოწვეულია ჩანასახის მიერ წყლის ინტენსიური შთანთქმით. II პერიოდი (6-16 სთ). მარცვლის წყლის შთანთქმის ინტენსივობა მცირდება. ეს უკავშირდება მარცვლის გაჯირჯვებული გარსით ენდოსპერმის მიკროკაპილარების დაფარვას, რაც აფერხებს ტენის გადაადგილებას მარცვლის

შიგნით. III პერიოდი (16-24 სთ). ამ პერიოდში მიმდინარეობს ტენის გადანაწილება მარცვლის ანატომიურ ნაწილებში.

წყლის რაოდენობა დალბობის დროს გავლენას ახდენს მარცვლის ბიოაქტივაციის პროცესზე. შევისწავლეთ პიდრომოდულის (მარცვალი:წყალი) გავლენა მარცვლის დატენიანების სიჩქარესა და ინტენსივობაზე. დალბობის ვახდენდით 40°C ტემპერატურაზე 20 საათის განმავლობაში. მარცვლის დალბობის ხარისხსა და სიჩქარეს ვაფასებდით მარცვლის ტენიანობისა და მარედუცირებელი შაქრების შემცველობის ცვლილების მიხედვით. შედეგები მოცემულია ცხრილში.

ხორბლის მარცვალში მარედუცირებელი ნივთიერებებისა და ტენის ცვლილება დალბობისას

დალბობის ხანგრძლივობა, სთ	წყალში დამბალი მარცვალი									
	მარედუცირებელი ნივთიერებები, %					ტენის რაოდენობა, %				
	2:1	1:1	1:1,5	1:2	1:2,5	2:1	1:1	1:1,5	1:2	1:2,5
1	1,40	1,43	1,41	1,48	1,48	18,32	20,46	20,53	20,68	20,76
2	1,43	1,56	1,58	1,60	1,72	25,75	26,78	26,34	26,45	26,63
3	1,48	1,58	1,60	1,64	0,81	29,26	30,54	30,83	31,36	31,77
4	1,52	1,64	1,68	1,70	1,95	32,14	33,67	33,78	34,45	34,86
5	1,58	1,70	1,72	1,72	1,98	33,36	34,44	34,64	35,88	36,23
6	1,63	1,89	1,95	1,91	2,00	37,24	38,67	38,89	39,87	40,47
7	1,77	1,96	1,97	1,99	2,10	38,56	39,24	39,57	39,76	40,57
8	1,79	2,04	2,06	2,09	2,11	38,79	39,67	39,87	39,96	40,96
9	2,00	2,09	2,10	2,12	2,20	39,34	40,15	40,37	40,78	41,28
10	2,05	2,12	2,14	2,20	2,24	39,46	41,23	41,47	42,56	42,84
11	2,08	2,17	2,20	2,22	2,30	39,76	41,37	42,37	42,78	43,18
12	2,13	2,22	2,25	2,27	2,31	42,38	42,39	42,78	43,68	44,07
13	2,15	2,27	2,31	2,35	2,37	42,77	43,89	43,74	44,06	44,16
14	2,19	2,30	2,32	2,36	2,39	43,24	44,38	44,41	44,49	44,50
15	2,30	2,34	2,37	2,42	2,44	44,24	44,40	44,42	44,52	44,54
16	2,34	2,38	2,42	2,45	2,47	44,27	44,42	44,43	44,48	44,52
17	2,38	2,40	2,46	2,48	2,51	44,28	44,44	44,50	44,52	44,56
18	2,42	2,46	2,49	2,54	2,58	44,30	44,45	44,52	44,56	44,58
19	2,46	2,49	2,53	2,60	2,66	44,32	44,46	44,56	44,66	44,68
20	2,54	2,58	2,70	2,70	2,72	44,88	44,98	45,28	45,30	45,38

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ რაც მეტია დასალბობი წყლის რაოდენობა, მით მეტი ინტენსივობით მიმდინარეობს მარცვალში ტენის დაგროვება, ამასთან როცა მარცვლისა და წყლის თანაფარდობა აღემატება 1:2, ტენის შთანთქმის პროცესი მიმდინარეობს ნაკლები ინტენსივობით დალბობის თანაბარი ხანგრძლივობის პირობებში. ამას გარდა დასალბობი წყლის რაოდენობის შემდგომი გაზრდა ხელს შეუწყობს ისედაც უკვე გააქტიურებული საკუთარი პიდროლიზური ფერმენტების უფრო მეტად გააქტიურებას, ხორბლის მარცვლის დალბობა მიზანშეწონილია 1:2 პიდროლოდულის პირობებში.

ამრიგად, ბიოაქტივიაციისათვის ხორბლის მარცვლის წყალში წინასწარი დალბობა მიზანშეწონილია 1:2 პიდროლოდულის (მარცვალი:წყალი) პირობებში 5-6 სთ-ის განმავლობაში 40°C ტემპერატურაზე.

ლიტერატურა

1. ე. ფრუიძე, ც. ხუციძე, გ. ხელიურიანი, ე. მნელაძე. მარცვლოვანი პურის მომზადების ხერხი (P 5117), 2010.
2. ე. ფრუიძე, ც. ხუციძე, ნ. ფხაგაძე ხორბლის პურის დამზადების ხერხი (P 4763) გაცემული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქართველო) მიერ, 2009.
3. Егоров Г.А. Технология муки. Технология крупы. 4-е изд., перераб. и доп. - М.: Колос, 2005, 296 с.
4. Pruittidze Э.Г., Xuclidze Ц.З., Xeцириани Г.С. Хлебцы из цельного проросшего зерна пшеницы, №3, 2008, сс.178-180.

SUMMARY

INVESTIGATION OF THE DYNAMICS OF WATER ABSORPTION BY WHEAT GRAIN IN THE PROCESS OF SOAKING

Khutsidze Ts.Z., Pruittidze E.G., Khvadagiani Kh.B. and Kutateladze A.D.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

In recent years, with the aim of increasing the biological value of bread, special attention is paid to the production of bread from whole grains, as well as from bioactive grains. In the process of bioactivation of the wheat, special attention is paid to the soaking and germination of the grain. The intensity of water absorption by grain depending on the duration of soaking was studied. The studies showed that intense water absorption in the grain occurs at the beginning of soaking, then the process proceeds with less intensity. In addition, an excessive increase in the amount of water for soaking promotes even more activation of already activated hydrolytic enzymes. Therefore, the soaking of wheat grain is recommended under the following conditions: hydromodule 1: 2 for 5-6 hours at 40°C.

Keywords: wheat grain, soaking, water absorption.

**ზოტოპორმონების და პიროლშემცველი ტექნიკური ნაერთების
ბაზლენა გარტოზილის და ჰარხლის ზრდა-განვითარებაზე**

წეროძე ხ.ო., კუხალევიშვილი მ.ი., მაისურაძე მ.გ., ბულაური ე.პ.



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის
ცენტრი**

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში აქტიურად იყენებენ პორმონებს, როგორც ზრდის სტიმულატორებს და გრუნტში. მრავალუჯრედიანი ორგანიზმებისთვის დამასასიათებელია რეგულაციის ტიპი, რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ უჯრედებს, ქსოვილებსა და თვით ორგანოებს შორის ურთიერთქმედებასთან. ასეთი კოორდინაციის განსახორციელებლად ორგანიზმში გამომუშავდება პორმონები. მცენარის პორმონებმა მიიღო დასახელება ფიტოპორმონები [1,2]. ფიტოპორმონები – ეს არის ნივთიერება, რომელიც გამომუშავდება ნივთიერებათა ბუნებრივი ცვლის პროცესში და უმნიშვნელო რაოდენობით ახდენს მარეგულირებელ გავლენას, ასევე ფიზიოლოგიური პროცესების კოორდინაციას. ამასთან დაკავშირებით მათ მიმართ გამოიყენება ტერმინი - ზრდის ბუნებრივი რეგულატორები. უმრავლეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყველათვის, ფიტოპორმონები წარმოქმნებიან ერთ უჯრედებსა და ორგანოებში, ხოლო ზემოქმედებას ახდენენ სხვა სიტყვებით, პორმონებს შეუძლიათ მცენარებში გადაადგილება და მათი ზემოქმედება ატარებს დისტანციურ ხასიათს [3]. ფიზიოლოგიური პროცესების უმრავლესობა, პირველ რიგში ზრდა, ფორმირება და მცენარის განვითარება რეგულირდება ფიტოპორმონებით. ფიტოპორმონები თამაშობენ წამყვან როლს მცენარის ადაპტაციაში გარემოს პირობებთან. ცნობილია ფიტოპორმონების შემდეგი ხუთი ჯგუფი: აუქსინები, გიბერელინები, ციტოკინინები, აბსციზის მჟავა და ეთოლენი. პირველი სამი ჯგუფი - აუქსინები, გიბერელინები და ციტოკინინები [4] პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ ნივთიერებებს, რომლებიც ახდენენ ხასიათის სტიმულირებას მაშინ, როდესაც აბსციზის მჟავა და ეთოლენი – ინდიბირებას [5]. სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომებიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადამცველი და ჭარხალი კველაზე საინტერესოდ მოქმედებს ინდოლილმარმებავა [6].

ჩვენს მიერ დასინთეზებული იქნა პიროლშემცველი ტექნიკური ნაერთები (12 ნაერთი) [7]. შესწავლილია ამ ნაერთების და მცენარეების ზრდის რეგულატორის – ინდოლილმარმებავას (აუქსინების ჯგუფი) მოქმედება სასოფლო-სამეურნეო კულტურების (კარტოფილი და ჭარხალი) კველების პერიოდზე.

დასინთეზებული პიროლშემცველი ტექნიკური ნაერთების ბიოლოგიური აქტიურობის შეფასების მიზნით ი. ქუთათელადის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მოხდა ბიოლოგიური აქტიურობის მოდელირება. გამოყენებულ იქნა PASS-ის პროგრამა, ხოლო უსაფრთხოების შეფასებისათვის ACD/Labs Percepta Platform-ის ტოქსიკოლოგიური მოდული [7].

ექსპერიმენტისთვის გამოყენებული იყო კარტოფილის ჯიში „პიკასო“-ს ტუბერები და ჭარხლის პიბრიდული თესლი SX-404. ნიადაგი კარტოფილისთვის ჩამოტანილი იქნა ახალციხის (სოფ. არალი და სოფ. წყალთბილა) რეგიონიდან, ხოლო ჭარხლისათვის წალკის (სოფ. პამაჯი) რეგიონიდან. ნიადაგის pH განისაზღვრა pH-მეტრზე (HANNA instruments edge pH). სოფელ არალიდან და სოფელ წყალთბილადან ჩამოტანილი ნიადაგის pH შესაბამისად შეადგენდა 7,7 და 6,8-ს, ხოლო სოფელ პამაჯიდან ჩამოტანილი ნიადაგის pH – 6,82-ს. ცდების შედეგებმა აჩვენა, რომ კველაზე მაღალი სავარაუდო აქტიურობა გააჩნია 3H-პიროლო[3,2-გ]ფენოთიაზინ-2-კარბონმებავას (ნაერთი 1) და 1H-პიროლო[3,2-ბ]ფენოთიაზინ-2-კარბონმებავას (ნაერთი 2). მათი აღნაგობა მსგავსია ინდოლილ მარმებავასი (ინდ), რომელიც გამოიყენებოდა იყო სხვადასხვა კომბინაციით და კონცენტრაციით.



კარტოფილისა და ჭარხლის გეგეტატიური ნაწილების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვებები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის *in vitro* ლაბორატორიაში.

ცდისთვის ადგებული იყო, როგორც საკონტროლო (დაუმუშავებელი), ასევე სხვა-დასხვა ნაერთებით და სხვადასხვა კონცენტრაციებით დამუშავებული ვარიანტები.

მცენარეების დამუშავება ხდებოდა 0,1 %-იანი და 0,2 %-იანი; 0,1 %-იანი და 0,05 %-იანი ნაერთი (1) და 0,1 %-იანი და 0,05 %-იანი ნაერთი (2)-ის ინდოლილმარმჯავას სსნარებით. ასევე გამოყენებული იყო ამ ნაერთების კომბინაციებიც. ხდებოდა დაკვირვება მცენარეების ზრდა-განვითარებაზე. იზომებოდა კარტოფილის დეროს სიგრძე, მუხლთაშორისები, ფოთლების დიამეტრი და ითვლებოდა ფოთლების რაოდენობა. ჭარხლის შემთხვევაში კი ითვლებოდა ფოთლების რაოდენობა, ასევე იზომებოდა ფოთლების დიამეტრი და ღეროს სიგრძე. ეს გაზომვები ტარდებოდა ყოველ 2 კვირაში ერთხელ. საბოლოო შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 1 და 2.

ცხრილი 1. კარტოფილის დამუშავება ინდოლმარმჯავას სხვადასხვა კონცენტრაციის სსნარებით (ნიადაგის pH – 6,8 31.05.2017)

№	ვარიანტი	ღეროს სიგრძე, სმ	მუხლთაშორისების რ-ობა	ფოთლების დიამეტრი	ფოთლების რ-ობა
1	საკონტროლო (დაავადდა)	8,7	7	0,8 – 5,2	8
2	0,1 % - იანი ინბ	7,4	8	1,9 – 3,6	9
3	0,2 % - იანი ინბ	9,2	7	1,1 – 3,9	8
4	0,1 %-იანი I ნაერთი	7,5	8	1,5 – 3,9	9
5	0,05 %-იანი I ნაერთი	8,5	7	1,1 – 3,5	8
6	0,1 %-იანი II ნაერთი	7,8	8	1,7 – 3,5	9
7	0,05 %-იანი ნაერთი (II)	6,0	7	2,5 – 4,5	8
8	0,1 % - იანი ინბ 0,1 % ნაერთი (I)	7,5	9	1,7 – 2,7	8
9	0,1 % - იანი ინბ 0,05 % ნაერთი (I)	8,2	9	1,4 – 3,0	10
10	0,2 % - იანი ინბ 0,1 % ნაერთი (I)	8,4	10	1,7 – 4,2	11
11	0,2 % - იანი ინბ 0,1 %-იანი ნაერთი (II)	7,0	8	1,1 – 3,2	9
12	0,1 % - იანი ინბ 0,1 %-იანი ნაერთი (II)	5,9	7	1,2 – 3,4	8
13	0,1 % - იანი ინბ 0,05 %-იანი ნაერთი (II)	7,5	7	1,8 – 3,4	8
14	0,2 % - იანი ინბ 0,1 %-იანი ნაერთი (II)	6,5	7	1,4 – 3,1	8
15	0,2 % - იანი ინბ 0,05 %-იანი ნაერთი (I)	7,1	8	1,0 – 3,5	9

**ცხრილი 2. ჭარხლის დამუშავება ინდოლმარმჟავას სხვადასხვა კონცენტრაციის
სინარებით (pH – 6,82 31.05.2017)**

№	ვარიანტი	დეროს სიგრძე, სმ	ფოთლების დიამეტრი	ფოთლების რაოდგნობა
1	საკონტროლო	7,5	1,5 – 1,8	5
2	0,1 % - იანი ინდ	3,1	0, 9 – 1,3	4
3	0,2 % - იანი ინდ	6,6	3,9 – 4,9	6
4	0,1 %-იანი I ნაერთი	4,9	1,5 – 4,0	6
5	0,05 %-იანი I ნაერთი	6,3	3,5 – 5,0	5
6	0,1 %-ანი II ნაერთი	5,9	3,5 – 4,5	6
7	0,1 % - იანი ინდ 0,1 % ნაერთი (I)	4,4	3,8 – 4,1	7
8	0,05 %-იანი ნაერთი (II)	5,3	2,7- 3,8	6
9	0,1 % - იანი ინდ 0,05 % ნაერთი (I)	4,5	1,7 – 3,2	6
10	0,2 % - იანი ინდ 0,1 % ნაერთი (I)	6,2	1,3 – 2,5	5
11	0,2 % - იანი ინდ 0,1 %-ანი ნაერთი (III)	7,4	4,5 – 4,8	8
12	0,1 % - იანი ინდ 0,1 %-ანი ნაერთი (II)	3,7	1,1 – 1,3	5
13	0,1 % - იანი ინდ 0,05 %-ანი ნაერთი (III)	5,7	1,2 – 4,7	6
14	0,2 % - იანი ინდ 0,05 %-%- ანი ნაერთი (II)	5,1	3,1 – 4,5	6
15	0,2 % - იანი ინდ 0,05 %-%- ანი ნაერთი (I)	5,2	1,0 – 4,0	6

შედეგების მიხედვით მცენარის ზრდა-განვითარებაზე საუკეთესო შედეგი მოგვცა 0,1% -იანი ინდ + 0,05%-იანი ნაერთი 1-ის და 0,2%-იანი ინდ + 0,1%-იანი ნაერთი 1-ის ნივთიერებების კომბინაციაში.

აქედან უკანასკნელი კომბინაცია უფრო მეტად უკეთესი აღმოჩნდა, ყველა კომპონენტში.

რაც შეგება ჭარხლის, როგორც ექსპერიმენტმა გვიჩვენა საუკეთესო შედეგი 0,2%-იანმა იმმ-მ და 0,1%-იანმა მე-2 ნაერთის კომბინაციამ მოგვცა (ცხრ. 2). ამ შემთხვევაში მცენარეს აღენიშნებოდა ფოთლოვანი აპარატის საკმაოდ კარგი განვითარება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჭარხლის ძირსვენების ჩამოყალიბებისთვის. უნდა აღინიშნოს რომ ნივთიერებების სხვა კომბინაციებმა ვერ მოგვცა სასურველი შედეგი. ვეგეტაციის პერიოდში სხვა კომბინაციებით დამუშავებულ ჭარხლში შეიმჩნეოდა მცენარის ვეგეტატიური ნაწილების ზრდის შეზღუდვა, რაც გამოიხატებოდა დეროს და განსაკუთრებით ფოთლოვანი აპარატის სუსტ განვითარებაში.

ამრიგად, მცენარეებზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს მიერ დასინთეზებულ პიროლშემცველი ტეტრაციკლურ ნაერთებს გააჩნიათ საკმაოდ კარგი აქტიურობა. საუკეთესო შედეგი აჩვენა 0,1%-იანი ნაერთი 1-ის (კარტოფილი) და 0,2%-იანი ნაერთი 2-ის (ჭარხლი) კომბინაციამ ინდოლილმარმჟავასთან. ეს კომბინაციები არის მაქსიმალური კონცენტრაცია მცენარეებისთვის, კარტოფილი და ჭარხლი ვეგეტაციის საწყის პერიოდში საკმარისი რაოდენობით გამოიმუშავება აუქსინებს, ხოლო შემდეგ ბუტონიზაციის დროს ფიტოპორმონების გამომუშავება რამდენადმე მცირდება [7-12], ამიტომ 0,2%-იანი ინდოლილმარმჟავას და 0,1%-იანი ნაერთი 1-ის მოქმედება მაქსიმალურია კარტოფილის შემთხვევაში, ხოლო ჭარხლის შემთხვევაში 0,2%-იანი ინდოლილმარმჟავას და 0,1%-იანი ნაერთი 2-ის კომბინაცია საშუალებას იძლევა კარგიდ განვითარდეს ფოთლოვანი აპარატი, მთელი ვეგეტაციის პერიოდში. რაც ბოლოს დადებითად აისახება, როგორც კარტოფილის, ისევე ჭარხლის მოსავლიანობაზე.

ლიტერატურა

1. Дерфлинг К Гормоны растений. Системный подход. -М: Мир, 1985, 285с.
2. Mattheyse A.G., Scot T.K. Hormonal regulation of development II / Encyclopedia of Plant Physiology, New Series, 1984, 243 p.
3. Борзенкова Р.А., Боровкова М.П., Крылова Т.Н. Влияние материнского клубня на формирование гормонального статуса, рост и клубнеодразование у растений картофеля при засухе. Урал гос. ун-т.- Екатфинбр, 1997, 48 с.
4. Гамбург К.З. Биохимия ауксина и его действие на клеши растений. - Новосибирск: Наука Сиб. отд-ние, 1976, 272 с.
5. Яшков М.Ю., Борзенкова Р.А. Характеристика гормональной системы различных видов картофеля в связи с особенностями донорно-акцепторных связей. // IV Международная конференция «Регуляторы роста и развития растений». -М: МСХА, 1997, сс. 44 - 45.
6. Athanasios T. Rapid gene cegulation by auxin. // Annu. Rev. Plant Physiol. Vol.37. Palo Alto. Calif., 1986, cc.407-438.
7. გ. მაისურაძე, ხ. წეროძე. იზომერული პირფოფენობოთაზინების სინთეზი და მოსაფოდნელი ბოლოგიური აქტიურობა. //საქართველოს ქიმიკური უნივერსიტეტი, გ. 17, N1, 2017, გვ. 69-76.
8. Земская В. А. Ауксин белковые комплексы в растениях. // Рост растений и природные регуляторы. - М: Наука, 1977, сс.257-267.
9. Казаков Е.А., Казакова С.М., Гуляев Б. И. Действие и последействие засухи на фотосинтез листьев в онтогенезе сахарной свеклы. // Физиология и биохимия культурных растений, 1986, 18, №5, сс. 459-467.
10. Эллиот М.К., Чен Д.Ф., Фаулер М.Р., Керби М.Дж., Кубашкова М., Скотт Н.В., Слейтер А. Трансгеноз. Программа повышения продуктивности сахарной свеклы. // Физиология растений, 1996, т. 43, № 4, сс. 620-628.
11. Кузьмина Г. Г. Регуляторная роль ИУК и АБК в транспорте ассимилятов на поздних этапах онтогенеза растений. // Пятая международная конференция «Регуляторы роста и развития растений», -М: МСХА, 1999, сс.46-47.
12. Рубин Б.А. Физиология сельскохозяйственных растений. -М.: изд.-во Московского ун-та, т.2, 1967, 482 с.

SUMMARY

THE IMPACT OF PHYTOHORMONES AND PYRROLE-CONTAINING TETRACYCLIC COMPOUNDS ON POTATO AND BEETROOT GROWTH AND DEVELOPMENT

Tserodze Kh.O., Kukhaleishvili M.I., Maisuradze M.G. and Bulauri E.V.

Biotechnology Center, Georgian Technical University

The expected biological activity of 12 pyrrole-containing tetracyclic compounds we synthesized was assessed. These compounds were used in agriculture for growing potato and beetroot crops. The impact of these compounds and the plant growth regulator – indolyl acid (group of auxins) on the agricultural cultures - potato and beetroot during the period of vegetation is conserved.

Keywords: phytohormones, pyrrole-containing tetracyclic compounds, plant growth regulator, biological activity, agriculture.

თავშაგას *Origanum vulgare* ბიოლოგიური თავისებურებანი

გაჭარავა თ.ო., ლობჯანიძე მ.პ., ტყებუჩავა ზ.რ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი.

საქართველოს უნიკალური ფიტოგენეტიკური რესურსი სტრატეგიული სიმდიდრეა, მათი გამოყენება კი ქვეყნისათვის ისტორიულად ტრადიციული. მცენარეები წარმოადგენენ სამკურნალო ნივთიერებათა ნედლეულის ძირითად წყაროს, სამკურნალო პრეპარატთა 30%-ზე მეტი მიღება მცენარეებიდან, ანუ ყოველი მესამე პრეპარატი მსოფლიო ბაზარზე გახლავთ ფიტოწარმოშობის, ამასთანავე მცენარეული წარმოშობის პრეპარატების ფასი, სინთეტიკურთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. მცენარეული ნედლეულიდან დამზადებული პრეპარატები ნაკლებ ტოქსიკურია, გამოყენებისას თანმდევი გართულებების გარეშე სტაბილური შედეგით, ისინი ონთოგენეზის პერიოდში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავს მკაცრად განსაზღვრული თანაფარდობით და რაოდენობით ეკოსისტემასთან კავშირში.

დღეისათვის საქართველოში არ მიმდინარეობს სამკურნალო მცენარეების წარმოება და კულტივირება სამრეწველო მასშტაბებით. პროცესს კუსტარული სახე აქვს ველურად მოზარდი მცენარეების ხარჯზე, რასაც თან სდევს ფიტოგენპლაზმის შეუძლებელი განადგურება, ჩვენი ქვეყნის კლიმატურ-ნიადაგური პირობები კი იძლევა საშუალებას მოვაშენოთ და მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხოვანი ნედლეული, კონდიციური თესლი და პროდუქცია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამავე დროს, რომ ბაზარიც გაჯერებულია იმპორტული, ძვირადღირებული სინთეზური პრეპარატებით.

უნიკალური, ეკოლოგიურად სუფთა ენდემურ-აბორიგენული ფიტოგენეტიკური რესურსის მქონე ჩვენს ქვეყნას აქვს შანსი გახდეს ბიოლოგიურად აქტიური ნატურალური ფიტოსამკურნალო, ფიტოკულინარული თუ ფიტოპარფიუმერული საშუალებების ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი და დაიკავოს დირსებული აღგილი მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი შემოსავლით, განსაკუთრებით მსოფლიოს რიგ განვითარებულ ქვეყნებში ანტიბიოტიკების აკრძალვის ფონზე [1].

ძირითადი ნაწილი.

ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული სამკურნალო, არომატული, სანელებელი და საღებავი მცენარე თავშავა (*Origanum vulgare*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ტუხოსანთა (*Labiateae*) ოჯახიდან 45-50 სმ სიმაღლით, უმეტესად ძირიდან დატოტვილი, შეფოთლილი, ფოთლები მოპირდაპირე, ყუნწიანი, მოგრძო-კვერცხისებრი, წვერში წამახვილებული, წვრილად დაკბილული ან თითქმის მთელიდიანი, სიგრძით 2,1-4,0 სმ, ღეროს კენწეროსკენ ფოთლები პატარავდება. ღერო თოხწანაგაა, სუსტად შებუსული ან თითქმის შიშველია, ზედა ნაწილში ყვავილედით ბოლოვდება, რომელიც ფარისმაგვარი საგველაა, მრავალყვავილიანი, თანაყვავილედები ჯამზე გრძელია, მოგრძო, მახვილწვეტიანი, ჯამი სამკუთხა ლანცეტისებრი კბილებით, შიშველი ან მეჩეერი ბუსუსებით, გვირგვინი ორტუზა, ყვავილები წვრილი, სიგრძით 3-5 მმ. ფესვურა ტოტისებრია, ხშირად მხოხავი. ფოთლების ფერი ზედა მხრიდან მწვანე, ქვედა მხრიდან ბაცი მწვანე, ღეროები მწვანე ან მეწამული, თანაყვავილედები და ჯამი მურა-მეწამული ან მომწვანო მურა, გვირგვინი მურა-მეწამული ან მურა-მოვარდისფრო, გამოირჩევა სპეციფიკური არომატული სუნითა და მომწარო-ძელგი გემოთი. ყვავილობს და ნაყოფი მწიფედება ივლის-სექტემბერში ლიტერატურული მონაცემებით კი ეს დაახლოებით 8-10 კგ ძვირფასი ეთერზეთია. თავშავა თაფლოვანი მცენარეცაა, 1 კა-დან 100 კგ თაფლის მიღება შეიძლება. [2].

თავშავა გვხვდება კავკასიაში, ყაზახეთში, შუა აზიაში, ევროპაში, შორეულ აღმოსავლეთში. საქართველოში იგი გავრცელებულია თითქმის ყველგან, განსაკუთრებით მთის წინებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში, ბუჩქნარებში, მდელოებზე.

ჩვენი ექსპერიმენტების შედეგების გაანალიზებით ცნობილი გახდა, რომ თავშავა ხასიათდება ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდით, კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას, ზომიერად ტენისმოვარული მცენარეა, თუმცა მოზრდილი მცენარეები ეგულებიან გაალვასაც. კულტივირებული პლანტაციის გაშენებისას აუცილებლად გამოკვლეულ უნდა იქნეს ეკოსისტემის პარამეტრები (ნიადაგის ნაყოფიერება, გარემოს დაბინძურების ხარისხი და სხვ.), რადგანაც ისინი განმსაზღვრელი ლიმიტირებადი ფაქტორებია პროდუქტულობის და ხარისხობრივი ტესტების ჩამოყალიბებისას. მისი კულტივირებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ უდიდეს როლს თამაშობს ნიადაგის დამუშავების ხარისხი, რათა ოპტიმალური რეჟიმით მოხდეს საკვები კლემენტების, ტენის და სხვა პარამეტრების დიფერენცირება-გამოყენება ეკოლოგიურად სუფთა, მაქსიმალური მოსავლის მისაღებად. თესლი გაღივებას იწყებს 5-8 °C. თავშავას თესვის ვადები შეზღუდული არ არის. იგი შეიძლება დაითესოს ზაფხულში, უშუალოდ თესლის აღებისთანავე, როცა მას აღმოცენების მაქსიმალური ენერგია გააჩნია, ასევე ითესება ადრე შემოღვიმით ან გაზაფხულზე. აქეთ გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აღმონაცენი წაყინვებმა არ დააზიანოს, არ დაიტბოროს, ან არ მოხდეს ნათესის გადარეცხვა. თავშავა ჩითილებითაც მრავლდება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თესვისა და გადარგვის ვადების დაცვას მაქსიმალური პროდუქტულობის და ხარისხობრივი პარამეტრების მისაღებად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისოვის ეთერზეთების წარმოქმნის პრცესის ოპტიმიზაცია. თესვის საუკეთესო ვადაა სექტემბრის დასაწყისი, რომ თავიდან იქნეს აცილებული აღმონაცენზე გაზაფხულის მოსალოდნელი გვალვების უარყოფითი გავლენა. ამასთანავე შემოღვიმით დათესილი ან გადარგული მცენარეები მაქსიმალურად ითვისებენ სითბოს, ტენის, ინვითარებენ მძლავრ საასიმილაციო აპარატს, შესაბამისად პროპორციულად ვითარდება ფესვთა სისტემაც, რაც შემდგომში მაღალი პროდუქტულობის საწინდარია. მცენარეები მომძლავრებულნი გადადიან მოსვენებით მდგომარეობაში, ვეგებაციას იწყებენ ადრე გაზაფხულზე, მაქსიმალური პროდუქტულობით გამოირჩევიან და წარმოქმნიან გვირფას თესლს, 1000 თესლის მასა დაახლოებით 0,10-0,12 გ [3].

თავშავას მიწისზედა ნაწილი შეიცავს 0,1-1,4% ეთეროვან ზეთს, მასში დომინირებს კარგაკროლი, თიმოლი და მირცენი. ბიოლოგიურად აქტიური ჯგუფებიდან კი იგი შეიცავს ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს, ორიტერპენოიდებს, სტეროიდებს, ვიტამინ C, მორიმლავ ნივთიერებებს. თავშავას თესლში 10-30%-მდეა ცხიმოვანი ზეთი, გვხვდება ალიფატური სპირტები.

ჩვენ ტიტრომეტრული მეთოდით განვსაზღვრეთ - ვიტამინი C შემცველობა თავშავას მცენარის სხვადასხვა ნაწილებში ეკოსისტემის განსხვავებულ არეალში, ვიტამინები - როგორი ქიმიური შედეგების ნაერთებია, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის რეგულატორების როლს ასრულებენ, მათი არ არსებობა, ნაკლებობა ან სიჭარე განაპირობებს სხვადასხვა სახის დაავადებას, რის გამოც ისინი შეადგენენ საკვების აუცილებელ შემადგენელ ნივთიერებებს. ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზების შედეგად ნათელი გახდა, რომ ვიტამინ-C შემცველობა მაღალმთიან ზონაში გავრცელებულ ველურ ფორმაში მეტია მცენარის ყველა ნაწილში, მცირედ ჩამოუკარდება კულტივირებული ფორმა იმავე ზონაში.

ვიტამინ C შემცველობა თავშავაში - (მგ%)

არეალი	დეროები	ცოთლები	ყვავილები
რაჭა (შოვი) კულტივირ.	35	355	136
შიდა ქართლი (მცხეთა) კულტივირ.	31	321	110
ველური ფორმა რაჭა (შოვი)	39	365	146
ველური ფორმა შიდა ქართლი (მცხეთა)	29	326	114

ამრიგად, ექსპერიმენტებისა და ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავშავას სამრეწველო პლანტაციის თესვის და გადარგვის ოპტიმალური ვადაა საქართველოში შემოღომის პირველი ნახევარი. ვაგეტაციის მეორე წელს მწვანე მასის პროდუქტიულობა 15 ტ/ჰა-მდე ფიქსირდება.

ლიტერატურა

1. სამკურნალო მცენარეთა გენეტიკური რესურსი საქართველოში. ი. გოგებაშვილის თელავის სახ. „უნივერსიტეტი „კულტურათმორისი დიალოგები“, სს კონფერენცია, გვ. 293-297.
2. Kacharava T. Sustainable Use of Genetic Resources in Medicinal, Aromatic, Spicy, Poisonous Plants./Proceedings of the International Conference on Applied Ecology: Problems, Innovations, Tbilisi, ISBN 978-9941-0-7644-2, <http://icae-2015.tsu.ge>, 2015, pp.241-246;
3. Kacharava T., Epitashvili T. Protection of genetic resources of medicinal, aromatic and spice plants in Georgia, Sustainable, Utilisation of Plant Genetic Resources for Agriculture and Food./International scientific conference, Piešťany, Slovak Republic, 2016, p. 34. <http://www.vurv.sk/conference/>.

SUMMARY

BIOLOGICAL PECULIARITIES OF *ORIGANUM VULGARE*

Kacharava T.O., Lobjanidze M.B. and Tkebuchava Z.R.

Georgian Technical University

Samtskhe-Javakheti State University

The experiments performed showed that wild plant species growing in the highlands of Racha contain more vitamin C, which is due to by the effect of ecosystem conditions parameters (the sum of active temperatures, the amount of sediments, soil fertility, etc.). Hence, while cultivating the plantations of *Origanum vulgare* L in farming conditions, the following factors should be taken into account: environment-soil-plant-fertilization, biological peculiarities of the plant, optimal technologies of reproduction should be selected for the relevant region, etc. In case of proper management of the processes, ecologically pure raw product with high productivity and standard content of pharmacologically active substances is obtained and the genetic resource of this unique plant is maintained.

Keywords: *Origanum vulgare* L., ecosystem conditions, genetic resource, pharmacologically active substances.

საქართველოში შემოფანილი საქართველოს ანალიზი

შილდელაშვილი ი.ი., მათიაშვილი შ.ი., ბუიშვილი გ.თ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვენს მიზანს წარმოადგენს წარმოებში გამოყენებული თერმოფილური საფუარების შეცვლა ბუნების წიაღში გავრცელებული ღვინის ოვალური საფუარებით.

დღეის მდგომარეობით საქართველოში არ იწარმოება საფუარები, ისინი ძირითადად შემოდის საზღვარგარეთიდან, დაწნებილი და ფხვიერი სახით, რომელთაც ეტიკეტზე აქვს წარწერა *Saccharomyces Cerevisiae*, რომელიც ღვინის საფუარების საერთო სახელწოდებად და თუ რომელი სახეობაა, ეტიკეტზე არ არის აღნიშნული.


დიდი ხანია დავიწყებას მიეცა მთელი მსოფლიოს მეცნიერების მიერ ატებილი განგაში, რომელიც ეხებოდა თერმოფილური საფუარების ნებაზიურ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმები, რაზეც წერდნენ ფრანგი მეცნიერი ე. კოლფი, აკადემიკოსი ფ. უგლოვი, პ. დუბინინი, ჯანფრანკო როზინინი, გ. ბასხი და დ. შერმანი, ს. კონოვალოვი, ბ. რუბინი, ვ. დილმანი, მ. დეიმონდი, დ. შერლი, ვ. მიხაილოვი, ლ. ტრუშინია [1-8].

თერმოფილური საფუარების მოპოვება ბუნებაში არ ხდება, ისინი ადამიანის მიერ ხელოვნური ჩარევის გზითაა მიღებული და მორფოლოგიური ნიშნით მიეკუთვნება უბრალო სოკოებს. თერმოფილური საქართველოში საფუაროდ უფრო სრულყოფილები არიან, ვიდრე ქსოვილური უჯრედები, ისინი არსებობენ ტემპერატურის, გარემოს pH-ისა და პაერის შემადგენლობისაგან დამოუკიდებლად. მაშინაც კი, როდესაც ირდვევა ნერწყვის ლიზოციმით საფუარის უჯრედის მემბრანა, ისინი აგრძელებენ ცხოველმოქმედებას. კანადისა და ინგლისის მეცნიერებმა დაადგინეს საფუარის სასიკვდილო ზემოქმედება ორგანიზმზე. საფუარი ქილერის - უჯრედები, მკვლელი - უჯრედები, კლავენ მგრძნობიარე, ორგანიზმის ნაკლებად დაცულ უჯრედებს მათში შესაძინო ცილების გამოყოფით. დაბალი მოლეკულური მასის ტოქსიკური ცილა მოქმედებს პლაზმურ მემბრანებზე, ზრდის მათ გამტარიანობას პათოგენური მიკროორგანიზმებისათვის და ვირუსებისათვის. თავდაპირველად საფუარი ხვდება საჭმლის მონელებელი ტრაქტის უჯრედებში, შემდგომ უკვე სისხლის არხში, რის შედეგადაც ისინი იქცევიან იმ „ტროას ცხენად“, რომლის შედეგადაც მტერი ხვდება ადამიანის ორგანიზმში და ძირს უთხრის მის ჯანმრთელობას. თერმოფილური საფუარი იმდენად რეაქტიული და სიცოცხლისუნარიანია, რომ მისი 3-4 მოკლევადიანი გამოყენებისას უფრო აქტიური ხდება. ცნობილია, რომ პურის ცხობისას საფუარი არ ნადგურდება, ის ინახება წებოვანას კაფსულებში და ორგანიზმში მოხვედრისას იწყებს ორგანიზმის დამანგრეველ საქმიანობას. ასეთი უკვე კარგადაა ცნობილი ამ სფეროს საეციალისტებისათვის, რომ საფუარის გამრავლებისას ფორმირდება ასკოსპორები, რომლებიც აღმოჩნდებიან ჯერ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, და შემდგომ, სისხლში მოხვედრისას ახდენენ მემბრანის უჯრედების ნგრევას, რაც საუკეთესო კერას წარმოადგენს სიმსივნური უჯრედების გამრავლებისათვის და ყალიბდება ონკოლოგიური დაავადებები.

საფუარი ცოცხალი თრგანიზმის პირობებში მრავლდება გეომეტრიული პროგრესით და ხელს უწყობს პათოგენურ მიკროფლორას აქტიური სიცოცხლისა და გამრავლებისათვის, რაც ხორციელდება ნორმალური მიკროფლორის დაჩაგვრით.

აკადემიკოს ფ. უგლოვის დასკვნით საფუარის კომპონენტები, რომლებიც ხვდებიან საკვებში, ცოცხალ ორგანიზმში ახდენენ დამატებითი ეთანოლის გამომუშავების პროცესირებას, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემამცირებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

პურში თერმოფილური საფუარების არსებობის შესამოწმებლად ჩვენს მიერ ჩატარებულია ექსპერიმენტი: სტერილურად ამოვიღეთ პურის გული და მოვათავსეთ სტერილურ გამჭვირვალე ჭურჭელში, სადაც სტერილური საკვები არ იყო, ერთი დედამის განმავლობაში დავტოვეთ და შემდეგ შევამოწმეთ, მიმდინარეობდა ინტენსიური სპირტული დუღილი, აღნიშნული ჭურჭელი მოვათავსეთ თერმოსტატში 200-დან, 250 °C-ზე. დავაყოვნეთ ერთი საათი. თერმოსტატიდან გამოღების შემდეგ ელექტრონული მიკროსკოპის სასაგნე მინაზე მოვათავსეთ მიღებული ნიმუშის მცირე რაოდენობა, მიკროსკოპში დაკვირვებისას ცოცხალ მდგომარეობაში აღმოჩნდა (სურათი), ჩვეულებრივ საფუარებთან შედარებით დიდი ზომის წაგრძელებული ბურთისებური სახის საფუარები და ჩვეულებრივ დგინდეთ საფუარებია. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ხელოვნურად შექმნილი თერმოფილური საფუარები გამომცხარ პურში განაგრძობენ სიცოცხლეს.



დაბენტგების შედეგად აღმოჩნდილი საფურები
1, 4, 5, 6 – ბურთისებური სახის საფუარები; 2, 3 – დგინდეთ საფუარები

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მონაცემებიდან ჩანს, რომ პურის საფუარების დამზადებისათვის გამოიყენება 36 სახის ძირითადი და 20 სახის დამზადებული, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ტექნიკური სახისაა და არ მიეკუთვნება კებისათვის გამოსაყენებელ ნივთიერებებს, რაც საშიშროების წინაშე აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. დღეისათვის პურფუნთუშეულის წარმოების ასორტიმენტი დიდია, პურის საცხობები უშვებენ სხვადასხვა სახის პროდუქციას, სადაც დღეს ყველგან გამოიყენება უცნობი საქართვიცეტები.

ჩვენს მიერ თელავის მიკროზონის სოფლების ვენახებში შესწავლილია ადგილობრივი ბუნებრივი სახის საქართვიცეტები, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ მეღვინეობაში, პურპროდუქტების წარმოებაში, რომელი საფუარებიც საშიში არ არის ადამიანებისთვის. საქართველოს ესაჭიროება ადგილობრივი სახეობის საფუარების წარმოება.

ლიტერატურა

1. ჯ. როზინინი. მკვლელი საფუარების მახასიათებლები. //მიკრობიოლოგიის კანადური ჟურნალი, 1983, ტომი 29, №10, 462 გვ.
2. ვ.გ. უგლოვი, პ.პ დუბინინი და სხვა. სტატისტიკისა და ეკონომიკური მოდელირების პრობლემები. პლეხანოვის სახელობის MMHХа-ს ჸრომები.
3. გ. ბასესი და დ.ა. შერმანი. მომაკვდინებელი ფაქტორი. //ბიოქიმია, ბიოფიზიკა, 1973, 298, გვ. 868-879.
4. Коновалов С. А. Биохимия дрожжей. -Москва, Пищерромиздат, 1962, сс. 13-14.
5. რუბინი ბ.ა. ცერმენტული ღუდილი. БМЭ, 1976, ტომი 3, გვ. 383-384.
6. დილმანი ვ.მ. მედიცინის ოთხი მოდელი. //მედიცინა, ლენინგრადი, 1987, გვ. 40-42, 214-215.
7. მ. დეიმონდი, დ. შელდა. ნ. მჯავა-ცუმური ბალანსი, აშშ.
8. ვ. მიხაილოვი, ლ. ტრუშეინა. კვება - სერიოზული საქმეა. //ახალგაზრდა გვარდია, მოსკოვი, 1988, გვ. 5-7.

SUMMARY

ANALYSIS OF IMPORTEDSACCHAROMYCETES

Shildelashvili I.I., Matiashvili Sh.I. and Buishvili G.T.

Jacob Gogebashvili State University, Telavi

Currently yeasts are not produced in Georgia. They are mainly imported in a pressed and loose form, labeled Saccharomycescerevisiae, which is the general name of wine yeasts, without mentioning of the species on the label. An experiment was performed to find out if there are thermophilic yeasts in the baked bread available on our market. Thermophilic yeast facilitates the penetration of microflora in the human body and damages it. Local natural Saccharomyces were studied with the aim to use them in wine-making, bread baking etc.

Keywords: *Saccharomyces*, thermophilic yeast, wine-making, bread baking.

DYNAMICS OF CHANGES IN THE COMPOSITION OF MINERAL SUBSTANCES IN THE MUST AND WINE

Gamkitsulashvili Gia V., Gamkitsulashvili Gela V., Khositashvili M.L. and Mikashvili M.A.

Jakob Gogebashvili Telavi State University

Abstract. Recently, the qvevri wine-making method has attracted great attention both of Georgian consumers and foreign specialists. The article discusses the dynamics of changes in the composition of mineral substances in the must and wine in vessels made from different materials. The comparative analysis of mineral substances showed that the changes in the composition of mineral substances in both vessels were caused by minerals contained in the vessel, the activity of constituent elements and by their circulation in wine. In both cases, the quantitative changes in mentioned elements, the reduction of mentioned mineral elements was due to their absorption by the solid portion of the pulp, precipitation and crystallization of potassium, sodium and calcium tartarates.

Keywords: wine-making, qvevri, mineral substances, dynamics of changes.

In Georgia, making wine in qvevri (a pitcher) has a centuries-old history. In 2013, the traditional Georgian traditional qvevri wine-making method was recognized by UNESCO as part of intangible Cultural Heritage of the Humanity. Qvevri is scientifically little studied. It is well known for wine producers and specialists that, during the process of wine-making in qvevri, in the pulp oxidation-reduction reactions proceed well and, in most cases, we get stable wine of high quality.

In the process of changes in the substances in the must and wine, along with organic substances, inorganic ones participate. A moderate concentration of mineral substances of grape is one of essential conditions for obtaining the conditioned and high-quality products. In the must and wine with moderate concentration of mineral elements, there occur all chemical and physical processes, which facilitate fermentation, maturation of wine, and formation of aroma and bouquet components [1-3].

Till the bunch of grapes is attached to the vine, its mechanical parts with their physical and chemical composition form a single organized system and produce normal changes in the substances. After squashing, the links among the mechanical parts are broken and the mineral substances partially transfer from the mechanical parts into the juice. The mineral substances are distributed in the mechanical parts of grape as follows: the seed is rich in potassium salts (65%), followed by the skin (48%) and the stem (36%). The seed is rich in calcium salts and their concentration reaches 6% in the must. The content of phosphorus is highest in the seed and the lowest in the stem.

When the norms of minerals in wine are violated, the quality of the product deteriorates, which could be due to migration of mineral elements and related issues [4,5].

A moderate concentration of metals in the must improves the taste qualities of ayog wine material. After fermentation of the must, part of the mineral elements remains in grape skins and seeds, the rest deposit in the process of fermentation. The fresh must contains from 3 to 5 g/l mineral substances. During alcoholic fermentation, this amount decreases due to the transfer of organic mineral substances into metal and organic mineral deposit.

The Kakhetian and European production processes of making wine from white grapes are completely different. In Kakhetian technology, the alcoholic fermentation proceeds in the must with solid parts of the bunch and ageing of wine occurs on the pulp for 5-6 months, whereas, in the European technology, the must is immediately separated from the pulp and processed for removing the excess of extracted substances. The quantitative changes in mineral substances in the wines produced by these technologies are absolutely different. The migration of mineral substances from solid parts of the bunch into the pulp and then into the wine by the Kakhetian technology is a long process. These processes take place in qvevri and the wine is aged on the pulp for 5-6 months.

During this period, mineral substances are extracted from the pulp into the wine material, and the mineral substances react with organic acids with precipitation of the corresponding salts [5,6].

The exceptional qualities of the Kakhetian wine are based on the complex of redox and biochemical reactions taking place in qvevriat every stage of aging of wine, in which the vessel made of clay called qvevri participate. Currently it is a question what quantity of mineral substances transfers from the vessel itself into the wine [2-4].

The objective of our research was to study the dynamics of changes in the composition of mineral elements in young and 5-months-old wine from the must in qvevri and neutral vessels. From the literature it is known that, of mineral substances, potassium, magnesium, calcium and sodium are present in wine in the greatest quantities. It is also well known that, besides silicon, exactly these elements are present in the Georgian soil in nature and burnt materials of qvevri [6,7].

The object of the study was a 250-literqvevri made from the material found in the clay minefield in the village of Satsableti, ZestafoniRegion, Western Georgia, and a neutral vessel of the same capacity. Both of them were placed in ground under the same conditions at the "Twins Wine House in Napareuli", the village of Napareuli, TelaviRegion.In September 2017, the pressed Rkatsiteli grapes gathered in the Napareulimicrozone was placed in both vessels at the same time. The alcoholic fermentation took place with the pulp. The following samples for analyzing were taken: the initial must, young wine after alcoholic fermentation and 4-months-old wine.

The content of the following mineral substances was determined in the samples (qvevriand the neutral vessel): potassium K, magnesium Mg, calcium Ca and sodium Na.The quantitative changes in mineral elements (mg/l) in the must, and in young and 4-months-old wine made on the pulp are given in the Table below.

Quantitative changesin mineral elements (mg / l) in the fermentedmust, and in young and 4-months= old wine made on the pulp in different vessels

Qvevri				
	Mineral element	Fermented must	Yoangwine	Four-months-old wine, mg/l
1	K	1285	750	540
2	Mg	47	40.3	45.8
3	Ca	85.5	52	47.2
4	Na	10.55	4.11	3.52
Neutral Vessel				
1	K	1285	940	820
2	Mg	47	40	52
3	Ca	85.5	62.8	60
4	Na	10.55	9.12	5.12

As is seen from the table, after the completion of alcoholic fermentation, the quantity of four elements in the new wine inqvevri decreased. As compared with the must, after alcoholic fermentation in qvevri, the quantity of potassium decreased by 535 mg/l, magnesium - by- 6.7 mg/l, calcium- by 33.5 mg/l and sodium – by 6, 28 mg/l. As compared with the must, after 4 months inthe wine in qvevri, the quantity of potassium reducedby 7.45 mg/l, calcium –by 38.3 mg/l, and sodium - by 7.03 mg/l, while the quantity of magnesium slightly increased - by 1.2mg/l.

The content of mineral elements decreased in the neutral vessel too. As compared to the must, the quantity of potassium reduced by 345 mg/l, magnesium = by 7 mg/l, calcium - by 22.7 mg/l, andsodium -

by 1.43 mg/l. In the 4-months-old wine, the quantity of potassium reduced by 465 mg/l, calcium – by 25,5 mg/l, sodium – by 5.422 mg/l, while the quantity of magnesium increased by 5.1 mg/l.

As the comparative analysis of mineral substances showed the change in the mineral substances in both vessels was caused by the minerals contained in the vessel itself, the activity of constituent elements and by their circulation in wine.

REFERENCES

1. G.Beridze.Kakhetian Wine-Making Technology. – Tbilisi, Ganatleba, 1973, 149 p.
2. N.Gelashvili. Winery. Part I. – Tbilisi, Ganatleba, 1986, 239 p.
3. G.Beridze.Georgian Wine-Making Technology. – Tbilisi, Ganatleba, 1964, 364 p.
4. Г. Беридзе, Р.А. Намгаладзе. Содержание минеральных веществ ввиноградом соке в вине. //Садоводство, виноделие и виноградарство Молдавии, 1975, №1, сс. 29-31.
5. T.Kobaidze. Changes in mineral elements regarding the production and ageing in wine-making and stabilization of cognac, abstract.- Tbilisi, 1979.
6. N.E.Foforadze. Minerals and Rocks of Georgia. – Tbilisi, Technical University Press, 2012, pp. 3-5
7. U.Merz, I.Bitarishvili, F.Regner, M.Darting, I.Burkart, I.Petzold, B.Zaitciet al. Identity of Pitcher Wine. - Tbilisi, German Corporation for International Cooperation (GIZ), 2017, pp. 14,15,18 and 21

РЕЗЮМЕ

ДИНАМИКА ИЗМЕНЕНИЙ В СОСТАВЕ МИНЕРАЛЬНЫХ ВЕЩЕСТВ В СУСЛЕ И ВИНЕ

Гамткицулашвили Гия.В., Гамткицулашвили Гела В., Хоситашивили М.Л., Микиашвили М.А.

Телавский государственный университет им. Якоба Гогебашвили

В последнее время метод приготовления вина в квеври вызывает большой интерес как у грузинских потребителей, так и у иностранных специалистов. В статье анализируется динамика изменений в составе минеральных веществ в сусле и вине в сосудах, сделанных из разных материалов. Сравнительный анализ минеральных веществ показал, что изменения в составе минеральных веществ в обоих сосудах вызваны минералами, содержащимися в самих сосудах, активностью составляющих их элементов, и их циркуляцией в вине. В обоих случаях количественные изменения в минеральных элементах, уменьшение их количества, вызвано их поглощением твердыми частями мезги, осаждением, и кристаллизацией виннокислых калия, натрия и кальция.

Ключевые слова: виноделие, квеври, минеральные вещества, динамика изменений.

**ფენოლური ნაერთების დაბროვების დინამიკა საქართველოში
05ტროდუცირებულ ზოთელ გურმენში**

ხოსიტაშვილი მ.ლ., ხოსიტაშვილი თ.გ., ბუიშვილი გ.ო.,
ჩალათაშვილი ს.ე., გაციტაძე მ.გ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

წითელი ყურძნიდან მიღებული დვინისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათში არსებული ფენოლური ნაერთების ოაოდენობასა და შედგენილობას. ისინი ძირითადად განაპირობენ დვინის ფერსა და გემურ თვისებებს. ვაზის ვებგრაციის პერიოდში ფენოლური ნაერთები განიცდიან ოაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს. სხვადასხვა ვაზის ჯიშის წითელი ყურძნის ნაყოფის გამონასკვიდან მარცვლის ყველა ნაწილში გროვდება დიდი ოაოდენობით ფენოლური ნაერთები; მარცვლის განვითარებასთან ერთად, მათი ოაოდენობა მცირდება (განსაკუთრებით რბილობში) და ტექნიკურ სიმწიფეში რბილობის გამტარი მიღების გასწვრივ, კანსა და წიაღის რჩება. წითელი დვინოების დამზადების ტექნოლოგია კი ითვალისწინებს ტკბილის დუღილს დურდოზე, რადგან ფენოლური ნართების ძირითად წყაროს დვინოში მარცვლის მაგარი ნაწილები (ძირითადად კანი, წიაღის და რბილობი) წარმოადგენს [1-5].

წითელი დვინის დაყენებისას ტექნოლოგიური პროცესების ჩატარების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფენოლური ნაერთების (მათ შორის საღებავი ნივთიერებების) ოაოდენობრივ გადასვლას ტკბილსა და დვინოში [6-10].

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ინტროდუცირებულული (შემოტანილი – პინო ნუარი, საგვიანო ბურგუნდერი, საადრეო ბურგუნდერი, დაკაპო, სირა, კაბერნე ფრანი, კაბერნე სოვინიონი და მერლო) წითელი ყურძნის მტევნის მექანიკური შედგენილობა, ფენოლური ნაერთების ჯამური ოაოდენობა და მათი დაგროვების დინამიკა ისვრიმობის პერიოდიდან ყურძნის სრულ სიმწიფემდე.

ცხრილი 1. ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების წითელი ყურძნის მტევნის ტექნიკური (ხაზობრივი და მოცულობითი) მაჩვენებლები

ყურძნის ჯიში	მტევნის სიგრძე, მმ. L		მტევნის დიამეტრი D		მტევნისწონა, გრ. q			მოცულობა, V
					მტევნის წონა, გრ. q	მტევნის წონა, გრ. q	მტევნის წონა, გრ. q	
	მას.	საჭ.	მას.	მას.	მას.	საჭ.	მას.	
პინო ნუარი	114	120	126	D ₁ -8.0	D ₂ -6.0	285	300	315
დაკაპო	168	170	172	D ₁ -10.0	D ₂ -6.0	264	300	336
კაბერნე ფრანი	156	160	164	D ₁ -12.0	D ₂ -5.5	271	300	329
საადრეო ბურგუნდერი	145	155	165	D ₁ -8.0	D ₂ -5.0	147	154	160
მერლოუ	122	130	148	D ₁ -8.5	D ₂ -4.5	143	161	179
სირა	135	150	165	D ₁ -6.5	D ₂ -6.0	230	239	248
საგვიანო ბურგუნდერი	115	130	145	D ₁ -7.0	D ₂ -4.5	185	200	215
კაბერნე სოვინიონი	170	175	180	D ₁ -6.5	D ₂ -4.5	178	200	222

კვლევისათვის აღებული იქნა წითელი ვაზის ინტროდუცირებული რვა ჯიშის ყურძენი, რომელშიც განისაზღვრა ტექნიკური (ხაზობრივი და მოცულობითი) მაჩვენებლები პროსტოსერდოვის მეთოდით, ხოლო ფენოლური ნაერთების რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა Glories მეთოდის მიხედვით [6,11,12]. ანალიზისათვის ყურძნის საანალიზო ნიმუშებს ვიღებდით პროსტოსერდოვის (44,72) მიხედვით. ვენახის ყოველი მე-15 რიგიდან ვიღებდით ყურძნის მტევნებს (10კგ), რომელსაც ვალაგებდით და ყოველ მე-10 მტევნას ვიღებდით საანალიზოდ, მონაცემებს ვამუშავებდით ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით (30) 3-5 ჯერადი განმეორებით. შედეგები მოცემულია ცხრილში 1.


მიღებული მონაცემების შეჯამება და ანალიზი ცხადყოფს, რომ ინტროდუცირებული წითელყურძნიანი ჯიშები წონით, სიგრძითა და სიკუმისით შეესაბამებიან საერთაშორისო ამპელოგრაფიული გრადაციით მოცემულ ზღვრებს.

Glories მეთოდის მიხედვით თითოეული ჯიშის ყურძნიდან ავიდეთ 200 - 200 მარცვალი, 2 წუთის განმავლობაში ვაცენტრიფუგირებდით ერთგვაროვანი მასის მიღების მიზნით. მიღებული ტკბილი გავყავით ორ ნაწილად (25 - 25 მლ). საანალიზო სითხეებიდან თითოეულ ნიმუშს, ცალ-ცალკე, თანაბარი რაოდენობით 1:1 შეერია სხვადასხვა pH-3,2 და pH=1,0-ის მქონე მეთოდის მიხედვით მოდელური (ბუფერული) სსნარები. ანტოციანების, ტანინებისა და პოლიფენოლების რაოდენობრივი შემცველობა გავზომეთ სკექტროფოტომეტრის 520 ნმ ტალღის სიგრძეზე [9,12,13], მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2. ინტროდუცირებული ჯიშის წითელი ყურძნის ფენოლური ნაერთების რაოდენობის ცვლილების დინამიკა ყურძნის მარცვლის მომწიფების სხვადასხვა სტადიებზე, მგ/ლ

ნიმუშებისდასახელება	ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობა მომწიფების სხვადასხვა პერიოდში, მგ/ლ		
	ისვრიმობის	შეთვალების	სიმწიფის
დაკაპო	31,1	30,4	15,4
კაბერნესოვინიონი	29,1	20,5	14,8
სირა	27,4	19,8	12,0
საადრეო ბურგუნდერი	28,0	22,0	11,5
კაბერნეფრანი	25,8	19,4	12,3
საგვიანობურგუნდერი	20,1	18,7	11,4
მერლო	22,4	17,4	13,2
დაკაპო	24,7	18,9	12,5

როგორც ცხრილი 2-ის მონაცემებიდან ჩანს, ფენოლური ნაერთების რაოდენობა ისვრიმობის პერიოდში მერყეობს 31,1 – 20,1 მგ/ლ-მდე; შეთვალების პერიოდისათვის 30,4 – 17,4 მგ/ლ-მდე; ხოლო სიმწიფისათვის მათი რაოდენობა მერყეობდა 15,4 – 11,4 მგ/ლ-მდე. ინტროდუცირებული წითელი ყურძნიანი ჯიშებიდან ფენოლური ნაერთების შემცველობით გამოირჩევა ყურძნის ჯიში დაკაპო, რომელშიც ფენოლური ნაერთების რაოდენობა ისვრიმობის პერიოდში შეადგენდა 31,1 მგ/ლ-ს; შეთვალების პერიოდში კი ეს ციფრი შემცირდა 30,4 მგ/ლ-მდე, ხოლო სიმწიფის პერიოდში მისი რაოდენობა დაგიდა 15,4 მგ/ლ-მდე. სიმწიფის პერიოდისათვის ყველაზე მცირე რაოდენობა ფიქსირდებოდა საგვიანო ბურგუნდერისათვის – 11,4 მგ/ლ-ზე. მაშასადამე, დაკაპოს მარცვალში ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობა ისვრიმობიდან სრულ სიმწიფემდე დაახლოებით 15 - 20 მგ-ით მცირდება. ასეთივე ცვლილება შეინიშნება წვენს მიერ შესწავლილ დანარჩენ შვიდ ინტროდუცირებულ ვაზის ჯიშებშიც. ექსპრიმენტმა ცხადყო, რომ ყურძნის მარცვლის მოცულობის ზრდის დინამიკა პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია მარცვალში ფენოლური ნაერთების დაგროვების დინამიკასთან (ნახაზი).



ყურძენში არსებული ფენოლური ნაერთების ზრდის ზოგადი ტენდენციები,
ყურძნის მომწიფების პერიოდში

ნახაზზე გამოსახულია ყურძნის მარცვლის მოცულობის ზრდის დინამიკა (1),
რომლის პარალელურად მკვეთრად ჩანს, რომ მნიშვნელოვან რაოდენობრივ ცვლი-
ლებებს განიცდიან ფენოლური ნაერთებიც (2) ფლავონოიდები, საღებავი ნივთიე-
რებები (3) და ანტოციანები (4). ნახაზიდან ჩანს, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ საკ-
ვლევ ყურძნის მარცვლების მომწიფების პროცესში სხვადასხვა ნაერთების ცვლი-
ლების ტენდენციებს პქონდა ადგილი - შაქრის სრულ სიმწიფეს დაემთხვა ფენო-
ლური ნაერთების მაღალი მაჩვენებელი.

ლიტერატურა

- ლაშხი ა. ენოქიმია. -თბილისი. განათლება, 1970, 262 გვ.
- ა. რამიშვილი. ამპელოგრაფია. -თბილისი 1986 წ.
- დურმიშიძე ს. ხაჩიძე ო. ვაზისძიოქიმია. -თბილისი, მეცნიერება, 1985, 561გვ.
- Recueil des methods internationals d'analyse des vins. - Office International de la Vigne et du Vin, O.I.V., Paris, 2010. <<http://www.oiv.int/oiv/info/enpublicationoiv#compendium>>
- Saint Cricq, N.; Vivas, N.; Glories, Y. Maturité phénolique: définition et contrôle.//Rev. Fr. Oenol. 1998, 173, 22–25. <https://www.awri.com.au/wp-content/uploads/2014/01/measuring-grape-tannins.pdf>
- Maturité Phénolique (méthode Glories), 1978. https://www.vignevin-sudouest.com/publications/itv-colloque/documents/COLLOQUE_Maturation-phenolique.pdf
- Boulton, R.B. The copigmentation assay for red wines. <<http://boulton.ucdavis.edu/copig.htm>>
- Ribéreau-Gayon, P. et al. Handbook of Oenology - Vol. 2: The chemistry of wine stabilization and treatments. 2nd ed. – England, John Wiley & Sons Ed., 2006. p. 441. <http://dx.doi.org/10.1002/0470010398>
- Boulton, R., "The Copigmentation of Anthocyanins and its Role in the Colour of Red Wine: A CriticalReview," AJEV52:2,67,(2001).<http://nfsccfaculty.tamu.edu/talcott/courses/FSTC605/Papers%20Reviewed/Review%20Copigmentation.pdf>
- Boulton, R.B. et al. Principles and Practices of Winemaking. - New York, Kluwer, 1998, 613 p. [http://gtu.ge/Agro-Lib/\[M. Victoria Moreno-Arribas, Carmen Polo\] Wine Che\(BookFi.or.pdf](http://gtu.ge/Agro-Lib/[M. Victoria Moreno-Arribas, Carmen Polo] Wine Che(BookFi.or.pdf)
- Elena Cristea. Determination of the Optimal Phenolic Extraction Yield in Red Wines Using the Glories Method - Porto, 2014.https://repositorio.ucp.pt/bitstream/10400.14/16237/1/thesis_Elena_Cristea_MSc_SEFOTESE_final.pdf

12. AHA Roediger. Phenolic Ripeness in South Africa. - Stellenbosch,2006.
http://www.capewineacademy.co.za/dissertations/AHARoediger_CWM_Thesis.pdf
13. Carlos Eugenio Daudt¹; Aline de Oliveira Fogaça. Phenolic compounds in Merlot wines from two wine regions of Rio Grande do Sul, Brazil. 2013. http://www.scielo.br/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0101-20612013000200021

SUMMARY

